ლიტერატურული გაზეთი

№10 (338) 26 მაისი - 8 ივნისი 2023 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი



ნიკა

* * *

გაზაფხულით გაჯერებული ფრინველები
მოფრინავენ შენს ფანჯარასთან
და თავიანთ ენაზე
გიმღერიან არეულად ისეთ რაღაცას,
რაც, რომ ააწყო,
შენს ენაზე ლოცვა გამოვა.

ვისგან, რისგან აღარ გსმენია,
ამქვეყნად ყველაზე გარდაუვალი რამ
რომ ტკივილია. მაგრამ როგორი
დასაჯერებელია ეს, როცა იმდენად ხარ
გაზაფხულის ჰაერით სავსე,
რომ მაშ საიდანღა უნდა ჰქონდეს ტკივილს
შენში დასადგომი პირი.

ცხოვრება იმდენად იწეწება,
რომ საკუთარი თავით თვითონ ებნევა თავგზა.
და ამ დროს, ოჰ, როგორ უნდა,
როგორ ლამობს გაცილებით მშვენიერი იყოს,
ვიდრე ისეთიც კი, როგორადაც
ყველაზე გამოუსწორებელი სანგვინიკები
აღიქვამენ მას
გაზაფხულზე.

მე შენ მიყვარხარ.
თორემ სუნთქვა შემეკვრებოდა.
მე შენ მიყვარხარ.
და ამის შესახებ გაზეთებშიაც რომ ეწერათ,
ბოლო გვერდებზე მაინც,
არ იქნებოდა ზედმეტი.

* * *

ძალა, სიცოცხლეზე დანახარჯი,
სიკვდილს ვეღარ იჭერს წარმატებით.
ნისლში, ზურმუხტისფრად დანაღვარში,
დგანან დაჭიმული კარპატები.

ქარი წამოვარდნილ სივრცესავით
ხვდება, თვითონაცვე მიწისაა,
ითმენს წყევლა-ქოქვის ზედახორას,
ისმენს მღაღადებელ სიმწარეებს,
ედიტ პიაფივით ხრინწმორეულს,
მარლენ დიტრიხივით თავდახურულს.

ბედმა მოუხვია, მიუხვია,
ისევ მოუხვია. მიცოცავენ
სვლისთვის გაჩენილნი. მიუღიათ
ხვალის უქონლობა თითო ცალი.
ირგვლივ სილამაზის სიუხვეა,
როგორც სიყვარულის სიცოტავე.

გინდა ოქროულით ანათებდეს,
ხდიდეს უვადოებს განვადებებს,
გინდა, თავისივე ჩანადენებს,
გმობდეს შიგადაშიგ საზიზღრობებს,
გინდა ჰოლანდიურ ია-ვარდებს
შლიდეს იანვრიდან იანვრამდე,
ზურგი დედამიწის იავადებს,
სანამ პოეზიით არ იცხოვრებს.

ჯორჯანელი

გაეროს ხსოვნას

ომზე — ომამდე უნდა წერო. ხოლო კვალდაკვალ —
უკვე მომხდარზე, მძვინვარეზე — რაღა აზრი აქვს.
ნაწლავებისაც უკეთ ძალუძს ჯართზე გადაკვრა.
და კრეატივშიც ვერ აჯობებ, ბევრად გამჭრიახს.

ჭურვი რომ აგცდეს, არ იკმარებს მხოლოდ ყისმათი.
ვერ უზრუნველყვეს გამძლეობით ჭურვებისადმი
ადამიანი ვერც აქამდე და ვერც ამჟამად
უსაფრთხოების ოფისების ლიპმა ჯავშანმა.

დიდხანს იცავდნენ მცხოვრებლები ქალაქს თავიანთს,
თითქოს ერთი რამ დარჩენოდათ, უკანასკნელი,
აღმოსაჩენი, ჩასაწვდომი და დასასკვნელი —
ცეცხლი ყვითელი რომ არაა და რომ შავია.

შორს კი მშვიდობას ის უშხამებს ყოფნას ნებივრად,
რომ ეშინია მარცვლეულზე ცეცხლის ფასების.
ღმერთო, გვიშველე! ნუთუ მართლა აი ასეთი
წყალწაღებული და პირწმინდა გოთვერნები ვართ?

როცა ცოტათი გაიბზარა კვამლი, იმწამსვე
გამოილანდა ჯარისკაცი დღიდან ვიწროდან.
იჯდა მოედნის შუაგულში მახვრალ მიწაზე
და ბანალური ტკაცატკუცით ცოცხლად იწვოდა.

არ ინძრეოდა ოდნავადაც, თითქოს იტკენდა
განძრევით სხეულს ცეცხლმოდებულს, და საითკენღაც
გამშრალი ჟესტით უთითებდა თითქოს ვიღაცას,
ქშენით ახმარდა მითითებას ერთ-ორ სიტყვასაც:

„აგერ, იმ ბილიკს თუ სიღრმეში თვალით გაჰყვები,
სადაც თვალები გიბჟუიან, ისე გებმიან,
ჩანან სიკვდილის გაცრეცილი წვრილი ბაყვები.
არც ერთი ქალის მე ჯერ ასე არ მნდომებია“.

ცოტნე ავსაჯანიშვილი

უაზლესი ისტორია

მტკვარში თბილისელები ბანანა თევზებს ჰგვანან, რომლებსაც ოკეანე მოუწამლეს და სიცოცხლის ბოლო წამებს დამძიმებულები გულაღმა ატარებენ, სახით მზისკენ. მტკვარი ყველაზე დიდი სერიული მკვლელია დედაქალაქის ისტორიაში და თუ ოდესმე არსებობას შეწყვეტს, მოწამლული ბანანა თევზებიც მეტ დროს მიიღებენ ფიქრისთვის. აქ ყველა მოწამლული ბანანა თევზი მტკვარს აბარებს საკუთარ სიცოცხლეს — არც ღმერთსა და არც მის ბოროტ წითელ კონკურენტს. მტკვარი უზენაესი ქურუმია, რომელიც სულებს ატყვევებს და მინგეჩაურში აბამს. სწორედ ამიტომ, არავის უნდა გაჰკვირვებოდა მტკვარზე მკვდრის პოვნა, ის მკვდარი თვითმკვლელი რომ ყოფილიყო. მაგრამ არ იყო თვითმკვლელი. თვითმკვლელები ზურგში დანებს ვერ ირტყამენ. მითუმეტეს თორმეტჯერ. ეგეც რომ არ იყოს, ჩვენი მტკვარი ქლიავი მტკვარია. არავის მოუნდება მასთან სამუდამოდ თანაცხოვრება. მტკვარი სულაც არ არის ერთი. მტკვარი ორია — ქლიავი და ის, რომელსაც ტურისტებს ანახებენ. ლამაზი ხიდები მხოლოდ იმ მტკვარს აქვს, რომლითაც ტურისტები ტკბებიან. მოწამლულ ბანანა თევზებს ქლიავ მტკვართან ვერ ნახავთ.

* * *

მაისია და იმიტომაა მზე. ეს სურათი გადაღებულია ათას ცხრაას ოთხმოცდამეტ წელს. ნახე, ყველაფერი წითელია. მზე ხო წითელია და წითელია, იმის ლურჯი კაბაც წითელია და ყველას თვალებიც წითელია, არადა, არც ერთს არ ჰქონდა მაშინ წითელი თვალები. ნეტა რა ერქვა მაგ ფოტოაპარატს, ყველაფერს რომ აწითლებდა. ყველაზე კომუნისტური ფოტოაპარატი იყო ყველაზე არაკომუნისტურ დროში. მაგით, მგონი, არც მთლად ღარიბები იღებდნენ და მდიდრებს ხო საერთოდ ფეხებზე ეკიდათ იმიტო, რო არც შავ-თეთრი გამოდიოდა და არც ფერადის თავი ჰქონდა. მგონი, ჯერ მეტრო არ იყო გათხრილი ჩვენს უბანში. ჯერ მხოლოდ ფირმა მეტროები არსებობდა. შეიძლება ვცდები კიდეც, ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ თუ იყო, ხო კაი და თუ არ იყო, ესე იგი, მართალი ვარ. ახლა რომ დგანან ხოლმე ტბისკორპუსელი ბიჭები და მეტროს წინ სიგარეტს ეწევიან, ან ბავშვები რომ ურეკავენ ერთმანეთს, გამოდი, მეტროსთან შევხვდეთო, ეგ ამბავი მკვდარი იყო მაშინ. ან არც იყო მკვდარი და მე არ მახსოვს სწორად. ეგრეც რო იყოს, მაგათ ფეხებზე ეკიდათ მეტრო. ცენტრში მარტო ტრამვაით მიდიოდნენ, ან ტროლეიბუსით. ტაქსით არავინ გადიოდა. ისე, ჩვენ საერთოდაც არ გავდიოდით ცენტრში. ეს, მარცხნივ რომ დგას, კლეჩატი საროჩკით რომა, გაგუაა. გვერდით ლამაზი გოგო რომ უდგას, ნახე, როგორ იცინის, ყველა კბილი თავის ადგილზე აქვს... არც დიდი კბილებია და არც პატარა, თან თეთრი... მაშინ სიგარეტს არ ეწეოდა ევა სილაგაძე. ის ორნი, ერთი რომ ჯონ უეინს ჰგავს, ძმები არიან. სოლოღაშვილები. გაგუა, ევა სილაგაძე და უმცროსი სოლოღაშვილი, სანდრო, ერთ კლასში სწავლობდნენ. ახლაც მახსოვს, ნაირა კალანდარიშვილის სადამრიგებლო, მეორე სართულზე, სამასწავლებლოდან მესამე კლასი, ყავისფერი კარი, მერე გაგუამ რო ჩამოიღო... ფოტოზე მეოთხე, ვანო სოლოღაშვილი, ორი კლასით იყო წინ. ჯონ უეინს პატარა ჰგავდა, ეგ არა. ეხლა რომ უყურებ, დაჭიმულ სიფათზე და შავ როლინგზე საერთოდ არ ეტყობა, მაგრამ სკოლა კინაღამ ფრიადზე დაამთავრა. მარტო ფიზიკაში გამოაყოლეს სამიანი. ოთხიანიც შეეძლო, მაგრამ მასწავლებელს უთხრა, დებილი მამაშენიაო და იმან არ აპატია. მერე ისტორიკოსი თუ რაღაცა გახდა. ომები და სროლა იტაცებდა. სამჯერ ჰქონდა ნანახი შესანიშნავი შვიდეული. დანარჩენებმა ვერ მოახერხეს ეგეთები. აი, რომა გაგუას სულ ქურდობა უნდოდა და, მგონი, რაღაც მსგავსი გახდა, მაგრამ მთლად ეგეთიც ვერა. უბანს ვუყურებო, იძახდა და ჩვენ სულ გვიკვირდა, ეგ რა პროფესიაა, მასე ხო ჩვენც ვუყურებთო. მერე ეგ ბრაზდებოდა, მე სხვანაირად ვუყურებო და ჩვენ ვეუბნებოდით, სხვანაირად რა, ნაშაა თუ პასტაიანკაო. გულჩვილი იყო რომა გაგუა და მაგიტომ დავრჩით ცოცხლები. ამიტომ მიყვარს გულჩვილობა. სიცოცხლეს რაც გინარჩუნებს, ყველაფერი გიყვარდება. აი, მამიდაჩემს ინსულინი უყვარს. მერე ქორწილი უნდა გადავუხადო. მაგარი იქნება, ეგ და ინსულინი რო არიან საკურთხეველთან. მამიდაჩემს აცვია თეთრი კაბა, ინსულინის შპრიცი კი გახვეულია შავ ნიფხავში. მოკლედ იმას შეხედე, უმცროს სოლოღაშვილს, თვალებით ყლაპავს ევას. რაღაც ისე ვერაა, არა? მე მასწავლი მაგას? მე ყველაფერი ვიცი, შენ უნდა მიხვდე. ვიცი, რომ გტკივა. ალბათ გამოგიცდია და თუ არ გამოგიცდია, მაშინ ძმაკაცებიც ჩამოიშორე და გოგონებიც. ოდნავ რო გაიზრდები, მერე მაინც მეგობრებს დაუძახებ და ბავშვის ნათლობის მერე, შეგიძლია აღარც ნახო. რა არის ცხოვრება ტკივილების გარეშე? რა არის და უკეთესი ცხოვრება. რაიმე პოეტურს ელოდი? მე მგონია, რომ საერთოდ არ ვგავარ ფედერიკო გარსია ლორკას. ისე, ცხოვრებაში ყველაზე დიდი ტკივილი სწორედ ეგაა, უმცროსი სოლოღაშვილი ევას თვალებით რომ ყლაპავს, იმიტომ, რომ რომა გაგუას ევასთვის ხელი აქვს გადახვეული ისე, როგორც ძმები დებს არ ხვევენ. არ შეიძლება ძმაკაცებს რომ ერთი გოგო უყვართ. ეგეთ ძმაკაცობას სინამდვილეში ჰქვია — ჰეი, ძმაო, იქით წადი, სამოთხე დაგხვდება... შენც გჯერა, რომ შენი ძმაა, მართლა სამოთხეში გაგზავნის, მაგრამ მიხვალ და იქ ეშმაკები დაგხვდებიან. ძმაკაცები ერთმანეთს არ უტყდებიან საერთო სიყვარულში, მაგრამ ორივე ყოველთვის ყველაფერს ხვდება. ან ერთი ასწრებს თქმას და მეორეს თავის ქნევა უწევს, გამწარებულს, შეურაცხყოფილს... ისინი ისევ ერთად არიან. ისევ ერთად უყურებენ ეროტიკულ ფილმებს, ერთად სვამენ თბილისის ზღვაზე და ერთად იღებენ ფოტოებს განგსტერების მზერით. პატარები არიან, მიამიტები... და ამიტომ კვლავაც სულელებივით სჯერათ, რომ გვერდით ძმა უდგათ. არადა, საშინელებაა კონკურენტი ძმაკაცი. ასე ახლოს არასდროს გყავს მტერი. რაციონალური მტერი კი არა, ბოროტი მტერი, უბრალოდ რომ ეზიზღები და მორჩა. ახლა არ თქვა, მაშინ არც არასდროს გყვარებიაო. ძალიანაც გყვარებია, მაგრამ სისულელეა იდეალები, რომლებიც გაბოლებენ. ვერც ერთ ძმაკაცს ვერ შეიყვარებ ქალზე მეტად. ეგ მასკულინური ზღაპრები მღვდლებს მოუყევი. როცა დრო დგება, მოყვასი კი არა, მარტო ევა სილაგაძე გიყვარს. უფროსმა სოლოღაშვილმა იცოდა, რომ უმცროსს — ევა. ისიც იცოდა, რომ გაგუასაც — ევა. ისიც იცოდა, რომ ევას გაგუა უმცროს სოლოღაშვილზე ძლიერად, ლამაზად და საყვარლად... მოკლედ, უფროს სოლოღაშვილს ძალიან ეცოდებოდა დედმამიშვილი და ძალიან უნდოდა, რომ გაგუა... მაგრამ მერე გაიზარდნენ და კიდევ ხდებოდა მათ ცხოვრებაში უცნაურობები.

* * *

ფილარმონიაში არა, მაგრამ რომელიღაც სახელოვან დარბაზში სკოლების სამინისტრო ატარებდა რეპერების კონკურსს. ოღონდ ნამდვილების არა. სკოლებში ჩამოიარეს და ვინმე ბავშვს თუ ემინემი მოსწონდა, მანდ წაიყვანეს, წამოდით, გარეპეთო. საპატიო სტუმრები და ჟიური ბრუკლინიდან იყვნენო, ვერ იტყვი, მაგრამ ყველა ბებერი ქუთაისელი და კიდევ დედაქალაქის გარეუბნის რეპ-ლეგენდა ნამდვილად მანდ იყო. კარგ ჰონორარს გამოდიოდა სამინისტრო. იცოდა მინისტრის მოადგილემ, ლეგენდებს რომ ფული არ აქვთ. ნაციონალური ჰიპ-ჰოპის ფუძემდებელი, „თეთრი მეფე“, სვამდა ბორჯომს და აყოლებდა რძიან შოკოლადს. სამინისტრო აზრზე არ იყო, რა უყვარდათ რეპერ სტუმრებს. თუმცა ისიც სათქმელია, რომ სახელმწიფო სახსრებით პლანს მაინც ვერ იყიდდნენ და თუ პლანი არ არი, რეპერისთვის ბორჯომი და კონიაკი ერთნაირად მისრიალებს. ჩვენ სკოლას წარმოადგენდა ნიკუშა გაგუა. ნიჭიერი ბავშვი იყო, გრძელი, წითელი კალათბურთის ფორმით. თავზე ლამაზი იასამნისფერი ბენდენა ჰქონდა წაკრული. ქერა თმა ჰქონდა და მაგრად ჰგავდა ნარუტო უზუმაკის. კალათბურთის ფორმა არც ერთი გუნდის არ იყო. მარტო რვა ნომერი და ბასკეტბოლ ეწერა. ძონძებში უყიდა ევამ. ნიკუშას სკოლიდან საბალელშიკოდ უფროსი სოლოღაშვილი წაჰყვა. მამამისის ბავშვობის ძმაკაცი. უფრო სწორედ, მამამისის ბავშვობის ძმაკაცის უფროსი ძმა. სცენაზე მაგრად რეპავდნენ ცოტა უზრდელი ბავშვები. ცოტა უზრდელი თუ არ ხარ, ვერ გარეპავ. მანდ რითმაში გეთაყვა, გთხოვ და მაპატიე არ გადის. ცოტა სისუსტეს გამოიჩენ და მორჩა, რეპერი კი არა, ტერენტი გრანელი ხარ, ოღონდ უნიჭო. ნიკუშამ უნდა მოიგოსო, ფიქრობდა უფროსი სოლოღაშვილი. ნიკუშა კი მღეროდა, რომ კარგია, როცა ბევრი საქმე და ცოტა დრო გაქვს, რადგან სანამ მოკვდები, ბოლოსწინა მომენტში, ძალიან სავსე ხარ სიამაყით და საერთოდ არ გეთქმის მსუქანი. სხვები რას მღეროდნენ, არ მახსოვს. ისე, მანდ მთავარი ისაა, რას იტყვი, მუსიკა და ეგენი სულ ფეხებზე ჰკიდიათ. სიტყვები უნდა მოახვედრო პრიმიტიულ გულებს. აკადემიკოსებს ეგეთი სიტყვები არ აინტერესებთ. ბიზნესმენებს — მითუმეტეს. აქ ხომ ლაპარაკი სულ იმაზეა, როგორ უჭირთ, როგორ არ აცდიან ცხოვრებას და ისვრიან ფანჯრებიდან იდიოტები, რომლებიც ესვრიან უფრო იდიოტებს, რომლებმაც შენობებში შესვლა ვერ მოასწრეს და ეს ორივე იდიოტები, როგორ ავიწროებენ სუსტ იდიოტებს. ვის რაში აინტერესებს, რაზე ფიქრობენ პერიფერიის უკმაყოფილო თინეიჯერები?.. დარბაზი კი იყო სავსე და ყველა იქნევდა ხელებს. ზოგს ორი თითი ჰქონდა ცაში აწეული. ჯერ არ იყო შექმნილი ბიზნესმენთა პარტია. ამიტომ არც ორთითიან აუდიტორიას ეთქმოდა პარტიული აქტივი. ბოლოს ჟიურიმ თქვა, ნიკუშამ ვერ მოიგოო. უფრო სწორად, თქვა, რომ სხვამ მოიგო და ეგ იმას ნიშნავდა, რომ ნიკუშამ ვერ მოიგო. ისე, ნიკუშასაც მისცეს პრიზი. ათი ბოთლი ბელგიური ლუდი. არადა, სკოლის მოსწავლე იყო. არაოფიციალური იყო ეგ პრიზი, თორემ ყველას დაიჭერდნენ. ლეგენდარულმა რეპერმა, ჟიურის წევრმა, „მადინა სერჯომ“ თავისი ფულით გაუმაზა ეგ პრიზი ნიკუშას. იმიტო, რო გაუტყდა, ამას როგორ არ მოვაგებინეთო. ეგ სხვებზე ოდნავ გემოვნებიანი ჩანდა. ისე, საერთოდ არსებობენ გემოვნებიანი რეპერები? მე მაინც მგონია, რომ არა. გემოვნებიანები რომ ყოფილიყვნენ, ბლუზმენები იქნებოდნენ. მაშინ ძალიან გაბრაზდა უფროსი სოლოღაშვილი. ახლობლობა არაფერ შუაში იყო. მასე ნიკუშას სხვა კლასელებიც მისი ახლობლის შვილები იყვნენ. მაგას ნიკუშა უყვარდა ძალიან. ერთი გაკვეთილის შემდეგ გაჩნდა ეგ სიყვარული. მაშინ ნიკუშამ უფროს სოლოღაშვილს სწორად უპასუხა კითხვაზე, „თეთრი არწივის“ ლიდერი გია ყარყარაშვილი იყოო. ისე ეგ სულ არ იყო პროგრამაში, მაგრამ უფროსი სოლოღაშვილი აძალებდა ხოლმე ბავშვებს, ვახტანგ გორგასალს გავკარი, ვის რაში აინტერესებს, ისტორია ისაა, რაც ახლაც დედას გვტირობსო. ჰოდა, მაგ სკოლაში ბავშვებმა მარტო უახლესი ისტორია იცოდნენ. უფროსი სოლოღაშვილი სულ უკან დაჰყვებოდა ნიკუშა გაგუას. თან რომა გაგუა ციხეში იჯდა, სად ეცალა შვილისთვის.

* * *

— რა იშოვე? — იკითხა უმცროსმა სოლოღაშვილმა.

— ხელფასი ჩამერიცხა, — უპასუხა უფროსმა სოლოღაშვილმა.

— რა შევუკვეთო?

— რაც გინდა.

— დაჟე?

— კაი, ნუ გაახურე რა.

— რა ხდება სკოლაში?

— რა უნდა ხდებოდეს სკოლაში?..

— როგორ სწავლობს ჩვენი გაგუა?

— მე რას მეკითხები, არ იცი?

— საიდან უნდა ვიცოდე?

— დედამისი გეტყოდა.

— მე და დედამისი პრიჩომ.

— საცემი კაცი ხარ!

— რეებს მიედ-მოედები, ძმაო ჩემო?

— შეეშვი!

— ვის შევეშვა?

— ბებიაშენს.

— შენ ვინ გეკითხება?

— მეკითხება.

— რა იყო, შენც გევასებოდა, ვერ ამბობდი და ახლა მოგინდა? — იცინოდა უმცროსი სოლოღაშვილი.

— გაბაზრებულია. ბავშვს დასცინიან წიომნად და სანამ ხმამაღლა უქნიათ, შეეშვი.

— შენ არ იყავი, რო მეუბნებოდი, მიდი, მიაწექიო?

— ხო, თხუთმეტი წლის რო იყავი.

— შენ ჩემი ძმა ხარ თუ გაგუას ბავშვის?

— არ მოსულა ეგრე!

— ბავშვობაში ჩემკენ იყავი, ახლა იმას იცავ, ბავშვთა დაცვის ორგანიზაცია ხარ?

— მოსწავლეა ჩემი და ეგეც რო არ იყოს, არ ხარ სწორი.

— მოკლედ, არავინ გეკითხება შენ...

— კაროჩე, ან შენით მოშორდები, ან დაგბრიდავ, ან რომასთან მივალ ციხეში, ჩავაყენებ საქმის კურსში და ის გადაგიწყვეტთ.

— შენ ვისი დამბრედი ხარ, უჩიწელ? რომას კიდე არ ეტყვი, არც ეგრე გაწირავ ამდენ ხალხს. რომას რო უთხრა, ეგ მარ-

ტო მე კი არა, ევასაც გაუჩალიჩებს და არ გაწყობს შენ. მოსწავლეს ხომ არ დააობლებ? ერთი მშობელი მკვდარი, მეორე პაჟიზნენი სროკზე... არა, ვერ იზამ. ჰოდა, ნუ ხტუნაობ ტყუილად.

— ვიზამ, ბიჭო, ვიზამ. ახლა რაც ხდება, მაგას ყველაფერი სჯობს. თან იმას ისე ვეტყვი, რო ევა არ გაიჭყლიტოს, მარტო შენ მოგდგება რომა გაგუა და ურჩიე მერე საქმეები. არც გაგირჩევს.

— მერე, ვანო? უმცროს ძმას წირავ? არ გრცხვენია? — იცინოდა უმცროსი სოლოღაშვილი.

— მაგარი ახვარი ხარ.

— რატო? სიყვარული მურტალია, ძმაო.

— ბავშვს ცხოვრებას ნუ უნგრევთ თქვე ნაბოზრებო! — ხმას აუწია უფროსმა სოლოღაშვილმა.

— შენ შენ ცხოვრებას მიხედე. მე ჩემსას მივხედავ და ბავშვი კიდე თავის პონტში იზამს რამეს.

— კაროჩე, მე ჩემი გითხარი!

— ჰოდა, მეც გითხარი. დავაი ახლა.

— არა, სანდრიკ, არა. მოიფიქრე.

— კარგი.

* * *

აი, ფერადი სურათიც. აშკარად მწვანეა ხეები ადამიანების უკან. თითქოს ისმის კიდეც მათი ტოტებიდან ჩამოვარდნილი გირჩების ხმა. ზოგი ფოტო ეგეთია. არც ისეთი გაყინული, როგორც ზოგადად ფოტოები და ზოგჯერ გაცილებით მოძრავი, ვიდრე ნამდვილი ცხოვრება დილაობით, გაღვიძებიდან სამი წუთის შემდეგ, როცა სინამდვილეში არც ვცხოვრობთ და უბრალოდ ვიხსენებთ, რომ ხელები და ფეხები გვაქვს, რომლებსაც ბევრი რამ შეუძლიათ. ფოტოებს უყურებ და ყველაფერი გესმის, ტოტების მტვრევა, ზღვის და ქვების შეჯახება, ტიპების ნასროლი სიტყვები და შენ წარმოიდგინე ფიქრებიც კი. ათას ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი წლის ზაფხულში ბორჯომი არ იყო ძალიან ცხელი და, საერთოდ, მე როგორც ვიცი, ბორჯომი არასდროს არ არის ძალიან ცხელი. მგონი, ზუსტად მაგიტომ მირბიან ადამიანები ბორჯომში, თორემ მაგათი დაგაზული წყალი მაღაზიებშიც იყიდება და საერთოდაც წყალი თუ გინდა, ახლა იმდენია ბორჯომის მსგავსი და უკეთესიც კი, რომ მის გამო მატარებლის ბილეთს არავინ აიღებს. და აი, ნანა შელეგიას აგარაკის მწვანე ჭიშკარი. ისეთივე ყველას მსგავსი და არაფრის მთქმელი, როგორც თავად ნანა შელეგია. მანდ ბიჭებს არაფერი ესაქმებოდათ. მხოლოდ ევა სილაგაძე იცნობდა ნანა შელეგიას. თუმცა როდის იყო, ბიჭები იქ მისვლას ერიდებოდნენ, სადაც არაფერი ესაქმებათ. იციან, რომ შეიძლება გული ეტკინოთ, მაგრამ მაინც სულ მიდიან იქ, სადაც არაფერი ესაქმებათ და არც გოგოებს აცდიან მათ გარეშე დასვენებას. მოკლედ, რაიმე ესაქმებოდათ თუ არა, ფოტოზე ჩანს და ფაქტია, იქ არიან. ნანა შელეგიას დაბნეული სახე აქვს, არ იცის, მის მშობლებს რა რეაქცია ექნებათ დაუპატიჟებელი სტუმრების მოსვლის გამო. როგორც ყველა ყველას მსგავს გოგონას, ნანა შელეგიასაც ძალიან აინტერესებდა, რას იტყოდნენ მისი და სხვისი მშობლები. ევა ბედნიერი ჩანს. რაღაც ასაკამდე ევა სულ ბედნიერი ჩანდა. ამიტომ ვერ გაიგებ, ამ ფოტოში ევა მართლა ბედნიერია თუ უბრალოდ ასე ჩანს. რომა გაგუას ხელში თაიგული უჭირავს და ძალიან ამაყია, როგორც ყველა კაცი, რომელიც იმას იღებს, რისი მიღებაც უნდა და შეიძლება არც იცის, რა არის ნამდვილი სიყვარული, მაგრამ ეგრე უნდა და მორჩა. ჰგონია, რომ ეგაა სიყვარული. იქნებ იცის კიდეც. მე არაფერს ვამტკიცებ, უბრალოდ კარგად მახსოვს, როგორი ბიჭიც იყო რომა გაგუა. მოკლედ, არ ვიცი, მე ისევ უმცროს სოლოღაშვილზე მეფიქრება, რომელსაც სახეზე მარტო ის აწერია, რა ჯანდაბად მიმიყვანა დედაჩემმა გიტარაზეო. ორი წელი ატარეს გიტარაზე. მგონი, კუპონები რომ იყო მაშინ. ადრე უხაროდა ხოლმე, გიტარაზე დაკვრა რომ იცოდა. ნანა შელეგიას აგარაკის ეზოში კი სიამოვნებით გადააკეთებდა გიტარას ავტომატად. გიტარაზე დაკვრა რომ არ სცოდნოდა, ამ საშინელ დღეს თავს დააღწევდა უმცროსი სოლოღაშვილი. რომა გაგუამ კი კარგად იცოდა, რომ ასეთ დრამატულ, რომანტიკულ ამბებს ძალიან უხდება ქართული რომანსები. უმცროსი სოლოღაშვილი მღეროდა — ნეტავ ფრინველად მაქცია, შენკენ გამოვყვე ნიავსა, ბავშვივით მოგეფერებიო... ასეთი გულწრფელი არასდროს ყოფილა სანდრო სოლოღაშვილი. ასეთი მატყუარაც არასდროს ყოფილა. ვის ატყუებდი, სანდრო? თითქოს რომა გაგუას სიტყვებს მღეროდი. რომა გაგუას სიტყვები თუ იყო, ცრემლებს რატომ ყლაპავდი? ძალიან სევდიანი ამბავი ხდებოდა შელეგიების აგარაკის ეზოში. სამყაროს ყველაზე დიდი ბრძოლა ბორჯომში მიმდინარეობდა. ამხელა სიმართლე და ამხელა ტყუილი ერთ მთლიანობად აქამდე არასდროს არავის ენახა სამყაროში. ევა სილაგაძე ტიროდა და სოლოღაშვილის თითებს უყურებდა. თითქოს საერთოდ არ აინტერესებდა რომა გაგუა. უმცროს სოლოღაშვილს სძულდა ის ფაქტი, რომ დაიბადა, გაიზარდა და ევა სილაგაძე შეუყვარდა. საერთოდ სძულდა ის, რომ კაცებს და ქალებს ერთმანეთი აინტერესებთ ხოლმე. იმ დღეს, ბორჯომში, შელეგიების აგარაკზე, რომა გაგუამ ევა სილაგაძე დანიშნა. მაშინ პირველ კურსზე იყვნენ. უფრო სწორად პირველ კურსზე იყვნენ ევა და უმცროსი სოლოღაშვილი. რომა გაგუა სულ სხვანაირად უყურებდა ცხოვრებას. იმ დღეს, ბორჯომში, შელეგიების აგარაკის ეზოში, სანდრო სოლოღაშვილმა შურისძიება გადაწყვიტა. ამ შურისძიებაზე ვერავის ხათრით ვერ იტყოდა უარს.

* * *

მე მგონია, რომ ისტორიის მასწავლებლები იშვიათად ეწევიან სკოლის ტერიტორიაზე. განსაკუთრებით სკოლის ტუალეტის გაყვითლებულ ფანჯარასთან, რომელთანაც ხშირად იკრიბებიან ყველაზე დაუმორჩილებელი თინეიჯერები საკლასო ოთახების ბოლო მერხებიდან. დაუმორჩილებელი უფროსკლასელები ისედაც ეტანებიან ტუალეტის ფანჯარასთან ბიჩოკების ჩუმ გადაწოდებას და მასწავლებლებმა, სასწავლო ნაწილმა და დირექტორმაც, ხშირად უნდა შეიხედონ შიგნით, რომ იმაზე ილაპარაკონ, მოწევა კლავს, მოწევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას და იმპოტენციასაც კი. ჰოდა, ამის ფონზე კიდევ უფრო იშვიათად ეწევიან ისტორიის მასწავლებლები სკოლის ტუალეტში და ვინმე თუ დაინახავთ, ალბათ მათი კარიერაც დასრულდება და არც მასწავლებლის გამოცდაზე გაუშვებენ, სადაც მასწავლებლები უფრო მაღალი ხარისხისთვის იბრძვიან, რომ სახელმწიფომ ინამუსოს, შრომის კოდექსი გადაშალოს და უკეთესი ხელფასი გადაიხადოს. ისე, ძალიან წესიერი მასწავლებელი იყო უფროსი სოლოღაშვილი. ტუალეტშიც მხოლოდ იმიტომ ეწეოდა, რომ კორიდორში მოსწავლეები იდგნენ. ნიკუშა გაგუას ულოცავდნენ ბელგიური ლუდის მოგებას და თან ეკითხებოდნენ, შენ ჯობიხარ, ქულიო თუ თუფაქიო? ნიკუშა გაგუა პასუხობდა, მე ვჯობივარო. არ სჯეროდა, მაგრამ მაინც ასე პასუხობდა. მგონი, არც იმ ორს სჯეროდა. ნიკუშა გაგუას ეცვა დახეული ჯინსები, იმ ორს, არ მახსოვს, რა ეცვა. ალბათ დაიბენით და ფიქრობთ, სკოლის კორიდორში ბავშვები სულ დგანან და სულ ლაპარაკობენ, მოწევა რა შუაშიაო...

— კაი ბრატცი, გავედი, სბოგამ, — თქვა ნიკუშა გაგუამ და საკლასო ოთახისკენ წავიდა.

— დავაი, ნიკუშ, — ერთხმად თქვეს ბიჭებმა.

— რას ელოლიავები ამას? — თქვა შავგვრემანმა.

— რავი, კაი როჟაა. მამამისი, იცი, ვინაა? — თქვა ქერამ.

— ვინაა?

— ბლატაობს მაგრად. ზის ახლა.

— მე დედამისი ვიცი, — ჩაიცინა შავგვრემანმა.

— მერე?

— ბოზია. ისტორიის მასწის ძმა ხერხავს.

აი, სწორედ ამიტომ ეწეოდა უფროსი სოლოღაშვილი სკოლის ტუალეტში. პირველად თავის ცხოვრებაში. არა, მეორედ... ერთხელ მერვე კლასში რომ იყო, მაშინ მოწია.

* * *

მაგნიტოფონიდან ძველი სიმღერა ისმოდა. მსმენელი იყო ძალიან კულტურული. ორკაციანი აუდიტორია საყოველთაო სიჩუმით გამოხატავდა პატივისცემას ხელოვნებისადმი. მღეროდა ეკა კახიანი. მისამღერში ამბობდა, ჩვენი დრო მოვიდაო. ევას ეს სიმღერა იმ დროს ახსენებდა, ოცი წლის რომ იყო. ევა სილაგაძეს შუა ხნის კრიზისი ჰქონდა და ყველაფერს უფრთხილდებოდა, რაც იმ დროიდან ჰქონდა შემორჩენილი, როცა ოცი წლის იყო. ეკა კახიანის სიმღერის გარდა, ჰქონდა ჟურნალი „გზა“-დან ამოხეული სანდრა ბოლოკის პოსტერი და ვიდეოს კასეტაზე ჩაწერილი სერიალ „წვრილ ვარსკვლავთა ღამის“ ყველა სერია. უმცროსი სოლოღაშვილი კი, კახიანის სიტყვებს უფრო სიმბოლურად აღიქვამდა, ვიდრე ნოსტალგიურად და ცდილობდა, ჯეკ ნიკოლსონივით გაეღიმა. ოთახში იყო სიგარეტის, ყავის და ოფლის სურნელი. ევა იყო შიშველი. უმცროსი სოლოღაშვილი ვერ ამჩნევდა ევას პატარა ღიპს და ამიტომ ნერვები ეშლებოდა, როცა სილაგაძე იმ დროზე ოცნებობდა, ოცი წლის რომ იყო. სანდროს ეგონა, ევას რომა გაგუა ენატრება და იმიტომ ოცნებობსო. სანდრო სანოლში იწვა. ევამ ვაშლი აიღო, შუაზე გაჭრა და სანდროს მიუწვა. ერთი ნახევარს თვითონ ჭამდა, მეორე სოლოღაშვილს მიაჩეჩა. სანდროს ხილი საერთოდ არ უყვარდა და მხოლოდ ცივ საზამთროს ჭამდა ხოლმე, მაგრამ ევას ხათრით ვაშლს ორჯერ უკბიჩა.

— უნდა მოაგვარო! — დაიწყო ევამ.

— რამეს ვიზამ... — ჩაილაპარაკა უმცროსმა სოლოღაშვილმა.

— რაო, რა მინდაო?

— ჩემი მოსწავლეა და სკოლაში დასცინებენო.

— ჩემზე ძაან უყვარს ჩემი შვილი?

— ხო, ალბათ. მაგას პატარაობიდან ევასება თავისზე პატარების დაცვა.

— მასწავლებელიც მაგიტო გახდა?

— ხო ალბათ, მე რა ვიცი.

— ხურუშიანი ეგ. მოაგვარებ ხო?

— დავშორდეთ და მოგვარდება, — გაიცინა უმცროსმა სოლოღაშვილმა.

— დამშორდები და ვინმეს ვიპოვი. მაგრად გაგამწარებ იცოდე.

— ეგრე თუ გიყვარდი, რას ეცი რომას?

— დაგესწრო და შენ გეცემოდი.

— ესე იგი, მაშინ მე და რომას კი არა, ვინმე სხვასაც რო ეთქვა ცოლად გამომყევიო, გაჰყვებოდი?

— არა.

— აბა, რას მეუბნები?

— თქვენ ორს შორის ვმერყეობდი და თან მაგრად ვერთობოდი სახე რო გელეწებოდა ხოლმე.

— სადისტკა იყავი?

— არა, გოგო ვიყავი.

— კაი ხო. ახლა რო გაგიტეხო თავი, რაღა აზრი აქ.

— შენ ძმას გაუტეხე თავი, ბევრს რო ლაპარაკობს.

— თუ აზრზე არ მოხვალთ, რომასთან მივალ, უჟე ფეხებზე მკიდიაო.

— რომა თუ ჩვენ ამბავს გაიგებს, ჩათვალე, მკვდრები ვართ.

— ვაბშე რას ღალატობ ეგრე თუ გეშინია?

— აბა, ცხრა წელი ვის ველოდო?

— რამეს ვიზამ მოკლედ.

— გააჩუმე როგორც გინდა.

— კაი-მეთქი.

— რისი გაკეთება შეგიძლია ჩემს გამო? — წამწამები აათამაშა ევა სილაგაძემ.

* * *

სოხუმის დაცემის დღე იყო და უფროსი სოლოღაშვილის მოსწავლეები პრეზენტაციებს აკეთებდნენ აფხაზეთის ომის თემაზე. მანამდე ბავშვებს დირექტორმა მიმართა და მოუყვა ეროვნული გმირების შესახებ, რომლებიც სამშობლოს ჩვენმა სკოლამ აღუზარდა და რომლებიც აფხაზეთში დაიღუპნენ. უფრო სწორად, მოუყვა კი არა, მათი სახელები და გვარები უთხრა. დაფასთან იდგა ნიაკო წოწკოლაური, გრძელთმიანი გოგონა, ძალიან დიდი, წითელი კიკინით. მგონი, იძახდა ჟიული შარტავა ქალაქში ბოლომდე დარჩა, ჯერ შევარდნაძეს დაურეკა, მერე ლოთი ქობალიას და მაინც არაფერი გამოვიდაო. ვანო სოლოღაშვილი ცხოვრებაში პირველად არ უსმენდა მოსწავლეს და დებილივით უყურებდა ნიკუშა გაგუას. ფიქრობდა, დავიჯერო ეს ბავშვი მართლა ჩემ ძმაზე ძალიან მიყვარსო? ისე, მართლა საყვარელი ბავშვი იყო ნიკუშა გაგუა. არც დედას ჰგავდა და არც მამას. რომელიმეს რომ დამსგავსებოდა, საერთოდ არ იქნებოდა საყვარელი. ცუდ სიტყვებსაც მხოლოდ მაშინ ამბობდა, როცა რეპავდა. ისე, მე მაინც სისულელე მგონია ათოსანი რეპერი. ალბათ როდისმე გადაუვლიდა და ფილოლოგიურზე ჩააბარებდა. იქნებ კარგი მუსიკის მოსმენაც დაეწყო... უფროს სოლოღაშვილს ძმაზე მეტად მხოლოდ საკუთარი თავი უყვარდა. საკუთარი თავი რომ არ ჰყვარებოდა, შეიძლება არც ჩარეულიყო ამ ამბავში. მაგრამ სინდისის ტკივილი კბილის ტკივილზე დიდი წამებაა ადამიანისთვის და ხო გითხარით, უფროს სოლოღაშვილს უყვარდა საკუთარი თავი და ამიტომ ვერც წამებისთვის ვერ გაიმეტებდა. ნიაკო წოწკოლაურმა პრეზენტაცია დაამთავრა. მასწავლებელს შეხედა, გაუღიმა და ძალიან ეწყინა ვანო მასწავლებელი მის ნაცვლად ნიკუშა გაგუას რომ უყურებდა. არადა, უფროსი სოლოღაშვილი კვლავ იმას ცდილობდა, საკუთარი გმირობის ახსნა მოეძებნა და მიმხვდარიყო, რატომ არ აცდიდა ძმას ნანატრ ბედნიერებას და რატომ იცავდა ასე, პატარა მოსწავლის ოჯახის რეპუტაციას. თან არასდროს უყვარდა ეგ ოჯახი. რომა გაგუას და ევა სილაგაძეს ჯერ ძმის გამო ვერ იტანდა და მერე იმიტომ, ერთს გაუნათლებელ, ბოროტ იდიოტად, მეორეს კი სადისტ ბოზანდარად რომ თვლიდა. ამ დროს სოლოღაშვილების ძველი ბინის ძველ საძინებელში უმცროსმა სოლოღაშვილმა გაიღვიძა. ადგომა ეზარებოდა და ჭერში დაიწყო ყურება. ერთი ბუზი, ორი ბუზი, სამი ბუზი... ითვლიდა სანდრო სოლოღაშვილი. მერე შეწყვიტა თვლა, ესე ხო ისევ დამეძინებაო. რა მოიფიქრე სანდრიკ? — ჰკითხა თავს უმცროსმა სოლოღაშვილმა. ჰეჰ, შე ახვაროო, გაიფიქრა. ევას გამო ყველაფერი ღირს, ახლა არ დამიწყოთ მორალის კითხვა, მე პირველი კურსის მერე ამორალური ვარო, თავს იმართლებდა წინაპრების სულებთან. ამასობაში უფროსმა სოლოღაშვილმა ახალი მოსწავლე გამოიძახა დაფასთან. იქნებ მეც მიყვარს ევა და ვერ ვხვდებიო? — გაიფიქრა ვანომ. ხო, ვერ ვხვდები და მე რომ მოსწავლის დაცვა მგონია, ეგ ეჭვიანობაა და ძმასაც კი ხელს ვუშლიო. მერე ისევ ნიკუშა გაგუას შეხედა. ნიკუშას მაგრად უხაროდა, რეპერების კონკურსში ბელგიური ლუდი რომ მოიგო და მაგის მერე არასდროს ჰქონია დაბღვერილი სახე. უფროსმა სოლოღაშვილმა დაივიწყა ევასადმი ფარული ტრფობის თეორია. ეგრევე მიხვდა, მართლა ნიკუშა და სინდისი მყვარებიაო. აუფ, ბატონო ივანე, როგორ გიყვართ თავის ქება. კეთილსინდისიერო ბატონო ივანე... — საკუთარ თავს დასცინოდა უფროსი სოლოღაშვილი. ჩემ ძმას არაფერი მოუვა, თუ იმას იზამს, რასაც მე ვეუბნებიო, თავს იმშვიდებდა ვანო. თუ იმას არ იზამს, რასაც მე ვეუბნები, რაც უნდა ის მოუვიდეს, მაინც უნამუსო ვირიშვილიაო. ევა და რომა სულ ფეხებზე ეკიდა უფროს სოლოღაშვილს. მაგ ახვრებმა ისედაც ბევრი აწვალეს ეს ბავშვი და ეხლა ერთმანეთს თუ დახოცავენ, იქნებ უკეთესიც კი იყოს ნიკუშასთვისო. უმცროს სოლოღაშვილს, უფროსისგან განსხვავებით, ყოველთვის ეზარებოდა ფიქრი, ამიტომ საწოლიდან მალევე წამოხტა, ფანჯარასთან მივიდა და ნომერი აკრიფა.

— ჰალო ბრუდერ! — თქვა უმცროსმა სოლოღაშვილმა.

— რა გინდა? — უხეშად ჰკითხა ძმამ.

— შპრეხელ ზი დოიჩ?

— გაკვეთილზე ვარ!

— ჰეჰე, რომანიჩიც მანდაა? გადი კორიდორში საქმე მაქ.

— გამოვედი, თქვი.

— გადავწყვიტე!

— რა გადაწყვიტე?

— შეგხვდები და გეტყვი. ტელეფონში მეზარება. მაგ გაკვეთილს რო მორჩები გამოდი ეგრევე.

— სად?

— მტკვარზე რო პლანს ვეწეოდით ხოლმე, ხო გახსოვს?

— ხო.

— აი, მანდ.

— კაი.

— რამე გრძელი მითხარი, შეჩემა. ძმა ვარ შენი.

— მოვალ-მეთქი. ე.

* * *

სანდრომ ტელეფონი ჯიბეში ჩაიდო. სამზარეულოში შევიდა. დანებს შორის ყველაზე საშუალო ზომის ამოარჩია, ქამარში ჩაიდო და სარორჩკა ჩამოაფარა. უმცროსი სოლოღაშვილი ძმის მოსაკლავად მიდიოდა...



ვაჟა ხორნაული

ტაძრების გამხარებელი

ღმერთისერთაა სამშობლო
გაუტეხელი რჯულითა,
გასაოცარი კოშკებით
ლამაზად დაბინდულითა.
სხვაგვარად განათებული
გონებითა და გულითა,
ცამდე ასული ყანებით,
გაბრწყინებული ხნულითა.
მარადიული ფერებით
ცით ცამდე გადასულითა.
პირმზითი დამშვენებული,
კლდეებით, წამახულითა.
სამოთხესავით გაშლილი
თოვლით და გაზაფხულითა.
პირმშვენიერი ღრუბლებით
მზისაგან მოქარგულითა.
მეშვიდე ციდან ნათქვამი
სასწაულებით ბრძნულითა.
ხმებით და ექოებითა
ლამაზად ჩახლართულითა.
ტაძრების გამხარებელი
„ვით ედემს ალვა რგულითა“,
ქვეყანა ამაღლებული
ხატების სიყვარულითა.
ხან მონატრებით შეძრული,
ხან კიდევ — სინანულითა.
ხან — ეჭვისაგან დაჭრილი
ხან კიდევ — სიბრალულითა.
ზოგჯერ ჰაერი მკრთალდება
ავყიაობით კრულითა.
ვერ გააოცებ უნიჭოს
ვერც ლექსით, ვერცა სმურითა.

მაშინღა

კარგი ყოფილა ცხოვრება
და ტურფა სანახავიო.
საწოლის თავთან მეკიდა
დაზარნიშული ხმალიო.
ხან ქარებს ვეომებოდი,
ხან მივუჯარე კარიო.
ხან დავუწუნე ამინდი,
ხან გულში ჩავიკარიო.
ხან უცხო გზებზე ვატარე,
ხან ავუწენე წყალიო.
როცა ძალიან მიმჭირდა,
მაშინღა გავიცანიო.

საორგის ხეობა

კლდისაკენ, ჩანჩქერისაკენ
გადახრილიყო გოდოლი.
ეზოში იდგა წყაროსთან
დოინჯიანი გოდორი.
ქარს — ქარალების ძმობილსა —
მიჰქონდა ნისლის კოტორი.
ათამაშებდა ფოთოლსა
ჭიამაია ობოლი.
კაცს კულულები შვენოდა,
გოგოს ხატავდა ქოჩორი.
ახალისებდა ხეობას
იაიების ჩოჩქოლი,
ბალახზე კოტრიალობდა
ერთი პატარა ჩოჩორი.

* * *

ჟამი აივლის, ჩაივლის,
ცას გაათბობენ ქარები.
იქნება წვიმის კონცერტი,
გაიელვებენ რკალები.
სიმწვანეს დაამშვენებენ
ფირუზები და ლალები.
გადაგეხვევა ამინდი,
სასწაულს დაემგვანები.
ფიქრს გულში დაათენდება,
დაენამება თვალები.

ნეტავ რატომ და რისთვისა?!

ტაძარი გადარჩენილი
უფრო მაღალი გზისთვისა.
დღე — ბილიკების მფარველი —
ღამე შობილი დღისთვისა.
ხელი — ღიმილით გაწვდილი
დამარცხებული მტრისთვისა.
ტალღები მიბარებული
მარადიული ზღვისთვისა.
სიცოცხლე ამაღლებული
უფრო მაღალი მზისთვისა.
ხმა — სივრცეებში მლოცველი
უფრო ნათელი ცისთვისა.
თვალცრემლიანი კრავები —
ბედნიერება მგლისთვისა.
მამული აკვნესებული
ნეტავ რატომ და...
რისთვისა?!

* * *

ხან სითბო გამოგაღვიძებს,
ხან — უმზეობა ხაროსი.
ხან მთებზე წამოგეწევა,
ხან უდაბნოში ტაროსი.
გიხდება, გესხვაფერება
მშვენიერება ჯვალოსი.
არ მიგატოვებს უფალი
დამბადებელი წყაროსი.

როდესაც

...და ყველგან,
ყველგან მელანდები...
ასე რატომ ჩაფიქრებულან,
ან რამ დააღონა
ასე კელაპტრები?
როდესაც ასე ძალიან
მიყვარხარ,
როდესაც ასე ძალიან
მენატრები...

კვლავაც იქნება

ბევრჯერ შევუდგი ჩქერალს ფაცერი
და სიყვარულით ვიყავ ამაყი.
ცელი დავდე და ლექსი დავწერე.
ამოდიოდა კლდეზე ბალახი.
წისქვილში ჩიტი ბუდეს იკეთებს,
ბედნიერია სახე გელაზის,
გულს უხაროდა, ფიქრს უხაროდა
მელოდიები სარეკელასი.
ამოდიოდა სხივი წყაროდან,
ისმოდა სევდა სარეველასი.
იბადებოდა სითბო მდელოთა
და სასწაული იყო ზარების
მაღალი ქარი ისე მღეროდა,
რომ იხსნებოდა ზეცის კარები.
კვლავაც მოგივლენს ღმერთი წყალობას,
კვლავაც იქნება დარი მზიანი.
ვარსკვლავეთიდან ისმის გალობა
და მარადიულ სიმთა წკრიალი.

* * *

ყვავილს თუ დააბიჯებ,
წყაროს თუ ჩააქრობ,
ვარსკვლავები სივრცეში
შემავალ კარს დაგიკეტავენ.

* * *

მას შემდეგ, რაც დედამ
სათვალე გაიკეთა,
ღმერთი სულ მტკიოდა.

* * *

წისქვილიც წაქცეულა
და მაღალ ბალახში
დაღლილი მგზავრებივით
წვანან დოლაბები.

* * *

ღმერთმა ადამიანს
სინათლე დაუტოვა
და კიდევ სისუფთავე
ნამისა. დანარჩენი
შენ თვითონ იციო.

* * *

ჩრდილი გამოვიდა
გაბზარულ კედლიდან
და ხმალი დაღლილი
და ფხაგალეული
იმ ბზარზე ეკიდა.

* * *

ყანას სიმწვანე წაუვიდა
და ოქრო მოვიდა,
რომელიც მარცვალ-მარცვალ
წაიღეს ჩიტებმა.

* * *

ტაძრის ბზარში
სანთელი გვინთია.
რა ქნას სიყვარულმა,
როდესაც იმედი პატარაა
და დარდი დიდია?..

გიორგი ხარაიშვილი

* * *

სული მოითქვი, ადამიანო,
ხატო ღვთისა და
შვილო კაცისა...
სული მოითქვი, სული დაღლილი,
ასე ყოფილა,
აწი რას იზამ...
რაც ხარ, ესა ხარ,
სხვა ვერ იქნები...
ვერც მიწასა და ვერც ცათა შინა...
დაწერილია შენი წიგნები,
ფურცლებში შავ-ბნელ ურჩხულებს სძინავთ...
ეს ნათელი კი,
ბნელში რომ ბჟუტავს,
სულ სხვა სხივია... (სულ სხვა მნათეა)...
ეს ოთახი კი ფერს იცვლის მუდამ,
მასში გრძნეული ხმები დადიან...
გთხოვ, შეისვენე,
საით, საითკენ...
შენც ხომ არ იცი, სად მიგელიან...
შენს ზემოთ ცაა, ცაზე დახრილი
ღრუბელი თითქოს ცის ფლიგელია...
ორი გზა... მხოლოდ
ორად ორი გზა...
ჩალაგებული ფიქრი ვაზნებად
და მწარე სევდა წარმავალობის
სუყველას ტანზე რომ გვეტმასნება...
ნელა იარე, სული მოითქვი,
ხატო ღვთისა და
შვილო კაცისა...
ცოტა შეჩერდი, მიმოიხედე,
ასე ყოფილა,
აწი რას იზამ...

* * *

ასე არ მოვლენ აწი ფიქრები,
ასე ძალუმად, ასე ნატიფად...
რაც დღეს ვარ, აწი ვეღარ ვიქნები,
დღეის მზე მთვარის ცელმა გათიბა...

რაც ვარ, დღესა ვარ, დღეს მომისწარი,
არ ვარ ხვალის და არ ვარ მყოფადის...
არა ვარ, თორემ ჩემს თავს ცისკრამდე,
პირველ სხივამდე, შემოვღობავდი...

დღეს კი ღია ვარ, როგორც ტაძარი,
ჩემსავე ჩრდილში გამომწყვდეული...
და მხოლოდ სულმა იცის, სადამდე
გაძლებს, ეყოფა მისი სხეული...

* * *

უვერტიურა.
რიჟრაჟი. დილა.
ნისლის ნაცნობი გემო...
გთხოვ, ანგელოზო,
იყავი ფრთხილად,
არ ჩამოვარდე ქვემოთ...
აქ ჭაობია,
მეც ვითელები,
როგორც ყვავილი მინდვრის.
შენი ფრთები და
ჩემი ხელები
ერთი ხნის არის... თითქმის...
დაკაწრულია უჩვევი სივრცე,
მწარეა, როცა ტყვე ხარ.
შენ შეგიძლია, დემონად იქცე,
მე ანგელოზად
— ვეღარ...

ვნების კვირა

შიშია სოფლად და
შიშია ქალაქად...
სისხლისფრად დალაქა დრომ შენი ალაგი...
სიმცირის ტყვეობას
ვერ გაუმკლავდები
(ღმერთია თავდებად... ღმერთია თავდები)...
მთავრდები...
ვეღარსად წაუხვალ, შემოდი...
ცა გახსენ საძილე აბების გემოთი!..
„სიკვდილი იაფი, სიკვდილი ბითუმად“...
გაჰკივის სამყარო
და რაღაც იდუმალ
ხმებშია ჩაფლული სხეული-ტუსაღი,
იხრები ირიბად და თითქოს უსახურ
არსებებს ეკვრები ჩრდილად და პროფილად,
მიწა მეწამული ცით უარყოფილა...
და თუ არ ყოფილა სხვა გზა, სხვა...
ჩვენსავე
გულიდან იყივლებს
მამალი მესამედ...
და რაღა დაგიცავს... ეკლები, ეკლები...
დედის დატირება და „შენი კვესა მე“...
შიშია სოფლად და შიშია ქალაქად,
ვიყავით ტალახი,
ვიქცევით ტალახად...
მაგრამ გზებს როდესაც ურემი გათელავს,
ვაითუ ვერ შევძლოთ ყველაფრის დანახვა!..

გაზაფხული

მე ვწერ გაზაფხულზე,
ჩემო მხრებშიშველო,
ლავიწამოყრილო მარტო...
დარჩა გამზირები, მხოლოდ ვიტრინებზე
ჩამოფასებული მანტო...
ზამთარს გაექეცი, თეთრი ქალწულივით
მზე რომ დაიღვენთა ყვითლად.
გამოამზეურა ზეცამ სამოსელი,
ძველი, ვერცხლისფერი მიტრა...
ჩემო ფეხშიშველო, თეძოგანიერო,
ჩრდილი დაგდგომია ხეთა...
ჩემდა სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ,
ოცდამესამეჯერ გხედავ...

* * *

ცხოვრება ცალმხრივი სიყვარულია,
სხვა არაფერი.
შენ ელი, ის კი სხვა გზებით დადის,
სხვა ბილიკებზე დაეხეტება.
შენ კი დგახარ და ელოდები,
ზიხარ და ელოდები,
წევხარ და ელოდები.
ის კი სხვა ჯურღმულებს ეძებს,
სხვა ფათერაკებს,
სხვა შენობებში ათევს ღამეს,
ქალაქის ვიწრო ქუჩებში მიმავალი
სხვას უღიმის და ღამით
სხვას უყოფს სარეცელს.
შენ კი თვალები გივარდება
ჩარჩოებიდან,
ხელები გიჭკნება და ცოტავდები...
ის კი, ვითომც და არაფერი,
აგრძელებს ღიღინს და ეფარება
მთებსა და სახლებს...
ბოლოს კი, როცა ლოდინი დაგამარცხებს,
მკვდარს გადმოგხედავს ერთს მედიდურად
და ჩაგჩურჩულებს:
მე კი არა ვარ წუთი სოფელი,
წუთი შენა ხარ,
ჩემს უსასრულო ციფერბლატზე
ამაყად მდგარო უსუსურებავ...

* * *

რა არის თებერვალი...
ქარსა და ნალექიან
დღეებს რომ დალექავენ გონების ტერასებზე...
იწყება წვიმის და ცრემლების ელეგია,
ღრუბლებში იმალება, იშლება მეასე მზე...
კანში რომ შემოდიან, ძვლებში რომ მიმოდიან...
გული ტიმოთეა ცეცხლისგან დანაცრული...
თებერვლის დამდეგია, მოკლეა თებერვალი,
უდროოდ წასული ბავშვივით არასრული...
ისეთი სინათლეა, გუგებს რომ გაგიბზარავს
და ხელის მტევნებში გეღვრება მოგონება...
ცივა და შორეულ ნისლებში იმალება
წარსულის ხვეულები — ოქროსფერლოკონება...
რა არის თებერვალი —
ვნებების გახელება
და მიმქრალ კოცონთან ჩურჩულის ანა-ბანა...
შვიტები წატრუსულ თავებს რომ აღერებენ
მინდვრებში აფრენილ ყანჩების ანაბარად...
გაიქეცი, შენ აქ არ და ვერ დაგედგომება,
სევდის ფოთლებია გარშემო მოფენილი..
გაიქეცი! გაიქეცი!..
მოკლეა თებერვალი,
მოკლეა თებერვალი ამ წუთი-სოფელივით...

გოგენის შემოდგომა

წვიმები. წვიმები. ქარის არითმია,
ხმები რომ შემოაქვს სახლში, გალუმპული...
წვიმს (ყველა წვეთი სევდის გარითმვაა)...
ქარის... და თან მიაქვს ხეების ბუმბული...
ისე მენატრები, სიტყვები ითელება,
როგორც ყვავილები ასფალტზე გადაშლილი...
რას იზამ, შემოდგომა ყოველთვის ყვითელია,
ალაგ კი სითეთრეს გაურევს განგაშივით...
როგორ მეცოდება მიწა ცრემლიანი
წვიმით რომ ევსება გუბეთა უპენი...
და სასოწარკვეთილი ჭირისუფალივით
ძაძით შემოსილი დაჰყურებს ღრუბელი...

* * *

ყველა დაცემა რომ გაგიმხილო,
ყველა ტალახი,
ყველა ჭაობი...
რაღა დამრჩება. ქარის გარეშე
საქანელებიც ვერ ქანაობენ...
შენ კი მჭირდები,
როგორც წყლის წვეთი
დაღლილ შუბლზე და
დამსკდარ ბაგეზე,
მჭირდები,
რადგან შენი ცხოვრებით
დღემდე უცნობი გზისკენ მაქეზებ...
რა დააშავეს ძველმა ფიქრებმა,
რომ, როგორც კანი, ისე მეცლები...
რა დააშავეს ძველმა ფიქრებმა
თავისი რწმენით
და უმეცრებით?!
დღეს კი, არ ვიცი, რა გაგიმხილო,
რომელი ცოდვა გავაიაფო,
როცა ჩემს ცრემლზე შენი ღიმილი
ტბის ყვავილივით წითლად კიაფობს...
რომ გაგიცოცხლო ყველა ტკივილი,
ყველა ტალახი,
ყველა ჭაობი. რაღა დამრჩება.
ქარის გარეშე
საქანელებიც ვერ ქანაობენ...

ხელოვანის თბილი მოგონებების ადგილი

ძველისძველი ქვის სახლი, ხრიოკი ეზო და ღარიბი ბაღი, რომელშიც რამდენიმე ვაშლი, ალუბალი, ტყემალი, ნუში, დაფნა და კაკალია. კაკლის ქვეშ დგას მაგიდა და სკამები. სახლში ძველი ავეჯია, შავი პიანინო და ნესტიანი კედლები. აი, ჩემი ბედნიერების ადგილი, ბავშვობის გარემო, სულ აქ მინდა ხოლმე ასვლა, როცა რაღაც კარგი ხდება ჩემს ცხოვრებაში, ან უბრალოდ კარგ ხასიათზე ვარ...

ერთხელ რაღაც მძიმე მოხდა ჩემს ცხოვრებაში და აღარ ავსულვარ, მეტიც, იქაურობაზე ფიქრი, განსაკუთრებულ ტკივილს მაყენებდა.

მერე ღმერთმა გადმომხედა, სიმძიმემ გადაიარა და 21 იანვარს ჩემი მეგობრის დანჯღრეული ტოიოტა პრიუსით ისევ ავედით, შეგვეგებნენ ბიძია და ბებიები (ახლა მხოლოდ ისინი ცხოვრობენ იქ). მოვიკითხეთ ერთმანეთი, რამდენიმე ჭიქა რქაწითელი დავლიეთ, გავიგეთ სოფლის ამბები, ჩემმა მეუღლემ კედლის კალენდრის ფურცელი მომცა, ზედ ბაირონის კარიკატურა იყო, ასევე ეწერა მისი დაბადებისა და გარდაცვალების წლები. ვისაუბრეთ მე და მეუღლემ ცოტა ხანს ბაირონზეც, მერე ბაღში გავედით, გაძარცვული იყო იქაურობა, მხოლოდ დაფნას ეტყობოდა სიცოცხლე.

— სანამ აქ არ ამოვედით...

— ვერ იგრძენი ხო სიმშვიდე?

— ვერა...

— ხელოვანებს გაქვთ ასეთი უცნაურობები...

— ყველა ხელოვანს აქვს ბედნიერების, თბილი მოგონებების ადგილი...

— მარტო ხელოვანებს?

— ხელოვანებს სხვა გული აქვთ...

მეუღლემ მხოლოდ გაიღიმა, არაფერი მიპასუხა, მაგიდისკენ წავედით. ცოტა ხანს ვიდექით მდუმარედ, მერე დაფნიდან ორი ჩიტი აფრინდა და მუქლურჯ ზეცაში გაუჩინარდა.

საქართველოს სამოსი

სუფრა იყო სავსე და საქართველოს საღღეგრძელოს სვამდნენ. ო, რა საღღეგრძელოები იყო, რძითა და თაფლით სავსე, პათეტიკური, აღმატებული, თან ვინ სვამდა? ქალაქელი კაცები, ინტელიგენტები, ტყავის ქურთუკებით, შავი სათვალეებით, რკინისსამაჯურიანი საათებით. ერთმა მისი წარსული დალოცა, მეორემ აწმყო, მესამემ მომავალი, მეოთხემ მისი ბუნება, მისი კულტურა და გარემოს ესთეტიკაზე ისაუბრა, ჩოხიან საქართველოს ვენაცვალეო, მის ჩოხას გაუმარჯოსო, მეხუთემ თქვა ყველაზე საინტერესო რამ, ოდნავ წელში მოხრილმა, ცოტა ბლატნოი ტონით და მანერით:

— მე საქართველოს ჩოხაში კი არა, ლამაზ პიჯაკსა და ჰალსტუხში ვხედავ, ჩოხას არაფერს ვერჩი, მაგრამ მე ასეთი საქართველო მომწონს...

ყველა გაჩუმდა, კაცს ხელი უკანკალებდა, ჭიქაში ყვითლად ღადღადებდა ბრენდული კონიაკი, ოთახში ხმადაბლა ისმოდა ჯო კოკერის მუსიკა და ქალაქის სუნთქვა. მე ფიქრებში გარინდებული ვიჯექი...

პატარა ამბავი

ეს ძალიან პატარა ამბავია, ჯუჯა ამბავი. ერთ დღეს ერთმა ტიპმა, რომელსაც მე პირობითად ს-ლ-თი მოვიხსენიებ, იყიდა მანქანა, ჯიპი, წითელი, არც თუ ისე ცუდი. გამოვიდნენ ტიპები, აიხადა ძრავის საფარებელი და აღარ გაჩერდნენ, ისეთი ყურადღებით დაათვალიერეს და შეისწავლეს თითოეული თვალით შესამჩნევი ადგილი, რომ ასე მეგონა, აღარ მორჩებოდნენ, თან უკანასკნელ ხმაზე ლაპარაკობდნენ — სხვა კონკურენტ მანქანებთან შედარება, ბენზინის ფასი... ისეთი დაკვირვებით, ისეთი ინტერესით, ისეთი ჟინით, დიდი ჟრიამული იყო, ხელებაკაპიწებული, ყველაფრისმცოდნე, მეწვრილმანე, მატერიალისტი ბატონების. მხოლოდ მე და ჩემი მეგობარი, ნიკოლოზი ვისხედით ჩუმად, ხის ქვეშ, წინ კარტი ეყარა. შევხედავდი ხოლმე ხშირად, რა კომენტარს გააკეთებდა. ჩუმად იყო, მხოლოდ ბოლოს, რომ მორჩნენ, დაუძახა ყველას ერთად, მოიხედეს, ერთი კითხვა მაქვსო, სმენად იქცნენ.

— ეგეთი ინტერესით და გულით, ცხოვრებაში თუნდაც ერთხელ მაინც ან თუ გილოციათ ან გალაკტიონის ლექსი თუ წაგიკითხავთ?

არ ესიამოვნათ, სახეები დაიმჟავეს და იგნორით უპასუხეს, გამეცინა, კარტი ავიღე და დარიგებას შევუდექი...

ფრანგოფილი გოგო

ოთახში ისმის დებიუსის მუსიკა, ფანჯრიდან ჩანს საფერავისფერი „პეჟო 508“, კედელზე გაკრულია ეიფელის ფოტო, სეზანის, დეგას ნახატების რეპროდუქციები, თაროზე ალაგია ფრანგული ღვინის კოლექციები, ელენე ზის და ფიქრობს:

მალე წავალ საფრანგეთში, პარიზში, გავისეირნებ ლამაზ, ისტორიულ ქუჩებში, ვისადილებ ფრანგულ რესტორნებში, შევჭამ ლოკოკინებს, საუკეთესო კრუასანს, დავლევ ბორდოულ კაბერნე სავინიონს, შევალ წიგნის მაღაზიაში, ვიყიდი დოდეს წიგნს, წავიკითხავ... მე ამას ჩემი ბიჭი ამიხდენს, ნამდვილი გმირი, ნამდვილი...

ელენეს ზარის ხმა გამოაფხიზლებს, ადგება, თმებს გაისწორებს და ფრთხილად გააღებს კარს. კარში ახალგაზრდა მამაკაცი დგას, გაფითრებული, სახეალეწილი, ელენეს გულში თითქოს გასკდა რაღაც.

— რა მოხდა...

— სამოგზაურო ფული მომპარეს...

კარგახნიანი პაუზის შემდეგ ელენე:

— იცი, როგორა ვარ? დებიუსის მუსიკა ბაყაყების ყიყინია და მეტი არაფერი, პეჟო სახედარი, ეიფელი ელექტრო განათების ბოძი ორღობეში, სეზანი და დეგა მალიარები არიან, ეს ღვინოები კი მთხლეა...

— ნუ... ნუ გეშინია... — ხმა აუკანკალდა კაცს.

ელენე უფრო მოიღუშა.

— როგორ განიცადა... — კაცი ატირდა.

ოჯახი

შავმა მანქანამ დაბლა დაუხვია, გუკამ გაზს უკლო, საათიანი ხელი შეათამაშა და ისევ განაგრძო გზა. ცოტა ხანში ცაცხვებიან ქუჩაზე გავიდა, ფართო იყო ქუჩა, შემოდგომისეული, ყურძნის სურნელი იდგა, ამძიმებდა ჰაერს.

გუკამ გააჩერა, გვერდითა სავარძლიდან ცელოფანი აიღო და გადავიდა, ცელოფნიდან ეკლები გამოჩრილიყვნენ, გუკას ფრთხილად მიჰქონდა. მალე შევიდა სახლში, საათს დახედა, გვიანი იყო, ორი საათი, გუკამ დაიძახა:

— ადექით ხალხოოო!

ცოტა ხანში ოთახში პატარა ბიჭი და ქალი გამოჩნდნენ, გაოგნებული სახეები ჰქონდათ, უძინარი.

გუკა დაიხარა და ცელოფნის პარკი ფრთხილად გასწია, იქიდან ზღარბი გადმოგორდა, ცოტა ხანს ყველა გაისუსა, მერე ზღარბმა გაბედა და ფრთხილად, ფრთხილად გაიშალა, ცხვირი ასწია და წკაპანკუპით წავიდა იატაკზე.

ბავშვმა ჯერ ყიჟინა დასცა, მერე პირზე მიიფარა ხელი და ისე გაჩერდა. ქალი იღიმოდა, ქერა თმას ისწორებდა, გუკა დივანზე დაჯდა. „ესეც საკმარისია, ესეც საკმარისია, რომ ცოლ-შვილს უყვარდე, მე ახლა ძალიან ბედნიერი ვარ, იმაზე უფრო ბედნიერი, ვიდრე ბევრი, ვინც ახლა დიდი ფული მოიგო“ — ფიქრობდა გუკა, მერე სიგარეტი ამოიღო და გარეთ გავიდა, ქალი და ბიჭი ისევ ისე იდგნენ.

ნანა

ეს მაშინდელია, როცა ძალიან ახალგაზრდული თვალით ვუყურებდი ცხოვრებას, ეს იყო წითელი ღვინისა და გიტარის პერიოდი. იყო ქალი, სახელად ნანა, რომელსაც ნანახი არ ჰქონდა ივრის ლამაზი ჭალები, სურდა, მთხოვა და მეც უარს ვერ ვეტყოდი. მეგობარს გამოვართვი ძველისძველი მანქანა, წავიღეთ ერთი ბოთლი წითელი ღვინო და წავედით, შემოდგომის დამდეგი იყო, თბილი დღეებისა და ცივი საღამოების დრო.

ავედით, მოვიარეთ მთელი ჭალები, ტბები, მდინარის შენაკადები, ადგილები, რომლებიც წალკოტებს ჰგავდა, მერე ერთ ლამაზ ადგილას გავჩერდით. ეს იყო შენაკადი, რომლის პირასაც ორი მოზრდილი ტირიფი იდგა.

ბინდი ეშვებოდა, შენაკადის სიახლოვეს დავსხედით, გადმოვიღეთ პატარა ჭიქები, დავასხით ღვინო.

— გაგვიმარჯოს!—თქვა ნანამ.

— გაგვიმარჯოს, ჩვენს ოცნებებს გაუმარჯოს!

ვსვამდით, ვსაუბრობდით, ვსვამდით ნელ-ნელა, ვსაუბრობდით ნელ-ნელა...

ბინდმა კიდევ უფრო იმატა, ღვინომაც თავისი ქნა, მერე ნანა ადგა და შენაკადთან დადგა, ბინდში რაღაც მითოლოგიური სახე ჰქონდა წყალს, ტირიფების იქით, სულ იქით, თითქოს გვირაბივით, ვრცელი ნისლი მოჩანდა, საშიში და დამალული.

ნანა ცოტა ხანს იდგა ასე, მერე უცებ დატრიალდა და უპს! პირდაპირ გადაეშვა. დავიბენი, არ ვიცოდი, რა უნდა მექნა, დაბნეულმა მიმოვიხედე ირგვლივ, მიუხედავად იმისა, რომ დავინახე, სადაც იყო. მერე კიდესთან დავდექი, ჩავიხედე, ნანა ცურავდა, ტრიალებდა და იცინოდა, ხარხარებდა, ბოლო ხმაზე, თან მეძახდა...

ბევრი აღარ დავაყოვნე, გადავეშვი მეც, გადავეშვი და ჰოი, საოცრებავ, წყალი იმაზე ცივი აღმოჩნდა ვიდრე წარმოვიდგენდი, ისეთი ეკლები ვიგრძენი, მაყვლის ბუჩქზე დავვარდი, საშინელი სიცივე იყო, საზიზღარი, ნანა კი ცურავდა, მხნედ ჩანდა და ცდილობდა, დამსხლტომოდა, ის იქით გაეშურა, იმ გვირაბისკენ, იქით ტირიფთა დაშვებული ტოტები და სიბნელე იყო, ცოტა საშიში, არა, ძალიან საშიში, ნანა იცინოდა და მთხოვდა დამეჭრა. გავეკიდე, დავიჭირე, გაჩერდა, შემომხედა სახეში, ვერ დავინახე მისი სახე კარგად, მაგრამ მაინც სიმშვიდე ვიგრძენი, თითქოს ღელვამ გაიარა, მერე ნანამ იქით, ნაპირისკენ გაცურა, უფრო დამშვიდდი, ამოვედით, აი, აქ იყო სიცივე თუ იყო, მტანჯველი, საშინელი, მჭამდა...

— რრრრ... აააა... მმმმ... მოოო... გაფიქქქრრრააა, — ვუთხარი ხმის კანკალით.

ნანა დუმდა, კანკალებდა, მერე ჩანთა აიღო, ასანთი ამოიღო და მიმანიშნა, რაც უნდა მექნა. სიმწრით შევაგროვე ხეები, ძველ რვეულს მოვუკიდე და პატარა ცეცხლი ავანთე, მერე პატარა ცეცხლს დიდი მოჰყვა და დავიწყეთ გათბობა, ეკლები ნელა მშორდებოდა სხეულიდან და სითბო იგრძნობოდა, სულს ვითქვამდი, მიხაროდა და სხვა თვალით ვუწყებდი ყურებას ამ ყველაფერს.

— ბედნიერი ვარ! — თქვა ნანამ.

ახლოს მოვიდა და შემომხედა, მანამდე თითქოს არ ყოფილა მისი თვალები ასეთი, იმ შენაკადივით ბნელი და საშიში თითქოს, მაგრამ მე უკვე მომწონდა ეს ღელვაც.

ცოტა რომ გავშრით, ნანამ მორიგი უცნაურობა მოიფიქრა, ისევ დატრიალდა და ამჯერად გაიქცა, გავეკიდე, მივრბოდი და ვფიქრობდი, რაზე? იმაზე, რომ მზად ვიყავი, მოვმკვდარიყავი, ასე ბედნიერი, ნანასთან სირბილში, სველი და შემცბარი, გაკვირვებული, მაგრამ კმაყოფილი ამ დროით, ასე, სირბილის დროს დამეკარგა გრძნობა და დამთავრებულიყო...

ეს, რა თქმა უნდა, არ მოხდა ასე, მე ისევ დავიჭირე ნანა, ჩავიხუტე და ვთხოვე, მეტი სისულელე აღარ მოეფიქრებინა, მან თავი დამიქნია და გაჩუმდა, ასე ვიდექით კარგა ხანს, მერე მე წამიერად, რატომღაც, წარმოვიდგინე, რომ აღელვებულ ზღვაში მივცურავდი, ვცურავდი და თითქოს ვერც, შემზარა და თვალი გავახილე, მერე დავბრუნდით ცეცხლთან, ბევრი ვისაუბრეთ სიყვარულზე, რა თქმა უნდა, სიყვარულზე...

რამდენიმე წელს გაგრძელდა ჩვენი ამბავი, მერე იმ შენაკადივით ბნელ და ცივ სივრცეში გაუჩინარდა ყველაფერი, დავიწყების შენაკადმა დაფარა და დაახავსა, სიზმარს გავდა ჩვენი ურთიერთობა, მგალობელ ჩიტს, რომელმაც იგალობა და წავიდა.

უბრალო მოგონება

ფერდობს შევყევი, აქ კიდევ ძნელდებოდა გზა. ადრიანი დილა იყო, სქელი, დამთრგუნველი ნისლი იდგა, კარაქივით სქელი და ბლანტი. უკვე დაღლილს, ეს რაღაცნაირად პირქუში გარემო კიდევ უფრო მღლიდა, თვალები დავხუჭე რამდენიმე წამით და ჩაი ვინატრე, ჩაი და მშვიდად ჯდომა სავარძელში. ზიხარ, სვამ ჩაის და არაფერზე არ ფიქრობ, ან ფიქრობ რაღაც მშვენიერზე, ადამიანის მიზანიც ხომ ეს არის, მშვენიერების, კომფორტის, კმაყოფილების ძებნა.

მაინც მოვიკრიბე ძალა და გზა გავაგრძელე, ეკლიანი მცენარეები ფეხებში მედებოდა, მკაწრავდა, სიცოცხლეს მიმწარებდა, სუნთქვაც მიჭირდა, მერედა როგორ, ძალიან, მივდიოდი და ღრმად ვსუნთქავდი. ვცდილობდი, რაიმე საინტერესოზე მეფიქრა, მაგრამ ყველანაირი კარგი აზრი თავისით ქრებოდა გონებიდან.

აღმართი მორჩა, გადაიშალა ლამაზი მხარე, დიდი ტრიალი მინდორი, აქა-იქ ტანდაბალი ხეებით. სავარაუდოდ, ჯაგრცხილებით, აქა იქ ნატაძრალებითა და ნაციხარებით. გავჩერდი, კიდევ ერთხელ ჩავისუნთქე სქელი ჰაერი, ისეთი შეგრძნება მქონდა, ფეხები წამერთმეოდა, დავეცემოდი. ჩანთა გავხსენი, სანთლები და სანთებელა ამოვიღე, ნაეკლესიართან მივედი, აქ მოულოდნელად ხმა გავიგონე, ოდნავ ქვემოთ რაღაც გამოძრავდა, ლანდსაც მოვკარი თვალი, მუქი, მუქი შინდისფერი ლანდი იყო...

სანთლები და სანთებელა გულში ჩავიხუტე და გავირინდე, მალე კიდევ დავინახე ლანდი, მერე კარგად გამოჩნდა რაც იყო, ეს გახლდათ ქალბატონი, შინდისფერი პერანგით, რომელმაც გაიცინა, მერე მომესალმა.

— გამარჯობა! — მივესალმე მეც.

— უკაცრავად, არ მინდოდა, აქ ვსეირნობდი... უფრო სწორად წიგნს ვეძებდი...

— წიგნს?

— ჰო, ჩემი ძმა და მისი მეგობრები თამაშობდნენ და...

— აჰ, გასაგებია, უკაცრავად, მე სანთლები უნდა დავანთო...

— დიახ, არ მინდოდა თქვენი შეშფოთება! — მითხრა ქალმა.

— არც შევშფოთებულვარ, რა წიგნს ეძებდი?

— შარლ მეცხრის ცხოვრების ქრონიკა!

— მერიმე?

— დიახ.

— ისტორია მემატიანეების საქმეა... — ვუთხარი გაუაზრებლად და ნატაძრალთან მივედი, სანთლები დავანთე, პირჯვარი გადავიწერე.

— რატომ? — მკითხა ქალმა.

— მხატვრული ნაწარმოები გამონაგონია მაინც, როგორ დაკარგეთ?

— ხომ ვთქვი, ჩემმა ძმამ წამოიღო და დაკარგა. ესე იგი, არ გიყვართ ისტორია.

— რას ამბობ, მიყვარს, როგორ არა, პირიქით, საინტერესოა, მაგრამ ნუ გავაიდეალებთ ყველაფერს... ამ ადგილას რაღაც ჩავიფიქრე, ახდა და მადლობის სათქმელად ვარ. და, იპოვეთ?

— ვერა, ისტორიაზე რაც თქვით, მართალია.

ქალი გატრიალებას აპირებდა, მაგრამ შევაჩერე, მოტრიალდა და შემომხედა, გაშტერებული, უცნაური მზერით.

— გისმენ...

ჩანთა გავხსენი, იქიდან წიგნი ამოვიღე, ეს იყო რუზველტის ბიოგრაფიული წიგნი...

— აჰა, აქ ეს მაქვს ისტორიული, გჩუქნით.

— საინტერესოა ალბათ.

— დიახ...

ქალმა წიგნი გამომართვა, მადლობა გადამიხადა და სწრაფი ნაბიჯით გაუჩინარდა ტყეებში, მე ცოტა ხანს კიდევ ვიდექი, ვილოცე. მერე ფერდობს დავუყევი დაბლა და სირბილით წამოვედი.

როცა დაბლა, სოფელში, ჩამოვედი, დავინახე, „მერსედესის“ ძველ, შავ ჯიპთან იდგა ქალი, რომელსაც წიგნი ვაჩუქე, გავიარე, კიდევ ერთხელ მივესალმე, მან ასეთი რამ მკითხა:

— რა არის ისტორია მაინც, შენი აზრით?

ვიცოდი, ბანალური პასუხი არ უნდოდა, სხვაზე კი დიდხანს ვიფიქრე, მაგრამ ვერ გავეცი პასუხი, არ მქონდა და იმიტომ...

არიან ასეთი, ფილოსოფიური აზრით შეპყრობილი ადამიანები, რომლებიც ხშირად, რაღაც არაყოფითზე უფრო ფიქრობენ. საინტერესოა მათთან შეხვედრა.

დიალოგი ახლობელთან

— **არა** სვამ?

— ცოტას, ერთ ჭიქას, ან ორს...

— მეტს არა?

— არა.

— ერთი ჭიქა, კაცო?

— ჰო, კახური, მშრალი, წითელი, ან თეთრიც წავა.

— მეტი არაფერი?

— არა.

— საღოლ, ძმაო! მე სანამ არის, სანამ არ დაწვება სუფრა.

— არ არის კარგი.

— რატომ?

— ვნებს ჯანმრთელობას.

— ეჰ, სადღაა ჯანმრთელობა, შენ ძაან ინტელიგენტი ხარ ეტყობა.

— ...

— არ გეწყინოს, ძმაო.

— არაა ეგ საწყენი სიტყვა.

— არა?

— არა.

— კონიაკი რამდენი ჭიქა?

— ჰა, ეგეც ერთი, ან ორი.

— და ეს რა კონიაკია?

კონიაკის ბოთლზე მიმითითებს.

— მარტელი.

— სადაურია?

— ფრანგული.

— აზრზე არა ვარ.

— ...

— სამსახური?

— სკოლა.

— გიჯერებენ?

— ისე რა.

— მაგარი ცუდი თაობა მოდის, ძმაო, უზრდელი.

— ...

— ამასწინათ ჩემი ბიჭი მოვიდა ნაცემი, უფროსკლასელებმა მცემესო. მივუვარდი და დავაფარე ყველაფერი.

— ...

— ეხ... არის თქვენთან ვარიანტი?

— რა?

— სკოლაში...

— დარაჯი?

— იყოს!

— დაველაპარაკები!

— ძმა ხარ!

დახმარება მეგობარს

იმ დღეს ძმაკაცთან ვიყავი ფეხბურთის საყურებლად. რომ მორჩა, ვუთხარი, სანდრო, ძმაო, ლუდს კიდე მოვიტან-მეთქი. კარგი, თუ არ გეზარებაო. ჰიპერმარკეტი ოდნავ მოშორებით იყო, მაგრამ არ მეზარებოდა და მეც წავედი, მივედი ჰიპერმარკეტში. ლუდი, ჩიფსი, ძეხვი, მარინადი და პური ავიღე და გამოვედი ჩქარი ნაბიჯით. მოვდივარ, მომაქვს ცელოფნის პარკი, რამე-რუმეებით სავსე და რომ მივუახლოვდი, ვხედავ, სანდროს სახლის წინ, ხესთან მანქანაა, ორი ტიპი გადმოსულა და რაღაცას ეკამათება. სანდრო ეუბნება, დღე დღეზე მოვიტანო. მივხვდი, რაშიც იყო საქმე, მივედი, მივესალმე, რაშია საქმე-მეთქი, მაინც ვკითხე. როგორც გითხარით, ორნი იყვნენ, ორივეს შავი ტყავის ქურთუკები ეცვა და დაძაბული ტონით ლაპარაკობდა, რაო და, დაიწყო ერთმა, ჩვენი ვალი აქვსო, რაში და რამდენი მეთქი?! რაში და ეს ჩემთან მუშაობდა, აშენებდა რაღაცას, ამისმა ძმამ ფული მთხოვა ათას ლარამდე და როგორც შენ მოგიტანია, ისე იმასო, იმას ვერ ვპოულობ და თავდებად ეს ედგაო, „ატვეჩაიდ“, ბიჭებს ვთხოვე, არსად წასულიყვნენ და სანდრო ბოდიშის მოხდით გვერდით გავიყვანე.

— ოხ რა, შენი ძმა...

— ეჰ, რა ვუყო, — შემაწყვეტინა სანდრომ.

— არ აქვს?

— არა, მაგრად უჭირს...

— რატო არ მითხარი, ვალი თუ გქონდათ...

სანდრომ თავი დაღუნა.

მივედი და ბიჭებს ვთხოვე ავლაბარში გავეყვანე, ბიჭები შეიშმუშნნენ.

— რა, დიდი მანძილია სოლოლაკიდან?..

— არა, ტო, მაგაზე კი არ არი, და რა პონტში?

იქ გეტყვი-მეთქი და იმათ შავ „მერსედესში“ ჩავჯექი უკან. ბიჭები მალე მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე. სანდრო დარჩა, ჩვენ წავედით, გზაზე სიხალვათე იყო, უცებ ავირბინეთ, შევვარდი სახლში, ჩემები შინ არ იყვნენ. მანქანის საყიდელი ფული მქონდა გადანახული, იქიდან ათასი ლარი ავიღე და გავედი, ჩავჯექი ისევ უკან, საჭესთან მჯდომს ფული გადავეცი.

— დაითვალე...

— გენდობით...

— ჰოდა თუ მენდობით, ისევ იქ მიმიყვანეთ...

ბიჭებმა მანქანა დაძრეს, ისევ უცებ გავედით, სანდრო მაგიდასთან იჯდა, ლუდი დაესხა...

— მზად არის...

სანდრომ ჭიქა ასწია და...

— ნაკურთხია, ძმაო, შენ გაგიმარჯოს! ძმა ხარ!

* * *

მეორე დღეს სანდრო დილაადრიან მესტუმრა, ცელოფნის პარკი ეჭირა ხელში, აი, ეს ჩემი ძმისგანო. გავხსენი პარკი და ვხედავ ნახატია — ტრიალი, დამსკდარი, გვალვიანი მინდორი ორი გადატრუსული ხით და თავზე წვიმის ღრუბელი აქვს წამომდგარი...

სანდროს ძმა მხატვარია.

მაგდა

მაგდა ჩაისტი იყო, ყველანაირი უყვარდა, მითუმეტეს შავი ჩაი. ფიროსმანი ტყუილად კი არ ამბობდა, ჩაი დავლიოთ და ხელოვნებაზე ვილაპარაკოთო, ჩაი ხელოვნებააო, დღეში სამჯერ, ოთხჯერ სვამდა. თავის დასთან ერთად გაშლიდა მაგიდას რკინისმოაჯირიან აივანზე და დაიწყებოდა დილიდან სტუმრიანობა, ჩაისა და საუბრის მოყვარულთა გამოჩენა, ამას შიგა და შიგ მოჰყვებოდა კარტი... უმეტესად ჯოკერი...

სახლი სავსე ჰქონდათ სერვიზებით, რანაირი აღარ, თან სულ ხარისხიანი, უმეტესობა ფრანგული, ერთ რამედ ღირდა იმათთან მისვლა, მივიდოდი, გაშლიდნენ, გამოიტანდნენ კანფეტებს, შოკოლადებს, მურაბებს... დაასხამდნენ ჩაის და მიდიოდა ლაპარაკი ათას რამეზე, უმეტესად ხელოვნებაზე. მე როცა მივდიოდი, ლექსებს მაკითხებდნენ. ერთხელ დაბადების დღე მაქვს და მაღაზიიდან ვბრუნდები, ოდნავ სუსხია, შემოდგომის პირველი დღეებია, მოვდივარ სახლისკენ და ვხედავ, ქუჩაში მაგდა დგას, ზედ ჩემს სახლთან. გამარჯობაო, მე და ჩემი და ერთი კვირა აქ არ ვიქნებით და რაღაც მინდა გაჩუქოო, წამომყევიო. წავედი, შემიყვანა თავის პატარა, ქოხად ქცეულ სახლში, გამიყვანა აივანზე და მაჩვენა ყუთი, მუყაოსი. უკვე მივხვდი, რაც იქნებოდა, მადლობა ვუთხარი, ჩამეხუტა, მომილოცა წინასწარ დაბადების დღე და გამომიშვა. ადამიანი ასეა ხშირად — რაც მისთვის ძვირფასია, ჰგონია, რომ ყველასთვის ასეა, თუმცა კაცმა რომ თქვას, მეც მიყვარს ჩაი და გამიხარდა, თან საჩუქრის დაწუნება არ შეიძლება, მივედი სახლში, გავხსენი ყუთი და ნაღდი, ფრანგული ჩაის სერვიზი, ლურჯი ჩაიდანი, თავის ჭიქებით, ზედ პატარა ჩიტუნიები ახატია, ხის ტოტზე დასკუპებულან და კუდი ოდნავ აქვთ აწეული. კაი ხანს ამით ვსვამდი ჩაის, მაგდა კი თავის დასთან ერთად მალე გადავიდა იქიდან, მერე სოციალური ქსელებიც გააუქმა და სულ მალე საერთოდ გადაიკარგა ჩემი თვალსაწიერიდან, დარჩა მისგან ეს სერვიზი და ჩაისავით თბილი მოგონებები მის სახლთან ავლისას.

ამ სიტყვებს უკან

— **მე** არაფერი მინდა, მხოლოდ ერთი რამე, გიყვარდეთ ადამიანები, სხვისი ტკივილის გულთან მიტანა შეძელით, და სულ უბრალოდ იცხოვრეთ. ამ ქვეყანაზე არაფერია გადასარევი, გარდა სულ უბრალო რამეების, სითბო, სიყვარული, შენი პატარა ტაძრების ქვები, მათი ხავსები ეზოებში, ავდივარ ხოლმე ნაციხარებთან და ვდუმვარ, იქაური დილა მამშვიდებს, იქაური ჰაერი. იყავით ღარიბები, უფულოები, იარეთ დაფეხვილი, გაძვალტყავებული მანქანით, იცხოვრეთ, ჭიქა ჩაისა და ერთ ნატეხ პურზე, ერთ ვაშლზე, ოღონდ გიყვარდეთ, გულით გიყვარდეთ ადამიანები და ეს ნაწამები, სისხლით მოტანილი ქვეყანა. მე ძველი გაგების კაცი ვარ, ძველი გულის და ძველი განცდის, რესტორნებში სიარულს ისტორიულ ადგილებში იარეთ, ნახეთ გრემი, უქიმერიონი, უჯარმა, ვანი, რაც გინდათ, ოღონდ გაბოდებდეთ საქართველო და ადამიანი! ისწავლეთ განა კარიერისთვის, სამშობლოსთვის, ერისთვის, ამ ნანგრევებისთვის...

კაცს ხმა უკანკალებდა, გამხდარი, გაფითრებული კაცი იდგა, კაკლის ხეზე მიყრდნობილი და თვალებაწყლიანებული იყურებოდა ქვემოთ, დაბლა ეკლესია ჩანდა.

მის წინ იდგა ორი ლოყაწითელი ბიჭი, ხელში ვაშლები ეჭირათ და თავდახრილები მიშტერებოდნენ მიწას, მიწაზე ჭიანჭველები ფუსფუსებდნენ.

კაცი განაგრძობდა:

— დაემალეთ ფულს, სახელს, ყველაფერს, იყავით უბრალონი და იცხოვრეთ შრომაზე, ხალხზე, ქვეყანაზე შეყვარებულებმა და გახსოვდეთ, რომ ადამიანები ხართ! იცოდეთ, დაგღლით ეს ქაოსი და მოგენატრებათ ეგ წითელი ვაშლები, დაგღლით ეს ოხერი ქაოსი.

კაცმა პირჯვარი გადაიწერა, მერე ჩაიხარა და ატირდა, საქამრეში იარაღი გამოუჩნდა, პერანგში დამალა და გაირინდა.

ბავშვები ხვდებოდნენ, რომ ამ სიტყვების უკან რაღაც დიდი დარდი იდგა.

შალვა საბაშვილი

კოკრის მფურცვლელნი

ყოველში მოჩანს დროის თარეში,
„ორჯერ ვერ შეხვალ ერთ მდინარეში“.

ღრმა დაფიქრებით ფარდა ეხდება:
ორჯერ ვერავინ ვერვის შეხვდება.

მიხვდები, ჟამში ფიქრთა მწიფობის —
შენახულ საგანს ვერვინ იპოვის.

ვიტყვი, თუმც არც ეს მოგიტანთ ხალისს:
აღარ გექნებათ, რაც დღეს გაქვთ, ხვალ ის.

თქვენც განუწყვეტლივ ახლად იქმნებით,
რაც დღეს ხართ, ხვალ ის ვეღარ იქნებით.

გუთანი ხნავს და ძველ ნაყანობს შლის,
ხვალ გაიღვიძებთ სხვა სამყაროში.

ვართ განუწყვეტლივ კოკრის მფურცვლელნი,
და არაფერი გვრჩება უცვლელი...

ფერთა აღალიდან

ირგვლივ ტურფა ტყე-ველია,
მთა, კორდი და ველობი,
ბოლო გაურკვეველია
გასაოცარ მსვლელობის.

ვიცი, რომ ვერ ეხებიან
უთვალავნი ცანი ჭერს,
არა ოჩოფეხებია,
მე რომ ტკბობას მანიჭებს.

გავჩნდი ფერთა აღალიდან,
იდუმალის მკონელი,
რაღაც ყოვლად მაღალი და
სხვისგან აუწონელი.

ყველანი და მე

სულში ურყევნი კრთიან ხატები,
სივრცეც მთლიანი არის ხატება,
რაც ჩანს, ყველაფერს მე ვემატები,
რაც ჩანს, ყოველი მე მემატება.

ყოველს მოიცავს გული, გონება,
ყოველს ვფლობ, ვიყო არრის მქონებიც,
რაც მოჩანს, ყველა მე მეკონება,
რაც სუფევს, ყოველს მე ვეკონები.

თუმც ბევრთან ბევრჯერ შევკამათდები,
და ბევრიც ჩემთან შეკამათდება,
ვინც სუფევს, ყველას შუქით ვნათდები,
და ყველა — ჩემი შუქით ნათდება.

ო, არაერთხელ ამეტყველდება
სიბრძნე, ბევრისგან მოუხელთები,
ყოველი არსი ჩემში გრძელდება
და მეც თითოეულ არსში ვგრძელდები.

სულში სამყაროს კრთიან ხატები,
სამყაროც სულის არის ხატება,
რაც სუფევს, ყოველს მივემატები,
რაც სუფევს, ყველა მომემატება.

ჩაქროგანი

საკვლეველად, საფიქრებლად, საგოდებლად,
გაოცებად, ხანაც ხელის ჩაქნევად —
დაგროვდება, დაგროვდება, დაგროვდება,
მერე უცებ უგზო-უკვლოდ გაქრება.

აღმავალი მხოლოდ კოკრის გაშლამდეა,
ბოლოს ყველას აღლუმიდან თიშავენ,
კაშკაშდება, კაშკაშდება, კაშკაშდება,
რომ ჩაქრეს და გადაიქცეს სიშავედ.

ყოველ მხედარს დაღლილობა მიესევა,
მძაფრად ილტვი,
მაგრამ უცხო დამბლა გდევს,
ილესება, ილესება, ილესება,
რათა მერე სამუდამოდ დაბლაგვდეს.

ასი ველი ყვავილებით მიაჭრელეს,
მერე ვიღაც ფერთა ყველა ნიშანს შლის,
მიაჭენებს, მიაჭენებს, მიაჭენებს,
რათა მერე განისვენოს ქვიშაში.

ო, ბოლომდე ვერვინ დარჩნენ მოზარდებად,
ვერვინ შეძლოს მიზეზების მიწვდენა,
მოზვავდება, მოზვავდება, მოზვავდება,
მერე უცებ სამუდამოდ მიწყდება.

რაოდენ დასანანია!

მოვლენებს სხვა სამანი აქვთ,
    თვალმა დალანდოს აქ რა?
რაოდენ დასანანია,
    რამდენი რამე გაქრა!
სადღაც ყორნები ჩხაოდნენ,
    შიში მძალავდა სანამ,
დასანანია რაოდენ —
    აღარც ისინი ჩანან.
ოდესღაც გული ფეთქავდა,
    ზათქი იკლებდა მყისი,
ვულკანებრ ამოხეთქავდა,
    მაგრამ დაწყნარდა ისიც.
მახსოვს, დიდება ინდომე,
    სივრცემ კი გაგიმეტა,
რაში მიჰქროდა მინდორზე,
    ახლა სადაა ნეტა?
შორს სიჭაბუკე ნათობდა,
    ჰიმნებს აფრქვევდა დილა,
ახლა მინდვრებზე გათოვდა,
    ტყე ნისლით გაჭედილა.
კოცონი წანაკიდარი,
    ქარში მერხევი აფრა...
იყავი ისე მდიდარი,
    გწვავდა წყურვილი მძაფრად.
ზეცისგან დანაკისრებიც
    ზოგჯერ მზის გულზე ჭკნება,
ვინ დააბლაგვა ისრები.
    ვინ დააბერა გზნება?
სხვა მთვარის ამომთოვრება,
    ძველი — აღარ ჩანს არსით.
ვით გსურს განაგრძო ცხოვრება
    ასე შეცვლილი არსით?

ზეარეკვლა

არვინ იცის, ვისთვის ვწერ
    იმას, რასაც ვწერ,
მე რომ ვუმზერ, იმ მთის წვერს
    სხივი არ სცემს ჯერ.
ვამბობ: უქმად ხომ არ დის —
    ფიქრი ჰპოვებს გზას,
მაგრამ ბევრი ხომალდი
    ჯერაც ზღვაში დგას!
მაინც ლურჯი სიშორე
    კვლავაც მიხმობს წინ,
ვერა, ვერ განიშორებ,
    შენს დასაწერ წიგნს.
მიხვალ, სადაც ედემის
    შორი ბრწყინვა სცან,
და სხვა ვარსკვლავედებით
    კრთის უცნობი ცა.
წადი! ლურჯ მზეს ტაძრების
    ზეარეკვლა სურს,
იქ ვერ დასცემს სხვა წრე ბინდს,
    შუქად დაძრულ სულს.
ნახე, რა გზებს ერთვიან,
    ვისაც სხივებს ჰფენ,
ერთგან, ხომ სულერთია,
    ვერ დარჩები შენ!

შესაძლებლის ზღვაა

ყოველნაირ უსტარს
აქვს მრავალი გვიანი შრე,
ზოგჯერ ამბობ ზუსტად,
ზოგჯერ მხოლოდ მიანიშნებ.
ხარ სამყაროს პირად,
რაც გსურს, იმას აღლესავდი,
მინიშნებულს ხშირად
უკეთ იგებს ადრესატი.
იცვლი ფერს და იერს,
გააჩნია — აგებ რის გარსს,
აზრის ველი ძლიერ
განსხვავდება ალგებრისგან:
იქ მჭვრეტელი აკვლევს,
რომ პარადოქსს მიანათეს:
დამატება აკლებს,
დაკლება კი მიამატებს.
ხან კი უსმენ სხვა სიმს
და ამაშიც რაიმე დევს,
ჰყოფნის ეგებ ასიც,
შენ — მილიარდს გაიმეტებ.
სხვას სრულიად სხვა აქვს
მიზნები და გაცურვები,
შესაძლებლის ზღვაა,
არცროს ამოსაწურველი.

მოხიბლული ტყვენი

მე მინდოდა უცხო ფერადების გროვება,
მე მწყუროდა ნამი, მზით რომ შეიწოვება.
მე მხიბლავდნენ გზები, მინდვრები და ჭალები,
ვარსკვლავები მხმობდნენ, ღამით ნაციალები.
მე მატკბობდნენ ვარდნი, აფეთქილი რტოებით,
შევცქეროდი ბაღებს თვალებგაფართოებით.
თბილი ქარი მზიურ შთაგონებას მახლიდა,
როგორც შორი მგზავრი, გავდიოდი სახლიდან.
ფერდობების ახლოს ჯაგებიც კი ყვაოდნენ,
თვითვე გრძნობდა კორდი, ტურფა იყო რაოდენ.
სიხარული მდევდა, მარად განუშორები,
ვედებოდით ველებს ტოლები და სწორები.

რა გვატკბობდა სრულად, ვერც ვერავინ მოთვლიდა,
ზღვა მუსიკა ძგერდა თითოეულ ფოთლიდან.
სხივის ყველა თრთოლა, სიოს ყველა მობერვა
მოვლენილი იყო გულით შესაგრძნობელად.
სურდა ყველა მსმენელს ჩაკონვა და ფერება,
ის ნეტარი ყოფა ვერრით აღიწერება.
ჩვენ ვიყავით მისი იდუმალი მთხრობელი,
მოხიბლული ტყვენი რაღაც შეუცნობელის.

ერთ ველზე

მეუფება მტვერთა, გზა — უცხო და უნიშნებო;
შერეულა ერთად დიადი და უმნიშვნელო.
სულ სხვა ჰიმნებს ვწერდით — სხვა მოგვფინა ცამ იერი,
ბალახობენ გვერდით მარადი და წამიერი.
ვრცელ ჭალებში ვსახლობთ, მთებმა მზერა შეგვივერცხლეს,
შორეულსაც ახლო მხარეებით შევიმეცნებთ.
მიზანი აქვს მშვიდი გულსაც, უცხო ხურვებიანს,
სულ მცირედსაც დიდი ასპარეზი სურვებია.
ახალ მდგმურებს ელის ლაბირინთიც ნასახლართა,
და მზადაა ველიც მთების ჯუნგლში გასახლართად.
უცხო თოვლი გვფარავს ფარდით, უცხოდ შეფერილით,
ყოფის ყველა ფარა ერთ ველზეა შეფენილი...

სასახლე

ერთად ვაგროვებ იდუმალ სიბრძნის გაბნეულ ნაშთებს:
უნდა შებურო ნაწილი, რომ მთელი გაკაშკაშდეს.
რომ აღიაროს სუყველამ, აქ ერთი დათქმაც შედის:
არ უნდა ჩანდნენ მდგენელნი მიზეზობრივი წრედის.
თუ გსურს ამაყად წარუდგე მტერსა თუ თანამზრახველს,
არ უნდა მისცე ქმნილებას დასრულებული სახე.
რათა მოვიდეს ტრიუმფი და გაღმერთება მალი,
ღრმად გადამალე ზოგი რამ — ვერვისი მისწვდეს თვალი.
დარჩეს ბურუსით მოცული, მაინც მეტყველი მჭახედ:
იდუმალს ემორჩილება მჭვრეტელი მოცახცახე.
მასში იმგვარად განლაგდი, უცხო სხივების მფენი,
ვერ შეძლონ მოახლოება ან გარშემოვლა შენი.
უნდა მოჰგავდეს მარადის დაუსრულებელ ნახატს,
არ ეყოთ მთელი სიცოცხლეც ყველაფრის დასანახად.
ირწმუნონ — შენი ქმნილება ვეღარ გაუქმდეს აწი,
ერთურთის სურდეს ბრწყინება მის თითოეულ ნაწილს.
უნდა სჯეროდეთ — ყველასთვის ღიაა შესაჭვრეტად,
და თუმც შენია, ყველასი არის ამაზეც მეტად.
უნდა ეგონოთ, უხსოვარ დროშიც სუფევდა ლამის,
არ უნდა აჩნდეს ნიშნები წარმომშობელი ჟამის.
ჰქონდეს დრეკადი კონტური, კართა ურიცხვი წყება,
და ღია იყოს თავისკენ სუყველას მოსაკრებად.
არ უნდა ჩანდეს უცვლელი, მბრძანებელი და ხისტი,
თვითაც სწყუროდეს მოსმენა აურაცხელი ხმისთვის.
უძრავად მდგარიც სწვდებოდეს ყოფიერების კიდეს,
არვის თრგუნავდეს, თითოეულს თავის ნაწილად ხდიდეს,
არვის იპყრობდეს — ყოველი მორჩილდებოდეს ნებით:
ჩვენ მაშინ გვგრძნობენ მთლიანად, მთლად თუ არ გავიხსნებით;
ჰქონდეს ლოდების სიმძიმე, მაინც მოჰგავდეს ლანდებს,
წყვდიადისაგან ნაგები მთლად გამჭვირვალე ჩანდეს.
ათრობდეს ყოველს სიცხის და ყინვების სიჭახჭახით,
ევლინებოდეს სუყველას სხვადასხვაგვარი სახით,
უწყოდეს — რა სად ჩაძიროს და სად რა გამორიყოს,
ყოვლად განაპირებული მაინც ყველასთან იყოს...

მალე შორეთში!

ვიცი, ხილულშიც უხილავი დევს, მალე შორეთში უნდა წავიდე,
ჩემი ნაღველის უბოლოობა დე, წარმოუდგენ ზღვრამდე ავიდეს,
დაბლა დაეცეს სულის სიმაღლე — ასეთ რაიმეს მე არ ჩავიდენ,
არსებავ ჩემო, შეუცნობელის მიმართულებით, ვიცი, კვლავ იდენ,
მსურს, გადავსერო მთაგრეხილები, მერე უსაზღვრო ველზე გავიდე,
რაც შევისწავლე, ჯერ ისევ ვნატრობ — მასზე ასჯერ მეტს შევისწავიდე,
თუნდაც მინდვრებმა დარჩენა მთხოვონ, არ შეიძლება, უნდა წავიდე,
ისიც, რაც თითქოს მაყოვნებს გზაზე, დე, თვითაც წასვლას მოასწავიდეს,
დაბადებისას ყოვლის მოხილვა გულს აუშორებ მიზნად ჩავიდე,
ჩემი სიცოცხლის არსი ბრძოლაა, თუმც მის გარეგნულ გარსში ზავი დევს,
ოდესღაც მზისებრ ამოწვერილი ისევ მზისებრად უნდა შთავიდე,
რაც მოუციათ — გადვუხდი ყველას, არვის ეგონოს — ვალად დავიდებ...

რაც ხანი გადის

რაც ხანი გადის, ნამსხვრევების გრჩება გროვება,
მარადის მთელი არაფერი მოიპოვება,
ყველა სიხარულს, რაგინდ მძაფრად ოდესმე განცდილს,
ჯერ დააბლაგვებს, მერე აქრობს სევდის თოვება.
დიდხანს გვატარებს, მაგრამ ბოლოს გასხლტება ნავი,
ზედ ვერ დავრჩებით, რაც არ უნდა მტკიცედ მოვებათ,
ბოლოს მოგვიჭერს, გაგვაწვალებს ყველა სამოსი, —
ზუსტად საფერი არაფერი მოიპოვება.
ქვები, ამგები ერთხელ მართლაც ზღაპრული ტაძრის,
ბოლოს გზისპირად, მიმოყრილი ნახო გროვებად,
დაბადებიდან თანშეზრდილშიც და მშობლიურშიც
ერთხელაც არის, გამოკრთება გაუცხოვება.
გადახუნდება ქარ-წვიმისგან ყველა ვარაყი,
ყველა მოფიფქვა-მოვერცხლვა და მოოქროვება,
ჩვენც სხვა არა გვაქვს — ერთადერთი მოგვანდეს ვალი —
ირგვლივ გადაშლილ ველ-მინდვრებზე ჟამის ძოვება.

მსოფლიოს წინაშე

კოშკს, სიმაღლეზე აღმართულს ციდან ათოვს და აწვიმს,
ხამს, ერთხელ მაინც აენთო მთელი მსოფლიოს თვალწინ.
შორით დაძრულმა შუქებმა მრავალჯერ გადამსერა,
უნდა ერთხელაც სუყველამ ერთად შეგავლოს მზერა.
რომ მოგვიხმობდეს, მისთვის კრთის სამყაროს შორი კიდე,
არ შეიძლება მარადის ახლო ველებზე ვლიდე.
შენ უნდა ღრმად იზრახვიდე, გაჰყვე შორეთის რელსებს,
უნდა ოდესმე გახვიდე შეფასებათა ველზე,
მარტომყოფს სევდა შეგიპყრობს მძაფრი და დამშანთავი,
მიტომ მიზანი ეგ იყოს — სივრცეს აჩვენო თავი.
იქუხე, ყოველს დაატყდი თავს კოკისპირულ წვიმად
ეს, შენზე მეტად, გჯეროდეს, უფრო სჭირდება იმათ!

ის შენს ხელშია

ვერ შეაკავებ — ყოველივე ერთად გასხლტება,
ჩიტების მწკრივი გადაჭიმულ მავთულს ასხდება.
ვინც გულმოდგინედ სახავს მყოფადს — თავს უქმად იქცევს,
ყველა შეხვედრა შეიძლება სულ ბოლოდ იქცეს.
აღვსილი წყენით ხამს მადლობას თვის ბედს სწირავდეს,
რადგან ცხოვრებას ძალუძს წამში ამოყირავდეს.
ხარობდე — ენთო მზე, ყინულთა გამადნობელი,
თითოეულ მშვიდ წამს აღუვლინე სამადლობელი!
რამდენჯერ აგცდა შიშით ფორთხვა გათხრილ სანგრებთან,
არც წარღვნა სჭექდა, არც ვულკანი მწვერვალს ანგრევდა.
არც შვილების სისხლს ღვრიდა მტერი შენს ციხე-ქავთან
და არც ცუნამი სანაპიროს ქალაქებს ნთქავდა.
რამდენჯერ ჩასწვდა სულს გალობა უთვალავ ჩიტის,
რამდენჯერ ყრმისას შენს სანატრელს ისმენდი ტიტინს,
ან ცალაჟვარდი ღრუბელთ კოშკებს ქმნიდა და შლიდა,
ან ულურჯესი სივრცე ზღვისა ეფინა მშვიდად.
ამოიძიე შენს ხსოვნაში ტურფა დღეები,
ბაღი, ვენახი, ნაყანობი, ორღობეები,
როს მშვიდი სივრცე ვერ გაბზარა მცირე ხმაურმაც,
ნელა ავსებდა წვიმის წყალი როცა ნაურმალს;
ატმის ყვავილთა სურნელებით მთვრალი ბუნება;
მთვარის კაშკაშის გაიხსენე დიდებულება,
ეზოს მამლები, ამაყად რომ აჩენდნენ დეზებს,
ჭიანჭველების აღმავალი დინება ხეზე,
ფიჩხის მოზიდვა ახლო ტყიდან, ფრენა ფარვანის,
ღამით თონიდან ამოვარდნილ ალის ვარვარი...
ჩაგძირავს ხსოვნა, დარწმუნდები — მრავალ წელს ერთობ
დაუსაბამო სილამაზე გარშემო ენთო.
ო, სინამდვილე, მოზეიმე, დაუკვნესარი,
იმდენი წელი — სასწაული სწორედ ეს არი.
რაც აღარ სუფევს, იმავ ძალით შემოგრჩენია,
ვერვინ წაგართმევს — სამუდამოდ იგი შენია.
მიტომ ნუ დარდობ — მე მტკიცებას მოვიტან მრავალს —
რაც ძვირფასია, ვერასოდეს ვერსაით წავა.
ის შენს სულშია, ვეღარასდროს განაპირდება,
და ღობით მისი შემოსაზღვრაც სულ არ გჭირდება...

რაღაცას გვიხსნის უსაზღვროება

წვიმებისა და ქარების შემდეგ დღე დაიჭირა წყნარი, მზიანი,
მშვიდად სუნთქავენ ხეები ირგვლივ, ნეტარებას გრძნობს ადამიანი.
მწვანე სერს ზემოთ, ლურჯ, ქორფა ცაში, იბადებიან ღრუბლის ქულები,
კოკისპირული სევდა-წუხილი გადამავიწყდა უკვე სრულებით.
დაიკარგება დღეს ის ყრუ განცდა, გულს რომ მოედო უხეშ ბარდებად,
სამაგიეროდ ყოფის სიტურფე ახალ ზეცაში აელვარდება.
ისევ თავს იჩენს არსებულების მშვენიერების გრძნობა გრძნეული,
ისევ ფიქრები აჟივჟივდება, შორი ჟამიდან შემოღწეული.
მე გადავსერე ქალაქის გული, თვალი შევავლე მოედანს გმირთა,
დამატკბობელი, მშვიდი ჰანგები ყოველი მხრიდან მესხმება ზვირთად,
ირგვლივ ხეების მასივი სუნთქავს, შორს ლაჟვარდები დაკიდებულან,
შემაჩქროლები ბედნიერება საყოველთაოდ დამკვიდრებულა.
უშფოთველია დღეს დედამიწა, ახურავს ლურჯი ცის მუზარადი,
შუქით ავსილი მყისიერება ყველაზე მეტად არის მარადი,
წყნარად დის მტკვარი, ქართლის ხეობით შორ სივრცეების შემოაქვს სული,
რაღაცას გვიხსნის უსაზღვროება, ფიქრების ძაფით შემოხაზული.

მზე შეღამებით

გვტოვებს მნათობი, მიჰყვება ბილიკს, მთელ სამყაროში შთენილი ცალად,
მას, საღამოურ ველზე დამავალს, ვერ შეაჩერებს ვერარა ძალა.
მის სულს, გადავსილს მთელი დღის ზრუნვით, უკვე ვეღარა მიემატება,
მიდის მნათობი, ცხოვრებისაგან გასარიდებლად მიემართება.
მისი სამყარო ამსიგრძე ჟამში ცხოველქმედების ხმებმა აღავსეს,
აწ მისი მზერა გადასულია სხვა მინდვრებსა და სხვა სანახავზე.
ჩვენც მივაკითხოთ სხვანაირ წესრიგს, სხვა მიმართებებს, გზებსა და გეზებს,
რაგინდ დიდი ხნით სხივს მივყვებოდეთ, ბოლოს ჩვენც უნდა გავიდეთ წრეზე.
უნდა შენელდეს, უნდა შეჩერდეს, უნდა შეჯამდეს, უნდა შეფასდეს,
კრეფას მოჰყვება დაბინავება, ვით დამწიფებას თვითონ კრეფა სდევს.
თითქოს აღმავალ ველურ ჭენებას მოულოდნელი აღვირი მოსდეს,
ნუ გავიკვირვებთ — უშქარ ალიონს ბოლოს უშქარი საღამო მოსდევს.
ო, წითელ დისკოს შორი ზმანება, გადაულახველ სევდის მკვესარი!
თუმცა უსაზღვროდ დაგვენანება, მისი ღირსებაც სწორედ ეს არი.
საგნებს ეცვლებათ მათი განწყობა, ყველა მიელის თავის მისაგებს,
გადაიხრება ფერების მწკრივი თანდათან მზარდი სიმუქისაკენ,
გაილანდება სამყაროს სახე, ღრმად შემგრძნობელი ღამეულ რიდის,
თითქოს ამ სახით დანატყვევები და ჯადოქმნილი მნათობი მიდის.
და ფრინველების შემკრთალი სული, გადმოფრქვეული შეშლილ ოდებად
და მიქანცული ქვეყნიერებაც მას სიყვარულით ემშვიდობება...

მაკა ლომაძე

სოფელი, როგელიც ელის

გოგია ბაბუ ერთ-ერთია გურიის სოფელ ჩოჩხათიდან, რომელსაც ვერაფერმა აიძულა მამაპაპისეული სახლ-კარის დატოვება. ერთი შვილი თბილისში ჰყავს, მეორე — საფრანგეთში, მესამე კი — ამერიკაში. დასავლეთში წასვლას ვერ უხსენებ, ის კი არა, დედაქალაქში გამოზამთრებაზეც ვერ ითანხმებს უმცროსი ვაჟი. ჯიუტი მოხუცი, იმის მოუხედავად, რომ ცოლი ფაცურა ეხვეწება, წავიდეთ შვილებთანო, ყურებს არ იბერტყავს და ასეთივე სიჯიუტით ხვდება სიბერეს.

ჯანმრთელობას არ უჩივის. ყანასაც მარჯვედ უვლის. შვილებმა პირობები შეუქმნეს. ცხელი წყალი აქვს და მოსული ქვითარიც არ ადარდებს — უხდიან. ბაღ-ვენახიც — მშვენიერი. ზაფხულში კი იქვე, მდინარე ჩამოდის და აგრილებს. სიმინდსაც იწევს, ხილ-ბოსტანსაც. სულ რომ დაიქცეს ქვეყანა, მშივრები არ დარჩებიან. ახალი კვერცხი და ახალი ქათამი ხომ სულ აქვთ, კარგი ტყემალიც და კარგი მჭადიც. ღომიც უყვართ. გურულ ღვეზელებს ბებო ფაცურა ხშირად აცხობს — აი, საშობაოდ თბილისშიც რომ ამზადებენ. მერედა, ნამდვილი კვერცხით ხომ სულ სხვაა. გოგიას კარგი ღვინო აქვს — ადესა. კახელებს და რაჭველებს შეიძლება, არ მოეწონოთ, მაგრამ, რაც მთავარია, მას მოსწონს და ახარებს. მერე, ბადაგს აიღებენ და შვილიშვილებს საფელამშეს გაუგზავნიან. როგორ უყვართ... იქნებ, ერთი თვით მაინც ჩავიდნენ, დაითანხმოს ცოლმა მომავალ ზამთარში...

მანამდე კი, სააღდგომოდ, შვილი ეწვია რძლით და შვილიშვილებით. ფაცურა თავის სახელს ამართლებს. ბევრი კვერცხი შეღება, თანაც, ნატურალური. ქათამიც ნატურალური შეწვა და გოჭიც. ხბოს ჩაქაფული გააკეთა ახალი, ეზოს არომატული ტარხუნით და ტყემლით. ო, რა სურნელი დატრიალდა... მჭადები კეცში ჩააკრა. ქოთანში ლობიო მოხარშა. უხაროდა: ჩემი ბავშვები ჩამოდიანო. მერედა, როგორ მოენატრათ ბებოს გაკეთებული საჭმელი... მთელ დუნიაზე, მგონი, მისი ბადალი კულინარი არ დაბადებულა...

— ბებია, ბაბუა! — შემოვარდა შვიდი წლის მაკუნა. ეგონა, ო, როგორ გულწრფელად ეგონა, რომ მათი ჩამოსვლის შესახებ არ იცოდნენ და მოულოდნელი სტუმრობით სულ გააგიჟებდა.

— თქვენ შემოგევლეთ მე. რეზუნა, მოი ბებო, შენც ჩაგეხუტო, ჩემო ბუთხუზა ბიჭო.

— ბაჩი როგორ მოგვეგება, რა საყვარელია. თქვენზე უფრო, მგონი, ძაღლი ენატრებოდათ, — უთხრა კოტემ, შვილმა, და სიყვარულით გადახედა პატარებს, — როგორ ხარ, დედა? ქრისტე აღდგა!

— ჭეშმარიტად, ჩემო შვილებო! — ჩაეხუტა ტკბილი ბებო ორივეს, — სა ხარ, გოგი, ჩვენი სიცოცხლეები ჩამევიდნენ.

ცოტა ხანში ბაბუც გამოჩნდა, ახალი კარტოფილებით ხელში. ისევ ატყდა ერთი ამბავი.

— რაფერ იმგზავრეთ? იქით რა ამინდებია? ცივა წრეულს, მარა ქე გადავტეხეთ წელში მაინც მაი ზამთარი, არა ფაცურა? ერთი კვირაი დარჩა საჯეჯილოდ და მერე ჩვენია მთელი ქვეყანა. აი ნასესხებიც ჩეივლის.

— მამა, მაოცებ. რა ენერგიაზე ხარ. მეც მინდა, მასე ვიყო, — თქვა კოტემ.

— ჰოდა, ნუ დეიგლახებთ თავს, შვილო. პაწა მეიცალო უნდა, თლა კარ უნდა მოაკვლიო თავი სამსახურს. კომპიუტერი შეგჭამს, მამა, თუ არ მეერიდე ხანდისხან. მაი ალენჩებს. ჩვენსას ერთი გივიას აქვს და ქე დადის მაგის ბიჭი გამოქანქარებული, აღარც მუშაობის თავი აქ და აღარც არაფრის. მიწა და ზომიერი შრომა მარგებელიცაა და სასიამოვნოც.

— რა ამბავია ქალაქში? გეიხადეთ, წამოწექით, დაღლილი იქნებით. ხაჭაპური მალე იქნება, დედა, და ვისადილოთ.

— დედა, გურულ ბებოზე თუ იცი ახალი ანეკდოტი?

— რომელი?

— გურული ბებო ყიდის მზესუმზირას. მივიდნენ ბიჭ-ბუჭები. იფიქრეს: გაველაზღანდარავებით, გავერთობითო. ეკითხებიან: ბებო, ღვინო გაქო? კიო — უპასუხა. არაყი? — ეგეცო. მარტინი? — აბა, რაო. ჯეკ დენიელსი? — დიახო. ვეღარ მოუგეს და კითხეს: ბებო, გვეღადავებიო? მე დევიწყე თუო?

— ასეა, ისინი რომ მიდიოდნენ, ჩვენ უკვე მოვდიოდით. ასეა, შვილო, ნანა, ასე. შენ ნამეტანი ნაზი გოგო ხარ, მარა კაი ხარ და მიყვარხარ, შენ გენაცვალე. ხო უვლი, ბიჭო, ცოლს კარგად, ჰა? ნაზი რომაა, კაია, ნენა, ყველა ქაჯი ხომ არ იქნება? ჰაჰა.

— ქაჯი არც შენ ხარ, ფაცურა, უბრალოდ, მთლად პრანჭვა-გრეხას თუ გადაყევი, ჩავფლავდებით, მაინც, სოფელია. ისე, რაფერი შენახულია ჩემი კნეინა, ჰა, რძალო?

— მშვენიერი, მშვენიერი. ყოჩაღია და კარგია. ასაკიც არ ეტყობა.

— რეიზა, იცი? სულ ნატურალურს ჭამს, გლახა არავისდა უნდა. კაი გულის ქალია. თავსაც უვლის გონია, აი იმისთანაა, თორემ ქე მობერდნენ მაგისტოლა ქალები ჩოჩხათში. მარა, მეც ფორმაში ვარ და იმიზაა, რას იტყვი, ცოლო, ჰა, ხომ ვარ ლომივით?

— კაი,სირცხვილია. დეიღუპე საცხა. ხარ, ხო ხარ. გამხიარულდა ახლა აი და რას ჩივის, თვითონ არ იცის, დაგინახათ და გადეეკეტა ტვინი. ნუ მომჯაყე ერთი, თუ კაცი ხარ. ტიტუ, არ დამეწვას. აი, კაია, მოით ბაღნებო, დაჯექით და მივირთვათ. აბა, მოით, მოით, ნენა.

— აბა, ქრისტე აღდგა. დალოცვილი ვიყოთ ყველანი.

— შეგვეწიოს უდიდესი დღესასწაულის მადლი.

— რეზი, დამიჭახუნე.

— მაკა, მოგიგე.

— გაგიმარჯოთ, კოტე, ნანა, შვილებს დაგილოცავთ, ჩვენს ბარტყებს, ორზე არ გაჩერდეთ, იცოდეთ. გამრავლება გვინდა ცინცაძეებს. ჩვენს ციცის გაუმარჯოს ამერიკაში და შაკოს — საფრანგეთში. იმრავლონ და იხარონ. შვილიშვილები დიდები არიან უკვე, ენაცვალოს მაგათ ჩემი თავი.

— მაინც წავალ. კოტიკო დედა, ამ კაცს არ ვუყურებ მე, რომ წახვალთ შენ და ნანა, მეც წამიყვანეთ. რაია, ბაღნები გპატიჟობენ და არ მიდიხარ. შენ თუ არ გინდა, მე მაინც გამოვახელ თვალს, — წაიბუზღუნა ფაცურამ.

— რახან არ იშლი, წადი.

— ე, მასე, შე კაცო.

— შენ რატომ არ გინდა, მამა? აქაურობა რომ გიყვარს, მესმის, მაგრამ სხვაგან რატომ არ გიწევს გული?

— არ ვიცი, შვილო, რამე რომ მოხდეს და მალე ვერ დავბრუნდე, მე ნოსტალგია გამთანგავს, ასეთი კაცი ვარ, ჩემი კარ-მიდამოს გარეშე არ შემიძლია. თბილისშიც ხომ იცი, ორ კვირაზე მეტს ვერ ვიცდი, თითქოს, ასფალტი სულს მიხუთავს. ეტყობა, ცივილიზაცია ჩემი საქმე არ არის. აქ არის ჩემი სავანე — ჩემი შრომის ნაყოფი, ჩემი სიამოვნებაც, სამსახურიც, ლონდონიც და პარიზიც. ალბათ, დედაშენს უკვირს, მარა რას იზამ? კაცია და გუნებაო. მე მაპატიე, შენ წადი, წადი, მე ნუ მიყურებ, ერთი ახირებული კაცი ვარ.

— შენ ჩაქრი. შენთვინაც მინდოდა კაი ქვეყანა, იმიტო გიცდიდი, მეიფიქრებსთქვა. რახან ასეა, მე წავალ და შთაბეჭდილებებს მოგიყვები.

ბავშვები მალე დააწვინეს და თვითონ გვიანობამდე ქეიფობდნენ. მეორე დილით, უკეთესი ამინდი დახვდათ. მიწაც მალე მოშრა და პატარები სათამაშოდ გავიდნენ. ცოტა ხანში, ჭიშკარში პატარა ბიჭი შემოვარდა.

— ვითამაშებ, რა, თქვენთან.

— მოდი, — უთხრა და-ძმამ.

სადილობამდე, გაუჩერებლად თამაშობდნენ. ბევრს იცინოდნენ, დარბოდნენ. ეზო ბავშვურმა კისკისმა და სიხალისემ მოიცვა. ახალამოწვერილი ხასხასა ბალახივით აბიბინდა მზიანი, უზრუნველი განწყობა.

— ბებო, ამოდით, გაჭამოთ. უი, ლაშიკო, შენ ხარ? რაფერ ხარ?

— კარგად. მაკა და რეზი არ იცდიან? ხომ არ წავლენ?

— არა, ბებო, ახლა დავუძახებ, მერე ცოტას დაისვენებენ და გამოვლენ. ამოი შენც ჩვენთან.

— მერე, რომ დაღამდება, წავლენ?

— დღეს არ წავლენ.

— ხვალ კი?

— არც ხვალ.

— დედამ კი მითხრა, მალე მოიო, მარა რო ვიყო? მათთან მინდა. შეიძლება?

— რავა არა, ბებო, რავა არა. მოდი, ჩემო პატარა. ესაა ჩემი შვილიშვილი, თქვენ რომ არ ხართ, ამას ვეფერები, ამას შემოევლოს ფაცურა. მოი, ბებო, მოი, შენი ჭირიმე შენი.

ლაშიკო ხტუნვა-ხტუნვით აჰყვა და-ძმას კიბეზე და სამივემ კარგად მოულხინა გემრიელ კერძებს. დესერტითაც ჩაიკოკლოზინეს პირი.

ცოტა სახლშიც ითამაშეს. იმდენი ჰქონდათ ნარბენი, რომ ჭამამ თავისი ქნა, ბავშვები მოთენთა. ერთმანეთზე მიეძინათ. უსაყვარლესი სანახავები იყვნენ. უფროსებმა საწოლებში მიაწვინეს.

— ნანა, რომ იცოდე, ეს ბავშვი რაფერ მეცოდება. მთელ კუთხეში, მისი ტოლი არავინაა. ვინც იყო, ყველამ გუდა-ნაბადი ეიკრა. იმ დღეს, გული მომიკვდა: ბატი დეეჭირა, ნისკარტში ჩაფრენოდა და ეჩხუბებოდა: დამელაპარაკეო. აბა, ამას ბავშვობა აქვს? ისეთი მოწყენილი დადის. გაცინებული პირველად ვნახე. აი, აღდგომა მაგას გოუთენდა, თუ გოუთენდა. ჩამოდით ხოლმე, რა, ლაშიკოს ხათრით მაინც ჩამოით, თორემ გაწყალდა გული მაგის ყურებაში. ჩვენ კი კარგად ვექცევით, მარა ბაღნები უნდა, ბაღანაა, ექვსის არაა ჯერ.

საფლავზეც გავიდნენ. ასე ელოდა ყოველ წელს აღდგომის დადგომას სოფელი — იქნებ, მაშინ მაინც ჩასულიყო ხალხი, იქნება, ცოცხლების თუ არა, თუნდაც მკვდრების ხათრით. ზაფხულმაც რომ ვერ ჩაუყვანა გოგია ბაბუს თავისიანები, ისევ ამ დღესასწაულმა უშველა. ახლა დარჩებოდნენ ერთ კვირას. ლაშამაც გაიხარა, ამოეწია გული, იცინა, ირბინა, გაერთო. რაჭველ ნანას კი მოაგონდა, როგორი იუმორიანი ხალხია გურულები და თანაც, დაისვენა კიდეც საქმიანი და გემრიელი დედამთილის ხელში. სიყვარული, სიყვარული სუფევდა გოგიას და ფაცურას შორის, ასე იყვნენ მისი შვილებიც და ეს ახარებდათ ყველაზე მეტად. როგორც მათი ღვინო გადადიოდა ჯამიდან ჯამში, ისე გადადიოდა ეს გრძნობა თაობიდან თაობაში. სიყვარული, სიკეთე და სილამაზე იყო მათი დევიზი სახლშიც და კარშიც, ერთმანეთშიც და სხვების მიმართაც. ნამდვილი აღდგომა იყო — ნამდვილი სიხარულის მომტანი, ნაღდი დღე-სასწაული.

— მადლობა, მამა, რომ ჩამოხვედით. ვეცდები, თავს ვძლიო და ზამთარში მე ჩამოვიდე თქვენსას. ზაფხულშიც ჩამოით რაა... ვიცი, კურორტებზე მიგეჩქარებათ, მარა, კაია აქანე მდინარის პირია, სიგრილეა, ლანჩხუთივით კარ ცხელა, ხომ გახსოვს, რამდენს ვთევზაობდით? ჩამოი, კოტე. ხომ კაი იყო, შენი ბავშვობის მეგობრები რომ ნახე? ყველას არა აქ, მამა, სოფელი, ჩამოი, ყოველ წელს ჩამოი, მამა. შენც გჭირია მაი, ბიჭო, თვარა ჩვენ რო გვჭირია, მაი ხომ იცი? კარგად იყავით ბაბუკოებო, ჩემო ლამაზებო.

— კარგად, დედა. ა, ყველაფერი ჩაგიღაგეთ. აი ფოსტა რაცხას მაინც მუშაობს. მეიწერეთ ხოლმე, ნენა. მიხარია მაინც წერილი. ალბათ, ფეისბუქია, სკაიპი თუ რაცხა დასაღუპავი, რომც დავაყენო და კომპიუტერი ვიყიდო, სულ აღარ გაგვეკარებით. ჰოდა, არ დავაყენებ. მოგენატრებით და ჩამოხვალთ. კარგად, აბა, კაი მგზავრობა. მოკითხვა შენებს, ნანა.

— კარგად. დიდი მადლობა. აბა, გელოდებით საახალწლოდ აუცილებლად.

თვალზე ცრემლი ჰქონდათ, გულში — სიყვარულის დიდი ცეცხლი. ლოცავდნენ შვილს და შვილიშვილებს.

— ჩვენ კაი, მარა ლაშიკოს რა ვუთხრათ, ჰა, გოგი? გეიხარა ბავშვმა. არა უშავს. სურათებს შეხედავს და გეიხსენებს. გამოგიგზავნითო, კოტემ ხო თქვა? საბავშვო ბაღი მაინც მუშაობდეს ამ ჩოჩხათში...

გასაუბრება მფარველ ანგელოზთან

— რაც გატკენს, არ გინდა, გოგონა... სიამოვნებასთან ერთად სარგებელიც უნდა მოგიტანოს.

— ო, აბა, რა ვუყოთ ოცნებებს?

— ოცნება გაქრება, გოგონა, შენ კი, ღმერთმა ნუ ქნას, რომ გაქრე. იმსხვრევა ყოველი ქიმერა, შენ კი თავთან ხარ, თავის უფალი ხარ... შენ ხარ, შენ ხარ თავად სიყვარული, სიცოცხლე, ამიტომ, ნურავის გადაყვები, რადგან არავინ ღირს შენს ცრემ-

ლად, ვინც ღირს, ის არ აგატირებს — აკი, ეს დაგვიბარა მარკესმაც და როგორი ბრძნულია. შენც ხომ გიყვარს ლიტერატურა, გოგონა? დავამატებდი: არ გინდა დიდი სიყვარული, გოგონა, რადგან მოგკლავს, გაგანადგურებს...

— ო, აბა, რა ვუყოთ სურვილს, გვიყვარდეს და ვუყვარდეთ?

— ეს ბუნებრივია, მაგრამ ქალისთვის ხომ მთავარია, უყვარდეთ? ეს არ არის ეგოიზმი. ის შეიყვარე, ვისაც მთელი გულით შეუყვარდები, და არა მხოლოდ გარეგნულად მოეწონები. სიყვარული კი მან ქმედებით უნდა დაამტკიცოს, და დროით უნდა განმტკიცდეს ეს ყველაფერი, უნდა გაგრძნობინოს, რომ არსად წავა, და სულ დაგელოდება...

— მეც ეგ მინდა... მაგას ვეძებ, და ვერა და ვერ ვპოვე... აბა, ეძიებდე და ჰპოვებდეო?

— კი, მაგრამ ეს გზა არც ისე იოლია, გოგონა. მოთმინება დაგჭირდება სამოსლად, თორემ გაიყინები, რადგან მოლიპულია ეს გზა და ხშირად თოვს... და თუ მაინც გეტკინება, ესე იგი ვერ გაუფრთხილდი თავს, და უნდა ისწავლო, რომ წამოდგე, და ყურადღება გაამახვილო სხვა რამეზე, რადგან ზოგჯერ რასაც აიკვიატებ, ის არ გამოგივა, პირიქით, განიზიდება შენგან. ჰამსუნის ნაგელს ნუ დაემსგავსები, ჩემო გოგონა, მე შენ მიყვარხარ, ეს გახსოვდეს, მიყვარხარ უსასრულოოდ... უპირობოოდ...

— აბა, დაველოდო, თუ არა?

— არ იფიქრო ამაზე... ლოდინი დამღლელია, მაგისთვისაც არ მემეტები, ჩემო ფარფატა, სიფრიფანავ... შეიყვარე უფრო მეტად თავი შენი, შენ ხომ მშვენიერი ხარ, ნუ დასწვავ შენს სათუთ ფრთებს ამაოების კოცონზე... შეგახსენებ: შენ მუდამ მაღალი სული გქონდა... ახლაც, მინდა, ასეთი იყო, არ დაღონდე... არ ჩამოყარო ფრთები.... შენ პეპელა ხარ, იფრინე, დატკბი და დაატკბე ყველანი... ყველაზე დიდი შედევრი ხარ ღმერთის — ქალი ხარ — იდარდოს იმან, ვინც დაგკარგა, ვერ დაგინახა. ბრმები არიან, უბადრუკნი. მე კი, მალამოს გამოგიგზავნი, რომ შეგიხორცო ფრთები და სული.

— მაშ, არ გავფრინდეთ?

— ჯერ მიწაზე უნდა იფრინო. ნუ გეშინია... გამოჩნდება ისევ ხალისი, და ისეთი ცისარტყელები, ჯერ არნახული, სულ სხვა ფერებით. ჩემო ფერიავ, გეფერები...

ორი მტრედი და მათზე თეთრი სიყვარული

ერთმა პატარა მტრედმა მეორეს თეთრი ბარათი გადასცა და გაფრინდა. მერე მზე ჩავიდა და ყველაფერი სიჩუმემ მოიცვა. მტრედი დაჯდა, ამოიღო ბარათი ფრთიდან და წაიკითხა. ის სულ მარტო იყო, მაგრამ მაინც არ გრძნობდა მარტოობას, რადგან მას ჰყავდა მეორე მტრედი, ჰქონდა მასზე თეთრი ბარათი და უფრო თეთრი სიყვარული.

სიცოცხლის ფასი

ერთ ღამით ღრმა დეპრესიაში მყოფ ზაზას ეზმანა: გარდაცვლილების სულები პეპლებად დაფარფატებდნენ საფლავების თავზე... მოწყენილნი იყვნენ, მასზე ბევრად უფრო... ფიზიკურ და გულის მზეს მოკლებულნი, ჩრჩილებად ქცეულიყვნენ. თანაც, ის მცირედიც აღარ შეეძლოთ, რაც ადამიანებს შეუძლიათ... სრულიად უძლურნი, შენდობას მხოლოდ თავიანთი ცოცხლებისგან მოელოდნენ, ზოგიერთის საფლავი და სული კი ყველას დაევიწყებინა.

გაოფლილმა გაიღვიძა. გაუხარდა, რომ ცოცხალი იყო... მიხვდა, სიცოცხლე ღირდა იმად, რომ მისთვის აზრი შეგეძინა, ფერი მიგეცა... გადაწყვიტა, ქალი შეეყვარებინა და გაებედნიერებინა... გაზაფხული დამდგარიყო... რამდენი გოგონა ელოდა სიყვარულს... ერთის გახარება ხომ შეეძლო? ერთგული იქნებოდა... ასე იქცა ზაზა ჩრჩილიდან ჭრელ პეპლად, რომელიც ერთ-ერთ უმშვენიერეს ყვავილზე მოკალათდა და დედა სამყაროს კიდევ ერთი თვალწარმტაცი ცხოვრებისეული კადრი აჩუქა...

სამი მეგობრის სიყვარული

ნესტანი ბავშვობიდან ბევრს მოსწონდა, თუმცა ცოტას თუ გაებედა მისთვის რამის თქმა. პატარაობისას გოგონას არ ჰქონდა ადამიანების ამოცნობის ნიჭი განვითარებული. როგორც მოსალოდნელია, ბევრი მოშურნე ჰყავდა. მათ შორის, ერთერთი, ყველაზე მავნებელი, ყოველდღიურად აკომპლექსებდა — მე ამდენს და ამდენს მოვწონვარო. გამოდიოდა, რომ ის არ მოსწონდათ და ეს — კი. ან არადა, ცალი ფეხი ჰქონდა მისი სიგრძე, ნამდვილი მზეთუნახავი იყო. უკვირდა ეს ამბავი. რომ გაიზარდა, მერე კი მიხვდა. პატარა ნესტანი ხომ იმდენად მშვენიერი და სუფთა იყო, რომ შურის არსებობის შესახებაც არაფერი იცოდა. რადგან თავად ყველა უყვარდა, სხვაც ასეთი კეთილი და სათნო ეგონა. თუმც, შურიანსაც ხომ თავისებურად უყვარს შურის ობიექტი? სიყვარულის დამახინჯებული ფორმაა ოღონდ.

გავიდა წლები და ეს ნატიფი კოკორი თვალწარმტაც ვარდად იქცა. მიმზიდველობაც მოემატა და ქალურობაც, თუმც, დახვეწილ ფიგურას ინარჩუნებდა. ერთ დღესაც, მასთან სიბრძნესთან ერთად, ერთი საოცარი უნარი მოვიდა: ხალხის ამოცნობის უნარი, ჰოდა, მართალია, პოსტ-ფაქტუმ, მაგრამ ყველა თავისი მეგობარი ამოიცნო და იმასაც მიხვდა, ვის უყვარდა და მოშურნეობის გამო, როგორ დაუმალეს ეს. აღიარა რა შურის არსებობა, გაფილტრა ისინი — მიხვდა, რომ რაოდენობა კი არა, ხარისხია უმთავრესი და ბევრად ღირებული, და ამგვარად, მხოლოდ ნამდვილი მეგობრები დაიტოვა.

ნესტანი, ბავშვობისა და თინეიჯერობისას, ძმასთან ერთად, ხან მარტოც, მეზობელ ეზოს ეშურებოდა, რადგან იქ დიდი სივრცე იყო და უამრავი ბავშვი იყრიდა თავს. უზარმაზარ სტადიონზე მუდმივად მიმდინარეობდა ფეხბურთის მატჩები — ყველა ასაკობრივ კატეგორიაში. მათ შორის, იყო მასზე ოდნავ უფროსი სამი მეგობარი — იმდენად კარგი მონაცემის მქონე პატარა ვარსკვლავები, რომ ნათელი იყო, მომავალში ფეხბურთელები დადგებოდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს, ბიჭები, ვარჯიშის მერე, ერთ-ერთთან შეიკრიბნენ ტელევიზიით მატჩის სანახავად. ეს ამბავი ნესტანს გიორგის დამ, ეკამ უამბო, რომელიც დედამისთან კერძოდ ემზადებოდა. ეკას ასეთ საუბრისთვის მოუკრავს ყური:

— აუ, ბიჭო, ვინმე არ მოგწონთ? — იკითხა ჯაბამ.

— აუ, მომწონს კი არა, მგონი, მიყვარს, — უპასუხა გიომ.

— აუ, ვინ, იტყვი? — იკითხა იკამ.

— აი, ბიჭო, ზაზას და რომაა, მაღალი, შხვართი, ლამაზი, საყვარელი, მაგ გოგოს შეყვარება ისეთი ადვილია.

— რაა? ხომ არ მეკაიფები, ბიჭო? — გაიოცა ჯაბამ.

— არა, მიყვარს და რა ვქნა?

— იმ დღეს პაროლობანა ვითამაშეთ და ძლივს დავეწიე, არ მინდოდა, თამაში დამთავრებულიყო და მთელი ძალით არ დავრბოდი, თვითონ კი უხაროდა, ვერ მიჭერო, იცინოდა. აუ, ეგ არ გეთქვა და...

— რა იყო, შენც? — გაკვირვებით გაეპასუხა გიო.

ჯაბამ თავი ჩაქინდრა და გაწითლდა. იკას ხმა არ ამოუღია, მაგრამ გადაფითრდა... ეს მეგობრული გულის გადაშლა სამივესთვის მტკივნეული აღმოჩნდა.

„კიდევ კარგი, იმ დღეს, რომ დავდევდი, არ ავუხსენი სიყვარული“, — გაიფიქრა ჯაბამ.

ასეთი მეგობრობა იცოდნენ. ერთმანეთის ერთგულების გამო, სამივემ გულში ჩაიკლა ეს სპეტაკი, ყმაწვილური, მაგრამ ნამდვილი და წრფელი გრძნობა. მერედა, როგორი ძლიერია პირველი სიყვარული ბიჭებისთვის, სრულიად დაუვიწყარი. ნესტანსაც მოსწონდა იკა ცოტათი, მაგრამ ვერც გიოს დას გამოუტყდა ამაში, რადგან იფიქრა: ეს სამი გულითადი მეგობარი ერთმანეთს დაკარგავსო. რომც არ დაეკარგათ, უხერხული არ იქნებოდა, შეყვარებულის და იქნებ, მომავალი ქმრის ორ საუკეთესო მეგობარს რომ უყვარხარ? ასეა — ზოგჯერ არც ისე კარგი და იოლია, ლამაზი რომ ხარ — ყველას უყვარხარ და თანაც, არავის! ტვირთია! ჰოი, საოცრებავ, რა ტყუილად იტანჯავდა თავს ნესტანი, იმ მოშურნე მეგობრის გადამკიდე, არავის მოვწონვარ და ვუყვარვარო, თურმე, სულ პირიქით, მაგრამ რად გინდა?

მას შემდეგ ორმა ათეულმა წელმა კვლავ მარტოობაში გაიელვა. ვინ იცის, კიდევ რამდენს უყვარდა, რამდენ საიდუმლო თაყვანისმცემელის მალულ გრძნობას არ ახდია ფარდა.

ერთ დღესაც, ბედმა გაუღიმა და თავის ადამიანს შეხვდა — ესპანელ მეცენატს გაჰყვა ცოლად, პიკასოს სამშობლოში.

უადრესატო წერილი

მიყვარხარ მთელი სულით და ხორცით... ჰო, ძალიან, ძალიან! ისე, როგორც არასდროს არავის არავინ... არ გჯერა განა? არა, ეჭვი არ გინდა, ის ყველაფერს აფუჭებს, ეჭვი არ გვეკადრება. გთხოვ, ნუ მთხოვ, დაგიმტკიცო, რადგან უძლური ვარ, რაიმე გმირობა ჩავიდინო. მე რომ რაინდი ვიყო, ალბათ, შენი სიყვარულისთვის ვინმეს დუელში გამოვიწვევდი და ვნების ცეცხლით ანთებული, სისხლსაც დავღვრიდი. არა, არ მინდა ეს ფუჭი საუბარი. ხომ გესმის, მე თავგანწირვისთვის მზად რომ ვარ? რა საჭიროა დუელი, მე ისე გავწირავ თავს შენთვის. მაგრამ განა შენც იმავეს იზამ ჩემთვის, განა შენი გულიც ასეა გამთბარი? არა, არ მინდა შენი სიცივე, მითხარი, რომ შენ მთელი ცხოვრება ჩემთვის აგროვებდი სითბოს, რომ მერე მზის სხივებად დაგეღვარა ჩემს სხეულზე... მოდი, მომხვიე ხელი, ნუ გეშინია, არ დაგწვავ, არც დაგსუსხავ, მოდი, გადმოდგი პირველი ნაბიჯი, ჩამჭიდე ხელი და მითხარი, რომ არასდროს გამიშვებ და ასე დაუსრულებლად ვივლით სიცხეშიც და სიცივეშიც. მითხარი, რომ მხოლოდ ჩემზე ოცნებობდი, ჩემით სუნთქავდი, ჩემი ცქერით ხარობდი და ვერ ძღებოდი და მხოლოდ შემხვედრ იმპულსს ელოდი ჩემს თვალებში, რომ ჩემამდე მოეყვანე. მე ახლა გავჩუმდები და ნაზად ჩავღუნავ თავს, ნუკრივით დავხრი თვალებს. შენი მორჩილი, უწყინარი ბავშვი ვარ, გოგონა, რომელიც თვალდახუჭული მოგყვება სადღაც შორს, ჯერ კიდევ გაუთელავი ყაყაჩოებით გადაწითლებულ ბილიკებზე...

ზემოდან მზე გველიცლიცება, თვალს გვიკრავს და უხვად გვჩუქნის ოქროსფერ სხივებს. ამ პაპანაქებაში მხოლოდ ჩვენ ორს არ გვცხელა, რადგან ციდან ჩვენთვის სიყვარულის თბილი თოვლი მოდის...

უსტუმრო სახლი

მართლა ჯვარი აქაურობას და კუბოს ემსგავსება სახლი, თუ მას არავინ შემოაღებს, არ იტყვის: „კეთილი იყოს ჩემი ფეხიო, არ იტყვის“, არ გაგიღიმებს, არ ჩაგიხუტებს, არ გეტყვის, რომ მოენატრე, არ გაგათბობს მითუმეტეს, ზამთრის სიცივეში. გამოკეტილი ზიხარ და გგონია, რომ ისე გაცივდა ყველაფერი ამ ამინდისგან, მალე ლოლუები დაეკიდება ირგვლივ. მაგრამ, რა ვუყოთ შინაგან, ადამიანურ ზამთარს?

ეს არავისი ბრალია... — ურთიერთობების გაცივება, ქრონიკული დაკავებულობა, აჩქარებული ტემპი... წარმატებისკენ უსასრულო სწრაფვა, როცა ყველაზე ძვირფასი — სითბო და სიყვარული, თბილისის თოვლივით დნება... სადღაა თბილისური ურთიერთობები, რომლებიც მართლა ლოლუებად დაეკიდა ქალაქს? „ზამთარს ყველაზე მეტად სცივა და ჩვენ უნდა გავათბოთო,“ — ფიქრობდა ლალი, მაგრამ არ იყო დარწმუნებული, რომ გიჟად არ ჩათვლიდნენ და საკუთარ თავთან მონოლოგით იფარგლებოდა... „ან ეს ფეისბუქი რაა? აზარმაცებს ადამიანებს“... იმ დღეს დაებლოკა ორი კვირით და განსაკუთრებული მონატრება სწორედ მაშინ შემოაწვა... აი, რატომ აღარ დადის ხალხი ერთმანეთთან და მეგობრებს შორისაც კი, შეხვედრები საქმიან ხასიათს ატარებს მხოლოდ... ეს გადაგვარებაა...

თანაც, ეს სიშორე... ახლა, ზამთრის ქარებს აღარ იკითხავთ, ასე რომ ეხმიანება განწყობას? ლალი კი ადრე ქალაქის მთლად გულში — დიდუბეში ცხოვრობდა, ისეთ ადგილას, სადაც უნდა წახვიდე, ყველა უბნისთვის შუაგული რომ არის... ახლა კი, იცოცხლე, ჰაერი და სისუფთავე ბევრად უკეთესია, მაგრამ გამოსავლელზე არ ხარ და არც აღარავინ მოდის — შორიაო...

ლალიც მუშაობდა, მაგრამ დისტანციურად — სახლიდან... აღარც კოლექტივი ჰყავდა, აღარც მეგობრები. ამ უკანასკნელთა უმეტესობას შვილების გამო სულ სხვა სამყარო ჰქონდა, ზოგი კი თავის ახალ თანამშრომლებთან მუშაობდა და ერთობოდა კიდეც... სულ მარტო დარჩა... სტუმარი კი არსად ჩანდა...

მაგრამ ყოველ მედალს მეორე მხარე აქვს... ლალის კარგი ანაზღაურება ჰქონდა, ფულიც ეზოგებოდა, აბა, სხვა სარჩენი არავინ ჰყავდა... ვერც ვერსად ხარჯავდა მაინცდამაინც ამფსონების სიმცირის გამო... მოიხმარა ძმის სტატისტიკურ-ანალიტიკური უნარები, ერთად შეადგინეს ბიზნეს-გეგმა და ერთ დღესაც, ყოჩაღმა გოგონამ, საკუთარი მცირე საოჯახო ტიპის სასტუმრო გახსნა... აი, მას მერე კი სტუმრები არ მოჰკლებია... მერე, იცოცხლე, გამოჩნდნენ მეგობრები... ყველას გაუკვირდა, როგორ მოახერხა ამ წყნარმა გოგომ ამდენი, მაგრამ პროფესიიდან გამომდინარე, კონტაქტები ჰქონდა ბევრი და ამან დადებითად იმუშავა საქმის წარმოებაზე. ცოტა ხანში, მთარგმნელი და ჟურნალისტი ლალიკო რესპექტაბელურ ბიზნეს-ლედად იქცა...

ერთ დღეს, იმავე წრიდან, ბიზნესმენ ლადო ნაკაშიძეს მოუვიდა თვალში — მომხიბლავი ახალგაზრდა ქალი იყო, აფეთქებულ ალუბალს ჰგავდა... რესტორნებში რამდენიმე შეხვედრისა და თაიგულების მირთმევის მერე, ხელიც სთხოვა...

ახლა უკვე დამხმარე ქალიც ჰყავს ლალის შინ, სტუმრებიც არ აკლია, და ცხოვრება მართლაც მშვენიერი, თბილი და სიყვარულით სავსეა...

თამარ ბარბაქაძე

ლექსის უნიკალური წყობის ოსტატი

სონეტის თავგადასავალი საქართველოში თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიის ახალ ეტაპს უკავშირდება: 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ვილნოში გადასახლებული გიორგი ერისთავის მიერ თარგმნილი სონეტებით (პეტრარკას, ადამ მიცკევიჩის) იწყება ამ უაღრესად პოპულარული ევროპული მყარი სალექსო ფორმის საქართველოში შემოსვლის ამბავი, მერე კი, XX საუკუნის 10-იან წლებში, კვლავ აღორძინდა იგი. 30-იანი წლებიდან სონეტი, სოციალისტური რეალიზმის რისხვას განრიდებული, ჩრდილში მოექცა და მხოლოდ რეზო თაბუკაშვილის მიერ თარგმნილმა შექსპირის სონეტების კრებულმა გაუხსნა გზა კვლავ ფენიქსისებური გაცოცხლებისაკენ.

სონეტების კრებულების გამოსვლა კი ნამდვილად XX საუკუნის 80-90-იანი წლების საქართველოს მონაპოვარია, როდესაც ერთმანეთის მიყოლებით გამოიცემა: ლია სტურუას (1987), გენო კალანდიას (1993), ლადო სეიდიშვილის (1995), ნოდარ ხუნდაძის, შოთა ზოიძის (1996), ჯემალ ინჯიასა და სხვათა სონეტების კრებულები. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ვახუშტი კოტეტიშვილის „სონეტები“ (2015). 2022 წელს გამომცემლობა „მერიდიანმა“ დასტამბა მანანა ტონიას 500-გვერდიანი სონეტების წიგნი: „ათას ერთი სონეტი“. საგანგებოდ უნდა ითქვას ჯემალ ინჯიას „სონეტთა გვირგვინებზე“, რომლებიც ერთ წიგნად აიკინძა და „ირმის ნახტომი“ (2021) უწოდა ავტორმა.

სონეტი, როგორც პოეტის მიერ შერჩეული ევროპული მყარი სალექსო ფორმა, ასეთ კრებულებში განსაკუთრებული ფუნქციით არის აღჭურვილი: ავტორის პოზიციას გვიდასტურებს, ზოგადად, სიტყვისა და მელოდიის, აზრისა და ხმის შეთანხმების შესაძლებლობის თაობაზე და, კერძოდ, ემპირიული რეალობის მიმართებას ტრანსცენდენტურ, მეტაფიზიკურ სამყაროსთან კანონიზებული, კლასიკური ფორმით წარმოგვიდგენს. ამგვარი წიგნები სონეტებისა ევროპული სინამდვილიდან ქართული პოეზიის ორგანულ ნაწილად იქცა XX საუკუნეში: მიქელ პატარიძის მიერ თარგმნილი ხოზე მარია დე ჰერედიას „ტროფეები“, შექსპირის სონეტების კრებულები — გივი გაჩეჩილაძის თუ რეზო თაბუკაშვილის მიერ თარგმნილი; ჯემალ აჯიაშვილის მიერ თარგმნილი მიქელანჯელოს, პეტრარკას სონეტები, მორის ფოცხიშვილის მიერ თარგმნილი პაველ-ორსაგ ჰვიეზდოსლავის „სისხლიანი სონეტები“, ჯემალ ინჯიას მიერ ქართულად ამეტყველებული ლუის დე კამოენსის სონეტები და სხვა. საგანგებო კვლევას იმსახურებს ბათუ დანელიას „თავისუფალი სონეტები“ 90-იან წლებში (მაგალითად, სონეტი „მიდიან“ 19-მარცვლიანია: 5/2//5/2//5). ქართველი პოეტებისათვის, XXI საუკუნეში, კვლავ გამორჩეულია სონეტის ფორმა. თამაზ ხარაიშვილის, ერეკლე საღლიანის, ბექა ახალაიას არაკანონიკური „სონეტების გვირგვინი“, რატი ამაღლობელის, ლეონა სამნიაშვილის, გიო საჯაიას, ზვიად რატიანის, ედუარდ უგულავას და სხვათა სონეტები გვიდასტურებს, რომ ეს ევროპული ფორმა კვლავ ძვირფასია ჩვენთვის.

რაულ ჩილაჩავას სონეტები, პოეტის სხვა ევროპული თუ აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები — ტერცინა და რობაი — ქართულ პოეტურ სივრცეში კარგა ხანია, იქცა სიყვარულისა და განსჯის საგნად; თუმცა რაულ ჩილაჩავას ოთხწიგნეული: „სონეტები“, „ტერცინები“, „რობაიები“, „ელეგიები“ ნამდვილად განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენი ლიტერატურისათვის. შეუძლებელია, განხილვის საგნად არ იქცეს ქართული ლექსის ისტორიისა და თეორიის მკვლევრისათვის რაულ ჩილაჩავას სონეტების კრებული (2020, გამომცემლობა „კალმოსანი“).

ეს წიგნი პოსტმოდერნისტული, ციფრული ეპოქის კვალდაკვალ, 199 სონეტს აერთიანებს; აქედან ერთი: „ფოთოლცვენა“, „სონეტების გვირგვინია“, ანუ 14 სონეტი და XV — სონეტი — მაგისტრალი); ხოლო ერთი — სონეტების ციკლია: „21 სონეტი XXI საუკუნის საქართველოს“; არის სონეტების დიპტიქი: 1. ავტოსონეტი; 2. ავიასონეტი.

რაულ ჩილაჩავას წიგნები: „შნო“ და „ბედის ფორმულა“ არის წყარო ჩვენი განსახილველი სონეტებისა. ეს წიგნი ჟანრული, მყარი სალექსო ფორმის მიხედვით შედგენილი კრებულების ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან პოეტს სონეტების პროლოგად „ფოთოლცვენა (სონეტების გვირგვინი)“ წაუმძღვარებია, ხოლო ფინალური „შემოდგომის სონეტი“, მართლაც, აგვირგვინებს სონეტისტის ჩანაფიქრს: ეს წიგნი მისი შემოდგომის წიგნია, „საშემოდგომო მარათონად“ ნაგულისხმევი.

რაულ ჩილაჩავას სონეტების უმრავლესობა ამ ევროპული მყარი სალექსო ფორმის კანონიკური, კლასიკური სქემის მიხედვით არის დაწერილი, რაც ქართულმა პოეზიამ XX საუკუნის 10-20-იან წლებში აღიარა; ქართული ლექსის რეფორმაციის რთულ გზაზე საკუთარი გეზის მისაგნებად გამართულ მწვავე დისკუსიებში სონეტის მეტრისა და რითმის, მისი შინაარსისა და ფორმის, ურთიერთმიმართების თაობაზე განსაკუთრებით ბევრს კამათობდნენ. ბოლოს კი გრიგოლ რობაქიძის მიერ დაკანონებული მყარი სალექსო ფორმა სონეტისა ასე გაბატონდა ჩვენში: 14 ტაეპი 14-მარცვლიანი ბესიკური მეტრით (5/4/5), კატრენებისა და ტერცეტების გარითმვის სავალდებულო სქემებით: კატრენებში ორჯერადი რკალური, ან ჯვარედინი რითმა და ტერცეტების სამჯერადი რითმა სათანადო ვარიაციებით.

რაულ ჩილაჩავა, ძირითადად, მიჰყვება სქემას, სადაც კატრენებს რკალური რითმა აქვს (abba), ხოლო ტერცეტები გარითმულია ამგვარად: cde cde („მოვდიგარ, ძრწოდე!“); ან: abba abba cdd cee („ჰაიდნი — სიმფონია ¹ 45. ფა დიეზ მინორი სანთლების შუქზე“ — „გამოთხოვება“), არის ასეთი უჩვეულო რითმა ტერცეტებისა: არა სამჯერადი, არამედ ორ რითმაზე გამართული ტერცეტები: cdd ccd („პაპანწყვირე (მეგრული ლეგენდა)“.).

სონეტი არაკანონიკურია: არ იცავს სავალდებულო სამჯერად რითმებას ტერცეტებში და ამ მყარი სალექსო ფორმის ტრადიციულ აკრძალვას არ ითვალისწინებს: არ შეიძლება სონეტმა ამბავი, ნარატივი, სიუჟეტურად დამუშავებული თავგადასავალი გადმოსცეს. ამ, ფილოსოფიური ლირიკის მკაცრი წესებით შეზღუდულ, ფორმას მხოლოდ სულის თავგადასავლის თხრობა, ემოციური მდგომარეობის ასახვა ევალება და არა, თუნდაც ლეგენდებით, უჩვეულო ამბით მკითხველის გაოცება: „პაპანწყვირე“ კი, რომელიც მეგრული ლეგენდის შინაარსის გადმოცემას ისახავს მიზნად, მსმენელს შეაძრწუნებს ხუცის უწმინდურებით (ძაღლის ხორცს აჭმევს ნადს!). რაულ ჩილაჩავამ სცადა, თავისებური ექსპერიმენტი შეეთავაზებინა თანამედროვე მკითხველისათვის, რომელიც კარგა ხანია, მიეჩვია ნეგატიური ინფორმაციის მოსმენა-მონელებას: შეიგუებს თუ არა ამგვარ ამორალიზმს ეს ღვთაებრივი წესრიგით, ჰარმონიით შეკრული ფორმა? სონეტისტი გვიმტკიცებს, რომ — არა! შეუძლებელია, ამგვარი დანაშაული, დარღვევა კანონად იქცეს: ტერცეტების სამჯერადი რითმის ნაცვლად ორი რითმის გამოტანა სემანტიკურადაც გაუმართლებელია, ლექსიკური ერთეულების შინაარსობრივი დატვირთვით: მეტის ატანა — სატანას — გაატანა, ერთი მხრივ და, მეორე მხრივ: ეზო წყეული — გადარწეული — ბილწი სხეული. მხოლოდ სარითმო ერთეულები რომ ამოიკითხო, ისედაც იგრძნობ სონეტისტის მიერ ლეგენდის ინტერპრეტაციის მიზანდასახულებას და სტრუქტურულ ძიებას: სონეტისათვის კანონიკური შინაარსის, თემატიკის რღვევა იწვევს მის სტრუქტურულ, ფორმისეულ ცვლილებას.

ნეგატიური, კრიტიკული პათოსით გამორჩეულ სონეტებში ტერცეტების რითმის დეკანონიზაცია რაულ ჩილაჩავას საყვარელი პოეტური ხერხია. სანიმუშოდ შეიძლება მოვიხმოთ სონეტი „მოასპარეზე“. რკალური რითმით (abba) გარითმული კატრენებით სონეტისტი ამხელს პლაგიატორებს, იმ პოეტებს, სხვისი ნიჭის გაქურდვა რომ ხელობად უქცევიათ:

რას ნიშნავს, ნეტავ, ეს გამოთქმა:
„შემოდგა ფეხი
პოეზიაში...“ —
ან რას ნიშნავს ეს — „ასპარეზი“?
მავანი ლექსს წერს, ღეჭავს სიტყვას,
ვით ასფა რეზინს,
მერანს კი არა,
ვერ შეადგა სახედარს კეხი.
(„მოასპარეზე“).

სონეტის სათაურს კარგად ხსნის პირველი კატრენის რითმა: „ეს ასპარეზი — ვით ასფა რეზინს“: ცრუ პოეტი, უპირველესად, სიტყვის გაუფასურებით, გარეზინებით, განივთებით, გაუგემურებით ამოიცნობა.

წიგნიდან „ბედის ფორმულა“ ამოღებულია სონეტი: „ვინ — ვის?“ იგი ექვსმარცვლიანია 4/2; 2/4, 1/5, 2/2/2 და, განსხვავებით, პოეტის კანონიკური სონეტების კატრენების გარითმვის წესისაგან (abba), კატრენებიც და ტერცეტებიც გარითმულია ჯვარედინი რითმით. სონეტი 2017 წლის 19 მაისს არის დაწერილი. ჩანს, ქართველი სონეტისტი ეროვნული მეტრიკის წიაღში დაუღალავად ეძებს სონეტის ახალ რიტმს:

ნაომარი ველი 4/2
კვამლით იფარება. 2/4
მისრიალებს გველი — 4/2
სადღაც იპარება. 2/4

ქვემეხს, სროლით დაღლილს, 4/2
მოჰგრეხია ლულა. 4/2
მთავარსარდლის ძაღლი 4/2
ტყეში მიმალულა. 2/4

მძიმედ სუნთქავს ხევი 4/2
მოკლულებით სავსე 4/2
და სისხლდანათხევი 1/5

ჯარი ფიქრობს ზავზე 4/2
ისმის ექო გრგვინვის: 4/2
ვინ — ვის? ვინ — ვის?
ვინ — ვის? 2/2/2
(„ვინ — ვის?“).

ექვსმარცვლიანი ტაეპის თითქმის ყველა, ასიმეტრიულ, რიტმულ ვარიაციას (4/2; 2/4; 1/5) მიმართა პოეტმა, მხოლოდ ბოლო ტაეპში გამოიყენა სიმეტრიული 2/2/2 და არც ერთხელ არ მიმართა დაყოფას: 3/3 სონეტის სტრუქტურამ აირეკლა ომის არათანაბარი პოზიცია: ძლევა და მარცხი. ჰარმონიას კი ამ დაპირისპირებაში ვერავინ იპოვის. რაულ ჩილაჩავამ მეტრისა და რიტმის მეშვეობით სცადა ომის მგრგვინავი ექო, ხანმოკლე ხმაური მოისმინოს და დაინახოს მკითხველმა. უაღრესად შთამბეჭდავია ნაომარ ველზე ერთადერთი მოძრავი არსების — მოსრიალე გველისა და უძრავი, ლულამოგრეხილი ქვემეხის — დაწყვილება. I-II კატრენებში მთავარსარდლის ძაღლის ტყეში გაუჩინარება, ალეგორიულად ერთგულების დეფიციტსა და გველგესლას ზეიმზე მეტყველებს. სიცოცხლის ნიშანწყალი ეტყობა მძიმედ მსუნთქავ ხევს და ანჟამბემანით ერთმანეთზე გადაბმულ ტერცეტებში ზავზე მოფიქრალ ჯარს: ყველაფერი დამიწებულია, შეშინებულია, ცა აღარ ჩანს, რადგან მარადიული გვირგვინვით ავსებულია ექო: ვინ — ვის? რაულ ჩილაჩავამ ამ სონეტით სრულიად ახალი შესაძლებლობა აღმოაჩინა ამ კლასიკური, მრავალსაუკუნოვანი მყარი სალექსო ფორმისა: თანამედროვე, ომში გახვეული, გლობალური მსოფლიოსთვის მთავარი შეკითხვა: ვინ — ვის? გველის, ძაღლის, ჯარის, ანუ ცბიერის, ერთგულებისა და ბრძოლის სამკუთხედში ჩაკეტილა. თეოდორ ფონტანეს ცნობილი შეგონება სონეტის მთხზველისათვის: „ისწავლე: ფიქრი გულით და გრძნობა — გონებით!“ — რაულ ჩილაჩავამ გაითავისა ამ სონეტში. ომის მარადიული, ემოციური და განსჯითი, სურათის უკეთ წარმოდგენა, ალბათ, XXI საუკუნეში პოეზიაში ძნელი მოსაძებნია...

სონეტი, როგორც „პოეტური სიბრძნის განსახიერება“, განსაკუთრებულ დაოსტატებას სთხოვს მის ავტორებს რითმის დამორჩილებისას: კატრენების ორი რითმა ტერცეტებში სამმაგდება, თანაც, რითმათა განლაგების ადგილს, პოზიციას აუცილებელ წესს უკანონებს: კატრენების რკალური რითმა (abba) ტერცეტებში ჯვარედინი უნდა იყოს (cdc dee) (ფრანგული და იტალიური სონეტის მიხედვით), ზოგჯერ კი, ინგლისური სონეტის მსგავსად, ფინალური ორი ტაეპი „სონეტის გასაღებად“ მოგვევლინოს. რაულ ჩილაჩავა რამდენიმე სონეტში მიმართავს ტერცეტების გარითმვის იშვიათ სქემას: cde — cde; თანაც, ცდილობს, ზმნური რითმის ლექსიკური ერთეული ორიგინალური, იშვიათი ფორმით წარმოადგინოს: ვფიქრობ, რაულ ჩილაჩავას სონეტ „უკვდავების“ ტერცეტების ერთი სარითმო წყვილის — იტყვიან — იტყვია — გამორჩევა აუცილებელია:

I ტერცეტის II ტაეპი: „ვაიმე ყურსა ბამბისასა!“ — როგორც იტყვიან ერითმება II ტერცეტის შუა სტრიქონს: „... სიტყვამ იმშვილდა, იისარა, მეტიც: იტყვია.“

ქართული სონეტების სახესხვაობათა რიცხვს, შეიძლება, შეემატოს რაულ ჩილაჩავას მოკლესაზომიანი, ჰეტეროსილაბუ-

რი სონეტები (7 : 6). წიგნიდან „შნო“ ჩვენს საანალიზო კრებულში შეტანილია სონეტი: „წითელი და შავი“, ხოლო „სატანას ბლუზი“, „ურდული“ და „დრო“ — 5-მარცვლიანია (2/3; 3/2).

წიგნიდან „ბედის ფორმულა“ ამოღებულია სონეტი: „ვინ — ვის?“ იგი ექვსმარცვლიანია 4/2; 2/4, 1/5, 2/2/2 და, განსხვავებით, პოეტის კანონიკური სონეტების კატრენების გარითმვის წესისაგან (abba), კატრენებიც და ტერცეტებიც გარითმულია ჯვარედინი რითმით. სონეტი 2017 წლის 19 მაისს არის დაწერილი. ჩანს, ქართველი სონეტისტი ეროვნული მეტრიკის წიაღში დაუღალავად ეძებს სონეტის ახალ რიტმს.

საინტერესოა პოსტმოდერნისტული ეპოქის, გლობალისტური მსოფლიოს მკვიდრი პოეტ-სონეტისტის მიერ შექსპირის უკვდავი, 66-ე სონეტის, რომეიქის, თავისუფალი ინტერპრეტაციის, ცდა: „ჩამოთრეულის სონეტი N66“ XXI საუკუნის 10-იანი წლების დამლევს იწერება რაულ ჩილაჩავას მიერ (2017 წლის 7 თებერვალს), რომელსაც საკუთარი ცხოვრებით, მეტაფიზიკური თუ რეალური, დეტერმინიზმით, მიზეზ-შედეგობრივი კავშირით შეზღუდული, მკაცრი დოკუმენტურობით აღბეჭდილი ტრაგიკული მომენტებით, მოუპოვებია უფლება უკვდავებასთან ზიარებისა: ჩვენი თანამედროვე პოეტ-სონეტისტი ნამდვილად განდობილია, მესაიდუმლეა იმ მსოფლიო სულისა, რომელიც ღვთიური სიყვარულის ძიებით დაღლილ ლირიკულ გმირს აღმოხდება ხოლმე:

სოფლისგან დაღლილს
საცხოვრებლად თბილისი დამრჩა,
რადგან სოფელი რა ხანია,
აღარ ივსება,
რადგან თბილისში აფასებენ
ლალსა და მარჯანს,
რადგან სოფელში
მათ ვერავინ ვერ ელირსება...

მაკავშირებელი სიტყვით „რადგან“ იწყება თერთმეტი ტაეპი, ტრადიციულად, როგორც შექსპირის 66-ე სონეტის მთარგმნელმა რეზო თაბუკაშვილმა დაამკვიდრა ჩვენში, ხოლო შემდეგ, მეტ-ნაკლებად გაითვალისწინეს ამ სონეტის სხვა მთარგმნელებმა. პაატა ჩხეიძე აღნიშნავს: „სიტყვა „რადგან“ რევაზ თაბუკაშვილის თარგმანში არა მხოლოდ რიტმს განაპირობებს, არამედ ლოგიკურად გვამცნობს, თუ რატომ ნატრობს სიკვდილს პოეტი...“ პაატა ჩხეიძეს სამართლიანად მიაჩნია, რომ ლექსიკური ერთეული „რადგან“ რევაზ თაბუკაშვილის მიგნებაა ამ სონეტის ქართულად თარგმნისას. რაულ ჩილაჩავა სწორად ირჩევს ამ სონეტის ახლებური ინტერპრეტაციისას საყრდენ სიტყვას: „რადგან“. საგულისხმოა სონეტისტის სითამამე ზოგადსაკაცობრიო პრობლემის კონკრეტული, ყველა ქართველისათვის მტკივნეული ტოპონიმების ფონზე განხილვისას: სამშობლოს განცდა განსაკუთრებით მძაფრად ხომ მიწას, კონკრეტულ სოფლებსა თუ ქალაქებს უკავშირდება:

ასე დაღლილი თავს ვანდობდი
ხურჩას და დარჩელს,
მაგრამ არ მინდა, რომ
თბილისი უჩემოდ დარჩეს.

რაულ ჩილაჩავას „სონეტების“ წიგნში ერთი გამორჩეული, განსხვავებული მეტრით, რიტმით, ინტონაციით დაწერილი სონეტია: „ეული ვარსკვლავის შუქი“: ეს თორმეტმარცვლიანი სონეტი რამდენიმე რიტმულ ვარიაციას, მეტრულ სქემას აერთიანებს: 3/3//2/4, 2/4//2/4, 3/3//3/3, 3/3//4/2. სონეტი ქრისტეს შობის ღამის მღელვარე წუთებს აღწერს, ამიტომაც არის, ალბათ, 12-მარცვალი (სიმბოლურად!) შერჩეული და რიტმის მიმოხრა ალექსანდრიული ტეტრამეტრის ვარიაციებით არის გადმოტანილი.

ლევან ბრეგაძემ, რომლის წინასიტყვაობა უძღვის რაულ ჩილაჩავას „სონეტების“ წიგნს, საგანგებოდ აღნიშნა: „ენის არაჩვეულებრივი გრძნობა და ვერსიფიკაციული ოსტატობა პოეტს საშუალებას აძლევს, წარმოაჩინოს ქართული სიტყვისა და ლექსის მოულოდნელი შესაძლებლობები და პოეტური ხელოვნების მაღალესთეტიკური ნიმუშები შექმნას“.

საგულისხმოა რაულ ჩილაჩავას შექსპირის 66-ე სონეტის ინტერპრეტაციის გარდა, „უსასოო სონეტი (გალაკტიონის ხმაზე)“.

იშვიათი სილაღითა და შინაგანი მზაობით, პოსტმოდერნისტული თამაშის თეორიით გამართლებული ესთეტიკით ეხმიანება რაულ ჩილაჩავა გალაკტიონის ტრაგიკულ ნიღაბს, უკუღმა წასაკითხს, ავბედითი ეპოქით ნაკარნახევ ირონიას: „ვაშა, ამ ახალ საქართველოს!..“ რეციპიენტის ინტერპრეტაცია, რეცეფციული ესთეტიკის, კვალდაკვალ, შესაძლოა, თანაბრად განმარტავდეს როგორც XX საუკუნის 20-იანი წლების, ასევე XXI საუკუნის 20-იანის ტრაგედიას. საინტერესოა, რომ სონეტში 32 ეპითეტი, ზოგი კომპოზიტი და ზოგი უარყოფითი „უ“ — ფორმანტდართული ზედსართავი სახელი — სიმბოლურად იესო ქრისტეს 33 წელზე მიგვანიშნებს: 32 წყლული, ჭრილობა ქრისტეს, საქართველოს სხეულს, სახსოვრად დაუტოვეს ბარბაროსებმა, მნგრეველებმა. ამგვარი ტექნიკით დაწერილი ეგრეთ წოდებული „სახელდებითი სონეტი“ საქართველოში პირველად გრიგოლ რობაქიძემ შექმნა და „გველის პერანგში“ შეიტანა („აქლემი“).

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სიტყვა „ზებრას“ პოლისემანტურობა ორიგინალური მიგნებაა და რაულ ჩილაჩავას მიერ ქართული სიტყვის როიას ფლობის ხელოვნებას ადასტურებს. სონეტში „მზე — ბრა“ პირველი კატრენი რკალური რითმით — „ზებრა“ — მზე — ბრა.

მეორე ტერცეტის ფინალური ორტაეპედი, ეგრეთ წოდებული „სონეტის გასაღები“ ეგზოტიკური რითმით ბოლოვდება:

ბედი მიმზადებს იქით მხარეს პრიზს,
ნამდვილ ზებრიზს
და ამ შლიგინში იმედი მაქვს —
მიმიხვდით? — ზებრის!

მინდა, თავი დავიიმედო, რომ ეს „ზებრიზი“ ნამდვილად ამქვეყნად, სიცოცხლეშივე უნდა მივანიჭოთ პოეტს, რომლის „ფაცერი მოელვარე“ სავსეა ცოცხალი ლექსებით. პოეტი — მეთევზე, მწერალი — მებადური — ურბანიზმით მიჯნადდადებული, გლობალისტური, დისჰარმონიული სამყაროს ყველა მწერალი, მგოსანი უხილავი ზღვის მებადურია (ოთარ ჭილაძე, „აველუმი“). სტიქიისა და ქარონის მითოლოგიური სახეები დღეს ქალაქის ქუჩების ზებრა-გადასასვლელებმა და რკინამ შეცვალა, მაგრამ „მგოსნის ფაცერი“, ანუ ზღუდე, პოეტურ ენერგიას კალაპოტში აქცევს (თამაზ ჭილაძე) და სონეტის ყალიბში ჩასმულს წარუდგენს მკითხველს.

რაულ ჩილაჩავა — სონეტისტი, მკითხველისათვის ერთდროულად არის „მგოსანიც“ და „მებადურიც“, ანუ თავისუფალი, ღაღი შთაგონების, სიმღერის, ტრადიციული ხმების ერთგული და სიტყვის მოდარაჯეც; „ფაცერი“ აქ სწორედ ის კალაპოტია, რომელმაც სასურველი სიტყვები უნდა შეკრიბოს, მოაგროვოს მკითხველისათვის საზრდოდ, მომავლის საკვებად.

„ვარ მეჩონგურე — ვითვლი იარებს“, — აცხადებს პოეტი, რომელსაც სურს, მკითხველმა გაიაზროს მისი ტკივილი „პაპის ჩონგურის“ გაბზარვის გამო („მეჩონგურე“. 2016); ზოგჯერ განგაშის ხმაც გაისმის რაულ ჩილაჩავას სონეტში: „ცარიელია დაღვრემილი მგოსნის ფაცერი“ („წარწერა ყდაზე“. 2016); თუმცა თამამად შეგვიძლია რაულ ჩილაჩავას „სონეტებით“ გავიგონოთ: ხმა („მგოსნის“) და სიტყვა („მებადურის ფაცერი“, თევზი) — ქართული ლექსის უნიკალური წყობით გამთლიანებული.

ამირან ბასილაშვილი

ორი წიგნი ორ სიყვარულზე

პირველითგან იყო ღვინო



დათო ტურაშვილი თავის სიყვარულებს წიგნებად აქცევს. ფეხბურთის სიყვარულმა „მე რომ ფეხბურთელი ვიყო“ დააწერინა, ველოდებით მის წიგნს რაგბიზეც. ამჯერად კი ჩვენ წინაშე მწერლის სიყვარულის მორიგი ნაყოფია — 2020 წლის გაზაფხულზე „სულაკაურის გამომცემლობამ“ მისი მორიგი წიგნი „ღვინის სამშობლო — საქართველო“ გამოსცა.

საქართველო რომ ღვინის სამშობლოა, ჩვენ ვიცოდით და ახლა მთელმა ქვეყანამ გაიგო, ყოველ შემთხვევაში, გამგებმა ნამდვილად გაიგო. 2017 წელს მსოფლიო სამეცნიერო თუ არასამეცნიერო საზოგადოებას ემცნო სამწლიანი საერთაშორისო კვლევის შედეგი — საქართველოში დადასტურდა უძველესი ღვინის კვალი. ჩვენში ჯერ კიდევ 8000 წლის წინ მისდევდნენ მევენახეობა-მეღვინეობას. საფრანგეთში, ბორდოში, ღვინის ცივილიზაციების ცენტრში 2017 წელს საქართველო საპატიო მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარდგა, სადაც გაიმართა გამოფენა „საქართველო — ღვინის აკვანი“. 2018 წელს ბრაზილიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავის აღსანიშნავად გამოუშვა მარკა, რომელზეც ქვევრია გამოსახული და აწერია „საქართველო — ღვინის აკვანი“. 2019 წელს კი იაპონიამ უმასპინძლა გამოფენას „საქართველო — ღვინის სამშობლო“. სამი კონტინენტის ძლიერი, დიდი და მრავალრიცხოვანი ქვეყანა მოიარა ჩვენი უძველესი მეღვინეობის ამბავმა. ეს, რაც თვალში მომხვდა, რაც ჩემს თვალს გამორჩა კიდევ სხვაა.

დათო ტურაშვილის წიგნი, ლამის ზუსტად რომ იმეორებს ზემოთხსენებული გამოფენის (უფრო სწორად, პროექტის, რომლის ნაწილსაც ეს გამოფენა შეადგენდა) სახელს — „ღვინის სამშობლო — საქართველო“, ქართული ღვინის თავგადასავალს მოგვითხრობს.

ქართული ღვინის თავგადასავალი ქართველი კაცის თავგადასავალია. ვაზით, ვენახით, ღვინით განმსჭვალულია ქართველი კაცის ყოფა-ცხოვრება: „ყველაფერი, რასაც საუკუნეების განმავლობაში ქმნიდა ქართველი ხალხი, პირდაპირ უკავშირდება ღვინის ფენომენს“, — აღნიშნავს მწერალი. ვაზისა და ღვინის სიყვარულით განსაზღვრულია ჩვენი ლიტერატურა, ხელოვნება, არქიტექტურა, ტრადიციები... ვაზსა და ღვინოს სრულად აქვს მოცული ქართული ყოფის თითქმის ყველა ასპექტი, რასაც წიგნს დართული უხვი ფოტომასალაც გვიდასტურებს.

წიგნში დათო ტურაშვილი არაერთ საინტერესო და ორიგინალურ აზრს გამოთქვამს, რომელიც ქართული ხასიათის არსებით მომენტებს ეხება. „ქართველების დაუოკებელი სწრაფვა ინდივიდუალიზმისკენ“ ქართული ვაზისა და ღვინის მრავალფეროვნებით არის ახსნილი. მწერლის აზრით, „ვენახი განსაზღვრავდა მიწისადმი იმ მიჯაჭვულობას, რომლის გამოც ქართველები იშვიათად ტოვებდნენ საკუთარ ქვეყანას და, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ზღვის პირას ვცხოვრობდით, თითქმის არასოდეს გადაგვიცურავს ზღვა სხვა ქვეყნების აღმოჩენის მიზნით. ყოველთვის ვიცოდით, რომ იმაზე უკეთეს ღვინოს, ვიდრე ჩვენ გვქონდა, ვერასოდეს ვერსად აღმოვაჩენდით და ამ მიწის მიტოვებაც არასოდეს გვიფიქრია“. ქართველთა საარაკო მიჯაჭვულობას მშობლიური მიწისადმი საინტერესო, შეიძლება ითქვას, პოეტური საფუძველი აქვს გამონახული. ჩვენ კი ღვინოსთან ერთად პოეზიის ქვეყანაც ვართ. ლექსის, სიტყვის, რითმის, რიტმის, სიმღერის სიყვარულითაც სხვაზე მეტად თუ არა, ნაკლებად არ ვიწონებთ თავს („არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“ — გალაკტიონი).

ნოდარ დუმბაძისთვის სამშობლო ვაზიც არის, რომელიც, თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაკრიფო, თუ მაღლარი — ცაში ხელაპყრობილმა. დათო ტურაშვილისთვის კი საქართველოს „მარნის სუნი“ აქვს და ფერად კი „ვაზის ფოთლის ფერია“. ამიტომაც მწერალს სურდა, ჩვენს დროშას ჰერალდიკის ენითაც ეთქვა, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა — „ორ ზღვას შორის მდებარე ღვინის სამშობლო საქართველო, რომელსაც ვაზის ფოთოლი გამოხატავს.“ გასაგებია მწერლის გულისტკივილი — სახელმწიფო სიმბოლოებში ჩვენი უძველესი მეღვინეობის ამბავი შესაბამისად ვერ ავსახეთ.

იქნებ, ქრისტიანობამ, ღვინის ქრისტეს სისხლად შემცვლელმა რელიგიამაც, უსაფუძვლოდ არ მოიკიდა ასე მყარად ჩვენს ქვეყანაში ფეხი და შემთხვევითი არც ჩვენი განმანათლებლის, ნინო ქალწულის თმებით შეკრული ვაზის ლერწმის ჯვარია, რომელიც ღვთისმშობელმა თავის წილხვედრ ქვეყანაში სამოციქულოდ გამომგზავრებულს მისცა. იქნებ, მართლა ღვინო განაპირობებდა იმ ტოლერანტულ სულს, რომელიც ქართველ კაცს სხვათაგან დევნილ ხალხს შეაფარებინებდა, სახლ-კარს და ვენახს გააჩენინებდა, ყურძნის დაწურვასა და ღვინის სიყვარულს ასწავლებინებდა. იქნებ, ამ განწყობით გამოსახავდნენ ვაზს ქრისტიანულ ეკლესიებსა თუ მეჩეთებზე...

შემთხვევითი არც ის არის, რომ არც ერთი ქართული სიტყვის ისტორია-ეტიმოლოგიის გარკვევას არ მიძღვნია იმდენი გამოკვლევა, რამდენიც „ღვინოს“. დღემდე კამათია ამ სიტყვის წარმომავლობის შესახებ, მაგრამ მეცნიერული არგუმენტები რომ გვერდზე გადავდოთ და ლოგიკას მივყვეთ, ბუნებრივია, სიტყვა „ღვინის“ წარმოშობა იმ ხალხს დავუკავშიროთ, ვინც პირველად დაწურა ყურძენი და ღვინო დააყენა. ასეთი კი ჯერჯერობით ქართველია. ჯერჯერობით იმიტომ, რომ შეიძლება სადმე სხვაგან 8000 წელზე ადრინდელი ღვინო იპოვონ, მაგრამ იმაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დროთა განმავლობაში ჩვენთან კიდევ უფრო ძველს აღმოაჩენენ. დათო ტურაშვილის წიგნში მოყვანილ ვაზთან და ღვინოსთან დაკავშირებულ ენობრივ მასალასთან (რის სიუხვესა და მრავალფეროვნებასაც ჩვენი მეცნიერები თავიდანვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ) დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ის შთამბეჭდავი სურათი, რომელიც ლილი ასათიანის წიგნიდან „ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში“ (1978 წელი) იხატება. ლილი ასათიანმა მთელს საქართველოში საგანგებოდ მოიძია და წიგნში მოუყარა თავი ვაზის კულტურასთან დაკავშირებულ ლექსიკას. ნაწყვეტი წიგნის დასკვნითი ნაწილიდან: „ვენახს აქვს 8 სინონიმი; გარეულ ვაზს — 71 სინონიმი; გართხმულ ვაზს — 3; ფეხის ვაზს — 7; ბაბილოს — 12; ტალავერს — 11; ჭიგოს — 18; დედა-ვაზს — 19; ერთწლიან რქას — 24; წალამს — 17; ნამორჩს— 13; ნამხრევს — 35; პწკალს — 22; კლერტს — 31; კუფხალს — 19; ბიმბილს — 8; წიპწას — 17; კუმს მტევანს — 9; თხელ მტევანს — 11; ბაგას აქვს — 4 სინონიმი, სრულ ვენახს — 8, დაბლარს — 6, აბეჩხარ ვენახს — 5, ვაზის გადაწიდვნის აღსანიშნავად გამოყენებულია 41 სიტყვა, დაკვალვისათვის — 17, დანეკვისათვის — 17, ქირქის გამოცლისათვის — 49 სიტყვა, გამოთხელებისათვის — 8, თავის გადაჭრისათვის — 9, ასარვისათვის — 26.“

→

დასასრული

ამირან ბასილაშვილი

ორი წიგნი ორ სიყვარულზე

ღვინო გვიყვარდა და გვიყვარს, ვუვლიდით და ვუფრთხილდებოდით, „ჩვენ შევქმენით ღვინო და ღვინომ შექმნა საქართველო“, მაგრამ მეოცე საუკუნეში ქართველ კაცსა და ღვინოს შორის შავმა კატამ გაირბინა, უფრო სწორად, წითელმა გველეშაპმა. ცხადია, ამ საუკუნოვანი კავშირის მოსპობას თუ მოსპობის მცდელობას საბჭოთა კავშირს უნდა „ვუმადლოდეთ“. „რვა ათასი წლის განმავლობაში იმდენად არ დაზარალებულა ქართული ღვინო და ვაზი, როგორც საბჭოთა რუსეთის მმართველობის დროს“, — წერს მწერალი. მეფის რუსეთის დროინდელი რუსი ავტორების მცდელობას, დაეკნინებინათ საქართველოს როლი და მნიშვნელობა მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების საქმეში, შედეგი არ მოჰყოლია. მხოლოდ მოგვიანებით, რუსეთის იმპერიის მემკვიდრე საბჭოთა კავშირმა მოახერხა ქართული ღვინის გარყვნა და ამით ჩვენი ქვეყნისთვის ჩრდილის მიყენება. იმ ძველსა და კარგ ღვინოს კომუნისტების დროს საფრთხე დაემუქრა, თითქმის გაქრა გეგმის შესრულების, შეუსრულებლობის თუ სხვა მიზეზების გამო. ქართული ღვინის ფალსიფიცირებამ „ქართველი კაცის ცნობიერებაზეც დამანგრეველად იმოქმედა“ და ეს მოულოდნელი სულაც არ არის, რადგან „შვილივით ნაზარდი ვაზის“ (რაფიელ ერისთავი) ნაყოფის წვენისგან დაყენებული ღვთაებრივი სითხის გაყალბებას სწორედაც რომ ცნობიერების დანგრევა მოჰყვებოდა. „საბჭოთა საქართველოში იყო დრო, როცა მაღაზიებში ნაყიდი ღვინით სტუმრის გამასპინძლება სირცხვილად ითვლებოდა“, — მწერლის ამ სიტყვებზე გაგვახსენდება და გონებაში გაიელვებს ოთარ იოსელიანის ფილმის „გიორგობისთვე“ კადრები — რესტორანში საქეიფოდ შესული ღვინის ქარხნის თანამშრომლები უკან თავქუდმოგლეჯილები გამორბიან, როცა გაიგებენ, რომ რესტორანს მათი ქარხნის წარმოებული ღვინო აქვს. საერთოდ, ეს ფილმი ამაზეცაა — ღვინის კულტურადაკარგულ ქართველებზე, რომლებმაც ღირსება და პატიოსნებაც დაკარგულ ღვინოს გააყოლეს. ამ ამბავში გასაოცარი ისაა, გლეხობამაც (როგორც თავის თავს სოფლის მოსახლეობა უწოდებს) რომ ხელი აიღო ღვინის დაყენებაზე და „ღვინის კეთება“ დაიწყო იმ კუთხეებში კი არა, სადაც ვაზის მოსავალი ცოტაა, იქაც, სადაც მოსავალს არ უჩივიან და ქვეყანაზეც უპირველესად ღვინის მხარედ აქვს სახელი გავარდნილი. რა თქმა უნდა, კახეთზეა საუბარი. იმ ცუდი დროის გამოძახილი, ინერციით გადმოყოლილი ჩვენი თანამედროვეობაა, რაც ერთ კაცზე გამიგია. თურმე ორნაირ ღვინოს აყენებდა, უფრო სწორად, ერთს აყენებდა, კარგს, საპატიო სტუმრისთვის, განსაკუთრებული შემთხვევებისთვის და მეორეს „აკეთებდა“, საყოველდღეოს, ისე რა სტუმრისთვის განკუთვნილს. მაგრამ ეს ერთი კაცი სინამდვილეში ბევრი იყო, ლამის წესად იყო გავრცელებული ასეთი გაუგებარი საქციელი (იქნებ ახლაც არის?). იმერეთისაც მოუყოლიათ ჩემთვის: „ბავშვობაში ბაბუაჩემის ქელეხში კაცი მოვიდა. მეღვინე, მეღვინეო, — გაიძახოდნენ. ჩემოდანი ჰქონდა იმ კაცს, გახსნა და იქიდან პაკეტები ამოიღო. მერე უკვე გამზადებულ, წყლით გავსებულ ჭურჭელთან მივიდა და იქ ჩაყარა რაღაცა ფხვნილები და ღვინოც გამოვიდა“. იმ უღმერთო ეპოქიდან უღვინოდ გამოვედით, მაგრამ ამ პრობლემას ბოლო წლებია, უფრო ზუსტად კი 2006 წლის 27 მარტიდან, რუსეთში ქართული ღვინის იმპორტის აკრძალვის დღიდან, ნელ-ნელა ევლება ღვინის მწარმოებელი კომპანიებისა და ენთუზიასტების ხარჯზე და მიუხედავად იმისა, რომ დათო ტურაშვილის ოპტიმიზმს სამომავლოდ ქართული ღვინის ხარისხის კიდევ უფრო გაზრდის შესახებ მეც ვიზიარებ, ისიც უნდა ითქვას, რომ გარკვეულწილად ოჯახებში ღვინო კიდევ „კეთდება“ შაქრისა და წყლის თანამონაწილეობით. ესეც, ალბათ, დროის ამბავია, საბჭოთა წარსულის მემკვიდრეობა კუდს იქნევს და დიდხანს აღარ გაუგრძელდება.

ქვევრი! როგორ უნდა თქვა ქვევრზე ორიოდე სიტყვით, როდესაც სულ მცირე 8000 წელია, ქართველი უწყვეტად აყენებს ღვინოს ქვევრში. „იუნესკომ“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარა ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი და უწყვეტი ტრადიცია, გლეხმა კი ქვევრი კასრზე გაცვალა. კასრში იოლია ჩაწურვა. ქვევრში ღვინოს რატომ აღარ აყენებენ-მეთქი — ერთხელ ვიკითხე და, გასუქდნენ, ვეღარ ეტევიან, აბა, ჩაძვერი და ამოძვერი, თუ ადვილიაო — მიპასუხეს.

წიგნში უხვად შევხვდებით უცხოელ ისტორიკოსთა თუ მოგზაურთა (დაწყებული ასურული ლურსმული წარწერებიდან დამთავრებული თანამედროვე ავტორებით) ცნობებს ქართული ღვინის შესახებ. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ საქართველო ოდითგანვე ღვინის ქვეყნად მიიჩნეოდა, ოლივერ უორდროპმა კი პირდაპირ ასე დაარქვა თავის წიგნს „საქართველოს სამეფო. მოგზაურობა ქალების, ღვინისა და სიმღერის ქვეყანაში“.

„ღვინო ათასწლეულების განმავლობაში ქართველებისთვის არამხოლოდ სოფლის მეურნეობის კულტურა იყო, არამედ იყო მთავარი ტრადიცია და ისტორია, სულიერი საზრდო, შრომის სიყვარულიცა და თავისუფლებაც, სასიცოცხლო ენერგია და თავად სიცოცხლეც... ჩვენი სიცოცხლე იწყება ღვინით და ჩვენი დაბადება ჩვენი პირველი სადღეგრძელოა, ჩვენი სიცოცხლე სავსეა ღვინით და ადამიანის სიცოცხლე საქართველოში სულაც არ მთავრდება სიკვდილით, რადგან ნებისმიერი ადამიანის გარდაცვალების შემდეგ ამ ქვეყანაში მისი სადღეგრძელო მაინც რჩება და მისი სახელიც სადღეგრძელოში აგრძელებს მარადიულ სიცოცხლეს“, — დათო ტურაშვილის ეს წიგნი ქართული ღვინის კიდევ ერთი სადიდებელია, წიგნით ნათქვამი ღვინის სადღეგრძელო.



„როგორც 30 წლის წინ“...

„ფეხბურთი პოპულარულია, რადგან სისულელე პოპულარულია“, — უთქვამს ფეხბურთის საყოველთაობით გულმოსულ ბორხესს.

კაცია და გუნება!

თან, რა კაცი!

მაგრამ თუ ბავშვობასა და ყმაწვილკაცობაში გიბურთავია, ბურთის გორაობისას ოფლით გაჟღენთილხარ, გოლის გატანის მოლოდინში მკვდარივით გაშეშებულხარ და გოლს კი სიხარულით მეცხრე ცაზე აუტაციხარ, თუ დამარცხების სიმწარეს დაუხრჩვიხარ და გამარჯვების ბედნიერებას თვალებიდან შენთვის ცრემლი წამოუდენია, თუ ფეხბურთით გისუნთქია და თავი თავისუფლად მხოლოდ სტადიონზე გიგრძვნია, დიდი მწერლის სიტყვებს მკრეხელობად მიიჩნევ და მასთან დასაპირისპირებლად მეორე დიდ მწერალს, ალბერ კამიუს გაიხსენებ, ახალგაზრდობაში ფეხბურთს რომ თამაშობდა და რომ არა ტუბერკულოზი, ფეხბურთი იქნებ პროფესიადაც კი ექცია.

ალბერ კამიუ ბევრის მნახველი და გადამტანი კაცი იყო, ფეხბურთს კი თავისი მორალური მრწამსის მთავარ ჩამომყალიბებლად მიიჩნევდა: „ყველაფერს, რაც ადამიანის მორალისა და ღირსების შესახებ ვიცი, ფეხბურთს უნდა ვუმადლოდე“. „შავი ჭირიდან“ პერსონაჟთა საუბარიც საფეხბურთო ტაქტიკის შესახებ კარგად გვახსოვს. სხვათა შორის, არსებობს ნანა ლალიაშვილის მშვენიერი ესსე „მარტოსული მეკარე“, რომელიც დიდი მწერლისა და მოაზროვნის ფეხბურთელობის ამბავს და მისი ფეხბურთისადმი დამოკიდებულების შესახებ მოგვითხრობს.

კამიუს ზემოთმოყვანილი სიტყვები ეპიგრაფად უძღვის დათო ტურაშვილის წიგნს „მე რომ ფეხბურთელი ვიყო“ („არტანუჯი“, 2015). წიგნი ფეხბურთზეა, ფეხბურთზე, როგორც ჩვენთვის, ფეხბურთის მოყვარულთათვის, არსებობის თითქმის აუცილებელ ფაქტორზე, ანუ „ნამდვილ სიყვარულზე“, როგორც მწერალი ამბობს. უსიყვარულოდ ცხოვრება კი, მოგეხსენებათ, ძნელია.

წიგნში საფეხბურთო და ფეხბურთთან დაკავშირებული არასაფეხბურთო ამბები ერთმანეთშია გადახლართული. აქ შევხვდებით ქართული და უცხოური (მაგრამ მაინც ახლობელი) ფეხბურთის ლეგენდებსა და ვარსკვლავებს — ბორის პაიჭაძეს („კლასიკოსი“), ვლადიმერ გუცაევს („კერპი“), მიხეილ მესხს, მიხეილ მესხი უმცროსს („კომეტა“ — სწორედ ასე აწერია მისი საფლავის ქვას: „უფრო კომეტა, ვიდრე ვარსკვლავი“), დავით ყიფიანს („ვარსკვლავი“), დიეგო მარადონას („გენიოსი“ და „ერთადერთი“), გიორგი ქინქლაძეს, შოთა არველაძეს, თემურ ქეცბაიას, ალექსანდრე იაშვილსა და სხვებს; მათთან დაკავშირებულ მხიარულ, ზოგჯერ ძალიან სევდიან და ზოგჯერ ძალიან სასაცილო ამბებს; ქართული ფეხბურთის მთავარი გამარჯვების — 13 მაისის მწერლისეულ შთაბეჭდილებებს, თანამედროვე ქართული ფეხბურთის პრობლემებსა და ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე მსჯელობას... თუ გაინტერესებთ, ვისი საფეხბურთო ცხოვრების ეპიზოდი დაედო საფუძვლად ნანა მჭედლიძის დიდებული ფილმის „პირველი მერცხალი“ იმ ეპიზოდს, სადაც მთავარი — იასონ კვირკველიას — როლის შემსრულებელი დოდო აბაშიძე მეტოქის კარში გოლს არ გაიტანს დემონსტრაციულად, რადგან მეკარეს მისი დარტყმული ატკენს და ფეხზე ვეღარ წამოდგება; ვის და რატომ გამოუგზავნა დიმიტრი შოსტაკოვიჩმა მადლობის წერილი ალყაშემორტყმული ლენინგრადიდან; ვინ ჩამოიყვანა თბილისის „დინამოს“ მწვრთნელად ფრანგი სპეციალისტი ჟიულ ლიმბეკი, რა მეთოდის გამოყენება სცადა შედეგების გასაუმჯობესებლად და რატომ არ გაამართლა ამ მეთოდმა ქართველ ფეხბურთელებზე; რამ აატირა ბასკური ფეხბურთის ლეგენდა ისიდორო ლანგარა, როცა მთაწმინდიდან თბილისს გადმოხედა; როგორ ჩაუვარდა გული თბილისში, სასტუმროს ნომერში გამოკეტილ დევიდ ბექჰემს მომავალი მეუღლე; როგორ იქცა შოთა არველაძის ამსტერდამში მწერალთან ნათქვამი ფრაზა აიოვას უნივერსიტეტში კონფერენციის მთავარ თემად; 13 მაისის გამარჯვებამ როგორ იხსნა ქართველი ტყვე ყანდაარელი ავღანელების ტყვეობისგან და რატომ დარჩა მწერალი კევინ კიგანთან საუბრის შემდეგ იმედგაცრუებული, მაშინ ეს წიგნი აუცილებლად უნდა წაიკითხოთ (თუ, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ წაგიკითხავთ), მერე კი, ალბათ, ჩემსავით არაერთხელ მოგინდებათ მისი გადაკითხვა.

წიგნის ერთ-ერთი დიდებული თვისება, ზოგადად, ისიცაა, რომ მოთხრობილი ამბის, თავგადასავლის ნაწილად გვაქციოს, პერსონაჟებად გარდაგვსახოს, გული აგვიფანცქალოს და საკუთარი თავგადასავალიც მოგვათხრობინოს, თუ გამბედაობა გვეყოფა, ხელში კალამი და ფურცელი აგვაღებინოს ან კომპიუტერთან დაგვსხას და თითები კლავიატურაზე გვაკაკუნებინოს, ანუ საბოლოო ჯამში ჩვენი პირადი ამბავი, განცდილი, ნაგრძნობი, ტექსტად გვაქცევინოს. დათო ტურაშვილის წიგნმა ასეთ მდგომარეობაში ჩამაგდო და ჩემი და ჩემი მეგობრების, ფეხბურთელი ბიჭების, საფეხბურთო თავგადასავლის მოყოლა დამაწყებინა, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ აქ მეტს ვეღარ გავაგრძელებდი, ამიტომ სხვა დროისთვის გადავდე.

როგორც მწერალი ამბობს, ფეხბურთმა იხსნა მოულოდნელი სიკვდილისგან, როცა ფეხბურთის თამაშის დროს ინფარქტი დაეწყო. არის ფეხბურთში რაღაც საბედისწერო.

„...ტურიკას კი ფეხბურთი დღესაც ისე უყვარს, როგორც 30 წლის წინ, თორემ ხომ იცით, როგორც არის ხოლმე, უამრავი რამე უფერულდება და ქრება. ჰოდა, ეს სიყვარული კი მაინც არ გამქრალა...“, — გვეუბნება აკა მორჩილაძე, დათო ტურაშვილის თანაკლასელი და მისი ფეხბურთელობის მშვენივრად შემფასებელი.

არ გაქრა, არ გაუფერულდა და მკითხველმა სიყვარულით დაწერილი წიგნი მიიღო. მწერლის მსგავსად ხომ ვერც ჩვენ, ფეხბურთელმა ბიჭებმა, გავიტანეთ ჩვენი ცხოვრების გოლი და, გულახდილად ვთქვათ, აქამდე არ გვასვენებს იმ გოლის გაუტანლობა. დათო ტურაშვილს კი მადლობა, რომ ჩვენი ფეხბურთელობის ამბავი, ვისაც არ გვახსოვდა, გაგვახსენა და ვისაც გვახსოვდა, მოყოლის სურვილი გაგვიჩინა.

თეონა გოგილავა

პოეზია გაზაფხულიდან ფოთოლცვენამდე





„არც არავინ ასხამს ახალ ღვინოს ძველ ტიკებში; თორემ დახეთქავს ახალი ღვინო ტიკებს, თვითონაც დაიქცევა და ტიკებიც უვარგისი გახდება. არამედ ახალი ღვინო უნდა ჩაისხას ახალ ტიკებში, და ორივე შეინახება“.

ლუკას სახარებიდან ეს სიტყვები კარგად გამოხატავს ფორმის განახლების აუცილებლობას. ფორმის განახლება პოეზიაში ზოგჯერ არა მხოლოდ ახალი სალექსო ფორმების გამოყენებას გულისხმობს, არამედ მასში შეიძლება ნაგულისხმები იყოს მთლიანად პოეტური კრებულის კომპოზიციის, სტრუქტურის ახლებურობაც. ამგვარი კომპოზიციური წესრიგი ახასიათებს, მაგალითად, ბოდლერის „ბოროტების ყვავილებს“, გალაკტიონის „არტისტულ ყვავილებს“. ამ კრებულებში თითოეულ ლექსს თავისი ადგილი აქვს და მისი ცვლილება კრებულის აზრობრივ სიმწყობრეს დაარღვევს. ამგვარი სტრუქტურული და კომპოზიციური წესრიგია თემურ ჩხეტიანის კრებულში „ბალახის სიმაღლე“.

„ბალახის სიმაღლე“ იშვიათად მრავალფეროვანი და თემატურად საინტერესო პოეტური კრებულია. კრებული რამდენიმე ნაწილისგან შედგება. თითოეული ნაწილი, კარი, თემატურად ერთ ან მსგავს საკითხზე დაწერილ ლექსებს აერთიანებს. ყოველ თავს კრებულში თავისი სათაური აქვს. პირველი თავის სათაურია „ის“. ამ ნაწილის ლექსების ნაკითხვის შემდეგ გასაგები ხდება, თუ ვის მიემართება ეს მესამე პირის ნაცვალსახელი — ის ზემატერიალური არსის გამომხატველია. წიგნის პირველი თავის ყოველი ლექსი კი გაჯერებულია ბიბლიური სახეებითა და მოტივებით. მარადმწვანე ხე ედემის ბაღში მსხმოიარე ხეა. აქ ყველაფერი აწმყოში ხდება, რადგან არაფერი დასრულებულა. ბიბლიური სინამდვილე მარადიული აწმყოა. ხე მარადმსხმოიარეა, მარად ცოცხალია, თუმცა მოაქვს სიკვდილი. ის სიკვდილს უქადის თავის ტოტებზე მსხდომ ჩიტებს. სწორედ რომ პირველცოდვით, ედემის ბაღში მსხმოიარე შემეცნების ხის ნაყოფის დაგემოვნებით იგემებს ადამიანი სიკვდილს, ეზიარება მას, უკვდავებიდან მოკვდაობაში გადმოინაცვლებს.

ავტორისთვის ბიბლია ცოცხალი წიგნია მასში აღწერილი ამბებით და ამ ამბების მარადიული წრებრუნვით, გამეორებით. კრებულში ერთ-ერთ ლექსს „ახალი იონა“ ჰქვია. ბიბლიური იონა ვეშაპმა გადაყლაპა და მესამე დღეს ნაპირზე გადმოაგდო. სამი დღე ვეშაპის მუცელში ყოფნა და მისი გადარჩენა მოასწავებდა უფალ იესო ქრისტეს სამი დღე საფლავში ყოფნას და შემდგომ მის მკვდრეთით აღდგომას. პოეტის ხვედრი სხვანაირია. ის სრულად არ გადის ბიბლიური იონას გზას. ვეშაპის მუცელში, მისი სტომაქის სიბნელეში გამომწყვდეული პოეტი არ ელის, რომ ვეშაპი მას სადმე გადმოაგდებს — არანაირი ხსნისა და სინათლის მოლოდინი. ეს ცხოვრების, ზოგადადამიანური ყოფის მეტაფორაა და არა ერთი კერძო ადამიანის ბედისწერის. ამ სახეებისა და მეტაფორების გამოყენებით პოეტი კაცობრიობის საერთო საფიქრალის ფერხულში გვაბამს, ფილოსოფიური ფიქრისთვის განგვაწყობს. კანტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საკუთარი უმწიფრობიდან გამოსვლისკენ“ მოგვიწოდებს. „უმწიფრობიდან გამოსვლა“, განსჯის უნარის გარდა, ზოგადად ფიქრის უნარიც არის, ფიქრის დაწყების აუცილებლობაც. არის ასეთი ლექსიც სათაურით „ლოდი, ცხვარი და სახლიდან წასული“. ეს ლექსი წასვლაზე არ არის, ეს ლექსი დაბრუნებაზეა. უძღები შვილის იგავი მოგვითხრობს შვილის მამისგან წასვლაზე და შემდეგ დაბრუნებაზე. იგავს წრიული ქარგა აქვს. მოქმედება ერთ ადგილას იწყება და სრულდება. ლექსის ლირიკული გმირი არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ როდის წავიდა. ვიგებთ მხოლოდ იმას, რომ დიდხანს იყო წასული და ახლა უნდა დაბრუნდეს შინ. სახლიდან წასვლა აუცილებელია, რომ გმირი გაიზარდოს, გამოცდილება შეიძინოს. თუ გარეთ არ გახვედი, შორი გზებით არ იარე, ვერაფერს ისწავლი. ავტორი ამ გარეთ მყოფობის გამოცდილებასაც გვიზიარებს. შინიდან გასული ის შეხვედრია მეთერთმეტე ჟამის მუშაკთ, მშრომელთა რიგებში გვიან ჩამდგართ, მაგრამ მიღებულთ. აქვე პოეტი წერს:

ვნახე სახლის მაშენებელნი,
სასოებით რომ შეჰყურებდნენ
მაღალ კედელზე
თავკიდურად შემოდებულ ლოდს.

117-ე ფსალმუნში ნათქვამია, თუ როგორ დაიწუნეს მაშენებლებმა ლოდი და თუ როგორ იქცა ეს ლოდი თავკიდურ ლოდად. ფსალმუნის ამ ნაწილს იმეორებს იესო, როცა ის ამხელს ფარისევლებსა და მწიგნობრებს, რომელთაც მასში მხსნელის, მესიის დანახვა არ სურდათ. თემურ ჩხეტიანი ხშირად ცვლის ამბავთა ფინალს და საკუთარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს ან თავად აგრძელებს ამ ამბავს. ამგვარად მაშენებელნი სასოებით შეჰყურებენ მაღალ კედელზე თავკიდურად შემოდებულ ლოდს. ლოდი აქ ქრისტეს სიმბოლოა, ისევე, როგორც მწყემსი, სახარების ერთ-ერთი იგავიდან, რომელშიც მწყემსი ტოვებს თავის ოთხმოცდაცხრამეტ ცხვარს და მიდის ერთი დაკარგული ცხვრის მოსაძებნად. ავტორი სახლისკენ მიმავალ გზაზე ხვდება მწყემსს, რომელიც ხარობს უკვე ნაპოვნი ცხვრის ხილვით. კრებულში ძველი და ახალი აღთქმისეული სახე-სიმბოლოები შერწყმულ-შენივთებულია. ისინი ფორმაუცვლელად არ გადმოდიან კრებულში, არამედ მოძრაობენ, იცვლებიან, ახალ სინამდვილეში აღმოჩნდებიან, ავტორისეულ ინტერპრეტაციებსა და გაგრძელებებში. ამგვარად ერთვება მკითხველი ავტორის მიერ დაწყებულ ერთგვარ თამაშში. ლექსს „მეთერთმეტე ჟამის მსახური“ რეფრენად გასდევს ტაეპი „გვიანი არასდროს არის“. აქ, რა თქმა უნდა, გვახსენდება იგავი, რომელშიც სახლის ბატონმა ვენახში მომუშავე ყველა მუშაკს ერთნაირი გასამრჯელო მისცა. მათ შორის, სამუშაოდ ბოლოს მისულებსაც. ლექსი ეხმიანება აზრს, რომ „ასე იქნებიან უკანასკნელნი პირველები და პირველები-უკანასკნელები“ (მათე, 20:1-16), ამიტომ „გვიანი არასდროს არის“.

კრებულის თავების სათაურებია: ის, ფიქრი და ფურცელი, ჩარჩოები, თიხის ლარნაკი, სიჩუმე, პერიფერია, ინიმალს, ფოთოლცვენა. პირველი თავის პირველი ლექსის სათაური კი არის „მარადმწვანე“. ამ მარადმწვანობიდან ფოთოლცვენამდე, გაზაფხულიდან შემოდგომამდე, არის გადებული ადამიანის კანონზომიერი ცხოვრების გზა. პირველი თავის ბიბლიური კონცეფცია ყოფიერების საწყისებს უკავშირდება. უკავშირდება ავტორისეული მსოფლხედვით, შეცვლილი პასაჟებით. საგნების მიერ დაწყებული ფიქრითა და მეტყველებით („ვაშლის ყვავილი“). ყველაფერი, რაც მოხდა, გარდაუვალი აუცილებლობა იყო ადამიანის არსის გამოსახატად. ეს საწყისები, ძირ-ფესვები, გინდათ ბავშვობა, მიემართება შემდეგი ეტაპისკენ, დიდობისკენ-ფიქრი და ფურცელი-ფიქრის დასაწყისი. ფილოსოფიური კითხვებით, დანახვისა და ახსნის სურვილით არის გაჯერებული ამ თავის ლექსები-რა ეკარება გულს და რა არა? რომელ სიტყვას და ვის სახელს იტოვებს ხსოვნა? რატომ? საით? ვისკენ? არ არის ახსნა, ხსნა, განმარტება, არც ერთი პასუხი. ამან კი მხოლოდ ერთი რამე შეიძლება მოგასურვილოს-ნეტავ, სასრული ყოფილიყო ფიქრი! ან არსებობის სხვა ფორმა მიენიჭებინა ღმერთს მისთვის, კაცისთვის, მაგალითად, ყოფილიყო სარკე, რომელსაც ადამიანისგან განსხვავებით, ექნებოდა ჩარჩო, ანუ იქნებოდა შემოსაზღვრული და არა დაუსაბამო.

შემდეგ თავებში ყველაფერი იქცევა სევდად ყოველივე ჩავლილისა და მიუწვდომლის გამო. აქ ავტორისეული განცდისა და ფიქრის წვდომას მკითხველი მის მიერ შემოთავაზებული მხატვრული სახეებით, ვფიქრობ, ზუსტად მოახერხებს. განვლილი ცხოვრების მიერ დატოვებული მოგონებების ყვავილებად გამოხატვა. ყვავილებად, რომელთაც სიცოცხლეს შემოდგომის მიმწუხრს ფერმკრთალ მზეზე შემოდგმული თიხის ლარნაკი უნარჩუნებს.

ადამიანის არსებობის საზრისი, მოლოდინი, გზა, ფიქრი, სევდა, მოწყენილობა, შემოდგომა, სიყვარული — ის საკითხებია, რომლებზეც ავტორი ფიქრობს, განიხილავს, რომელთა წვდომასაც ცდილობს. მათ შორის მნიშვნელოვნად დიდი ადგილი უჭირავს სიყვარულის ჭვრეტას, შეგრძნებას. საყურადღებოა, რომ ამ თემას ავტორი სწორედ მეორე თავიდან ეხება. იმ დროიდან, როცა ის პირობითად ფიქრს, განსჯას იწყებს და ამ ფიქრის გამოსახატად კალამს მოიმარჯვებს. მეორე თავში შეგხვდებით ლექსს სათაურით „უადრესატოდ“. პლატონისეული განაზრება სიყვარულისა ჩვენს დაკარგულ მეორე ნახევართან დაკავშირებაა. მასთან დარღვეული კავშირის აღდგენაა. თემურ ჩხეტიანი თავის ლექსში, შეიძლება ითქვას, სიყვარულის საკუთარ კონცეფციას გვთავაზობს. ეს კონცეფცია იმას გულისხმობს, თუ ვინ მეტად საჭიროებს ჩვენგან სითბოსა და თანაგრძნობას, სიყვარულის თანაზიარებაში ყოფნას. კრებულის IV თავი კი სრულად სატრფიალო მოტივებზე დაწერილი ლექსებითაა დაკომპლექტებული. დაუსრულებელი, ხორცშეუსხამი ოცნებები, ირეალური რეალობა, ახდენილის აუხდენლობა, მიწიერის პოეტურისკენ სვლა — ეს ექო ისმის ამ ლექსებში: „თვალები გარბოდნენ სასურველისკენ/თვალები იკრავდნენ გულში/ხელების ნაცვლად“, წერს ერთგან ავტორი და შემდეგ ლექსშიც კონკრეტული თარიღებიც მარადისობისკენ მიემართებიან: „წვიმდა საღამოს შვიდის ნახევარზე/წვიმდა სექტემბერში/წვიმდა 198. წელს/წვიმდა მეორე ათასწლეულის დასასრულს/და წვიმდა მარადისობაში“. ეს სვლა, ეს გზა აქ მუდმივია. გზა, რეალობიდან არარეალობისკენ, ნამდვილიდან არანამდვილისკენ, ხშირად სიზმრისკენაც. სიყვარული პოეტისთვის მუდმივი ძიების პროცესია და არა ერთხელ აღმოჩენილ-შეცნობილი. ის ხშირად სულაც არ უკავშირდება ახალგაზრდულ სურვილს, ჟინს. ზოგადად, ახალგაზრდობას, როგორც ადამიანის ცხოვრების ეტაპს. ლექსი „უკანასკნელი ნაპირი“ არის იმაზე, თუ რა გზა შეიძლება ადამიანმა განვლოს ნამდვილი გრძნობის შეცნობამდე, უკანასკნელ იმედამდე, უკანასკნელ ნაპირამდე. აქ პოეტური წარმოსახვის ადრესატი არის მშვენიერი, ახალგაზრდა კატერინი, ვისი სიყვარულიც ყოველთვის გამართლებულია, მთავარია მისი ნამდვილობა დადასტურდეს.

სახე-სიმბოლოებითაა დატვირთული ლექსი „აღმოსავლეთის ექსპრესი“. ალბათ, იშვიათად წაგვიკითხავს ასეთი სევდიან გრძნობათა მომგვრელი ლექსი. აქ პოეტი თავის, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ამბავს მოგვითხრობს წარსულიდან. ეს ამბავი დაკავშირებულია მის ოჯახთან, დაძმასთან, დედასთან, მამასთან, გზასთან და პატარა სადგურთან. ერთ დროს, პოეტის ბავშვობის ჟამს, ამ სადგურში უამრავი ხალხი ირეოდა. მიდიოდნენ და მოდიოდნენ, აცილებდნენ და ჩამოდიოდნენ ადამიანები. პოეტიც დაბრუნებულა მამასთან ერთად ამ სადგურამდე მომავალი გზით ბავშვობის სახლში და მერე ისევ წასულა დიდობაში ამ სადგურიდან ქალაქისკენ. ეს სადგური იყო იმედის წერტილი, ის აკავშირებდა ერთმანეთთან შორეულ გზებს. ამ გზით ყოველთვის შეიძლებოდა წასვლა და შემდეგ დაბრუნება სახლში. დღეს ეს სადგური გაუქმებულა, გზაც დაძველებულა. ლიანდაგზე ბალახი უმოძრაობის ნიშნად ამოსულა. გზისა და სადგურის დაძველება მიგვანიშნებს წარსულის დაბრუნების და ზოგადად დაბრუნების შეუძლებლობაზე, რაც სევდანარევ ემოციას აღძრავს. წარსულთან მიბრუნების შეუძლებლობით გამოწვეული სევდა ხშირად იგრძნობა თემურ ჩხეტიანის ლექსებში.

კონცეპტუალური სიზუსტით, სტრუქტურით,მხატვრული სახეებით, ფილოსოფიური ფიქრით საინტერესო კრებული სალექსო ფორმათა მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. აზრის გამოხატვის ძირითად ფორმად ავტორს თავისუფალი ლექსი აქვს არჩეული. თუმცა აქ შეგვხვდება კლასიკური ფორმისა და თავისუფალ სალექსო ფორმათა კომბინაციაც, ან მხოლოდ რითმიანი სტროფები. „ჰაიკუს მცდელობები“ კი მხოლოდ ცდა როდია, ეს არის მინიმალურ სალექსო ფორმაში ღრმა და მშვენიერი აზრის უზადოდ გამოხატვის მაგალითი. საინტერესოა, რომ ჰაიკუები კრებულის ბოლოშია განთავსებული, „ფოთოლცვენისკენ“. ალბათ, ესეც შემთხვევითი არ არის. აზრის ლაკონიურად გამოთქმას, მცირე ფორმაში დიდი სათქმელის დატევას, გამოცდილება სჭირდება. ეს გამოცდილება კი ცხოვრების გზამ უნდა გამოიტანოს. ყველაფერმა, რაც ავტორმა წინა თავებში გაგვიზიარა. ან სულაც, შეიძლება ეს დუმილისკენ მიმავალი გზა იყოს?!

პოეზიის დანიშნულებას თემურ ჩხეტიანის „ბალახის სიმაღლე“ შეუცდომლად ასრულებს. აქ აზრი და განცდა თანხმიერია. ფორმა სათანადოდ შერჩეული. ეს არის კრებული, რომელიც საფიქრალად განგაწყობს და მშვენიერი მხატვრული სამყაროს მეშვეობით ზუსტად ახერხებს ავტორისეული ჩანაფიქრის მკითხველისთვის გაზიარებას.

ინგლისური ხალხური ზღაპარი

მოხუცი ქალი, რომელიც ძმრის ბოთლში ცხოვრობდა

ძალიან დიდი ხნის წინათ იყო ერთი მოხუცი ქალი, რომელიც ძმრის ბოთლში ცხოვრობდა. ერთ დღესაც ფერიამ გვერდით ჩაუარა მოხუც ქალს და ყური მოჰკრა მის სიტყვებს.

„რა სირცხვილია! რა სირცხვილია!“ — ამბობდა მოხუცი ქალი — „მე არ უნდა ვცხოვრობდე ძმრის ბოთლში, მე უნდა ვცხოვრობდე პატარა ლამაზ, ჩალით დახურულ ქოხში, ქოხის კედლებს ვარდები უნდა აუყვებოდეს. აი, როგორ სახლში უნდა ვცხოვრობდე!“

ფერიამ უთხრა: „მაშ, კარგი! იყოს ასე! სანამ დასაძინებლად დაწვები, სამჯერ დატრიალდი, დახუჭე თვალები და დილით იხილავ, რასაც იხილავ!“

ასეც მოიქცა მოხუცი ქალი: სანამ დასაძინებლად დაწვებოდა, სამჯერ დატრიალდა, დახუჭა თვალები და დილით გაეღვიძა პატარა, ლამაზ, ჩალით დახურულ ქოხში. მის კედლებზე ვარდები ხარობდა. მას ძალიან გაუკვირდა და ესიამოვნა, მაგრამ არც გახსენებია ფერიისთვის მადლობის გადახდა.

ფერია ხან ჩრდილოეთით დაფრინავდა, ხანაც სამხრეთით, ხან აღმოსავლეთით, ხანაც დასავლეთით. დაფრინავდა და საქმეებს აგვარებდა. როგორც კი მოიცალა, იფიქრა: „მოდი, წავალ და ვნახავ როგორ მოეწყო მოხუცი ქალი. ალბათ ძალიან ბედნიერია თავის პატარა ქოხში.“

როგორც კი კართან მივიდა, გაიგონა მოხუცი ქალის სიტყვები:

„რა სირცხვილია! რა სირცხვილია! რა სირცხვილია! მე არ უნდა ვცხოვრობდე ასეთ პატარა ქოხში. ყველაფერი ჩემი გასაკეთებელია. მე უნდა ვცხოვრობდე პატარა ლამაზ სახლში, ფანჯრებზე მაქმანიანი ფარდებით, თითბრის საკაკუნოთი კარზე. გარეთ ხალხი მიდიებს და მოლუსკებს უნდა ჰყიდდეს, ირგვლივ ყველა უნდა მხიარულობდეს.“

ფერიას ძალზედ გაუკვირდა, მაგრამ თქვა: „მაშ კარგი! იყოს ასე! სანამ დასაძინებლად დაწვები, სამჯერ დატრიალდი, დახუჭე თვალები და დილით იხილავ, რასაც იხილავ!“

ასეც მოიქცა მოხუცი ქალი: სანამ დასაძინებლად დაწვებოდა, სამჯერ დატრიალდა, დახუჭა თვალები და დილით გაეღვიძა პატარა ლამაზ სახლში. ფანჯრებზე მაქმანიანი ფარდებით, თითბრის საკაკუნოთი კარზე. გარეთ ხალხი მიდიებს და მოლუსკებს ჰყიდდა, ირგვლივ ყველა მხიარულობდა. მას ძალიან გაუკვირდა და ესიამოვნა, მაგრამ არც ამჯერად გახსენებია ფერიისთვის მადლობის გადახდა.

მაშ ასე! ფერია ხან ჩრდილოეთით დაფრინავდა, ხანაც სამხრეთით, ხან აღმოსავლეთით, ხანაც დასავლეთით. დაფრინავდა და საქმეებს აგვარებდა. როგორც კი მოიცალა, გაახსენდა მოხუცი ქალი: „ნეტავ როგორაა? მოდი, მივალ და მოვინახულებ. ალბათ ძალიან ბედნიერია თავის პატარა სახლში.“

როცა ფერია სახლთან მივიდა, დაინახა მოხუცი ქალი. ის ბზინვარე სარწეველა სკამზე იჯდა, ირწეოდა და თან ჩიოდა:

„ოჰ! რა სირცხვილია! რა სირცხვილია! რა სირცხვილია! რა სირცხვილია! მე არ უნდა ვცხოვრობდე ასეთ პატარა სახლში. მე უნდა ვცხოვრობდე მდიდრულ სახლში. მოახლეები უნდა ასრულებდნენ ჩემს ბრძანებებს. აი, რას ვიმსახურებ!“

ფერიამ ეს რომ გაიგონა, ძალზედ გაუკვირდა, მაგრამ თქვა: დაე, იყოს ასე! სანამ დასაძინებლად დაწვები, სამჯერ დატრიალდი, დახუჭე თვალები და დილით იხილავ, რასაც იხილავ!

ასეც მოიქცა მოხუცი ქალი: სანამ დასაძინებლად დაწვებოდა, სამჯერ დატრიალდა, დახუჭა თვალები და დილით გაეღვიძა მდიდრულ სახლში. მოახლეები და მსახურები მის ბრძანებებს ასრულებდნენ. ეს ისაა, რაზეც ყოველთვის ვოცნებობდი! აქ ძალიან ბედნიერი ვიქნები — თქვა მოხუცმა ქალმა, მაგრამ ისევ დაავიწყდა ფერიისთვის მადლობის გადახდა.

ფერია ხან ჩრდილოეთით დაფრინავდა, ხან სამხრეთით, ხან აღმოსავლეთით, ხან დასავლეთით. დაფრინავდა და საქმეებს აგვარებდა. როგორც კი მოიცალა, ისევ გაახსენდა მოხუცი ქალი: „ნეტავ, როგორ ცხოვრობს ახლა? ალბათ ის ძალიან ბედნიერია თავის მდიდრულ სახლში.“

როცა ფერია სასახლეს მიუახლოვდა, დაინახა მოხუცი ქალი, ახლა ის აბრეშუმის სავარძელში იჯდა და ჩიოდა:

„ოჰ! რა სირცხვილია! რა სირცხვილია! რა სირცხვილია! რა სირცხვილია! ამ ძველ მდიდრულ სახლში მარტო არ უნდა ვცხოვრობდე. დიახაც, მე დედოფალი უნდა ვიყო, სასახლეში უნდა ვცხოვრობდე, ქალბატონების გარემოცვაში, რომლებიც ჩემთან დამეგობრებას ლამობენ, მუსიკოსები უნდა უკრავდნენ ჩემთვის! აი, სად უნდა ვცხოვრობდე!“

„ღმერთო ჩემო! ნუთუ არასდროს იქნება კმაყოფილი?“ — გაიფიქრა ფერიამ — „კარგი იყოს ასე! სანამ დასაძინებლად დაწვები, სამჯერ დატრიალდი, დახუჭე თვალები და დილით იხილავ, რასაც იხილავ!“

ასეც მოიქცა მოხუცი ქალი — სანამ დასაძინებლად დაწვებოდა, სამჯერ დატრიალდა, დახუჭა თვალები და დილით სასახლეში გაეღვიძა. ქალბატონები მასთან საუბარს ლამობდნენ და მუსიკოსები მისთვის უკრავდნენ. ეს ისაა, რაზეც ყოველთვის ვოცნებობდი! აქ ძალიან ბედნიერად ვიცხოვრებ — თქვა მოხუცმა ქალმა, მაგრამ სრულიად დაავიწყდა ფერიისთვის მადლობის გადახდა.

ფერია ხან ჩრდილოეთით დაფრინავდა, ხანაც სამხრეთით, ხან აღმოსავლეთით, ხანაც დასავლეთით. დაფრინავდა და საქმეებს აგვარებდა. როგორც კი მოიცალა, ისევ გაახსენდა მოხუცი ქალი: „ნეტავ, როგორ მოეწყო სასახლეში?“

ფერიამ შეიარა სასახლეში მის სანახავად. მოხუცი ქალი ახლა სამეფო ტახტზე იჯდა და ჩიოდა:

„ოჰ! რა სირცხვილია! რა სირცხვილია! რა სირცხვილია! რა სირცხვილია! მე არ უნდა ვიყო ასეთი პაწაწინა სამეფოს დედოფალი. დიახაც, მე უნდა ვიყო რომის პაპი და ასე შემეძლება ვმართო მთელი მსოფლიო. აი, რას ვიმსახურებ!“

ფერიამ უთხრა: „მაშ კარგი, იყოს ასე! სანამ დასაძინებლად დაწვები, სამჯერ დატრიალდი, დახუჭე თვალები და დილით იხილავ, რასაც იხილავ!“

მოხუცი ქალი საჩქაროდ წავიდა დასაძინებლად, სანამ დაწვებოდა, სამჯერ დატრიალდა, დახუჭა თვალები და დილით ისევ ძმრის ბოთლში აღმოჩნდა.

და მაშინ ფერიამ თქვა: „თუ ის აქ არ არის ბედნიერი, არც იქ იქნება ბედნიერი! ბედნიერება მოდის გულიდან და არა სახლიდან...“

თარგმნა სალომე მაისურაძემ

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004